# ლელო

გამოიცემა 1934 წლიდან

№ 208 (12 583) 5 სექტემბერი პარასკევი 2008 ფასი 50 თეთრი




ეროვნული ბიბლიოთეკა

# ღირსების მატჩი

რუსეთი VS საქართველო

დღეს 17:00. LIVE
საზოგადოებრივ მაუწყებელზე

## საქართველო განსაკუთრებულად მოტივირებულია

» 2-3




## ტრაპატონიმ სასტარტო შემადგენლობა დაასახელა

საქართველო-ირლანდია

»»» 3




პრემიერლიგამ ორ დღეში ორი მწვრთნელი შეიწირა

## მანიაკის მორიგი მსხვერპლი




## მძედლიძეს ახალი მწვრთნელი ჰყავს

მსოფლიო ფეხბურთი

»»» 5-10




მუნდიალი 2010

## ევროპის ზონის კალენდარი

»»» 8-9

ეროვნული ბიბლიოთეკა

U21. რუსეთი-საქართველო. პრინციპული მატჩის წინ

# განსაკუთრებული და მაინც... სპორტული მოტივაცია

...ქართულ გუნდებს ტრადიციასავით ექცათ - სატურნირო თვალსაზრისით უმოტივაციო მატჩებს უკეთ თამაშობენ და ბევრი ფავორიტი მეტოქეც გაუმწარებიათ. თანაც, ეს ეხება, როგორც ჩვენს კლუბებს, ასევე სხვადასხვა ასაკობრივ ნაკრებსაც. თუმცა, არის მატჩებიც, როცა სატურნირო მდგომარეობაზე მაღლა „სხვა" მოტივაცია არსებობს; აი, თუნდაც დღევანდელი შეხვედრა რად ღირს - საქართველოს ახალგაზრდული ნაკრები ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის მატჩში რუს თანატოლებს დაუპირისპირდება. ნამდვილად არ გვსურს ამ შეხვედრისთვის პოლიტიკური ელფერის მიცემა, თუმცა ფაქტი ფაქტად რჩება: საქართველოსა და რუსეთს შორის გართულებული მდგომრეობის გამო ამ ქვეყნების ახალგაზრდული ნაკრებების მატჩი ნეიტრალურ მოედანზე ტარდება. რუსეთის საფეხბურთო კავშირისა თუ ახალგაზრდული ნაკრების ხელმძღვანელობამ ბევრი კი აპროტესტა უეფას ეს გადაწყვეტილება, მაგრამ ვერდიქტი საბოლოო იყო და შეხვედრა დღეს მინსკში გაიმართება. რუსები ქართულ დელეგაციას სრული უსაფრთხოების გარანტიას აძლევდნენ, ოღონდ კი მათთვის უმნიშვნელოვანესი შეხვედრა მოსკოვში ჩატარებულიყო. თუმცა, ყველა დაგვეთანხმება, რომ ეს მატჩი რუსეთში არ უნდა გამართულიყო და უეფამ, მართლაც, გონივრული გადაწყვეტილება მიიღო, შეხვედრა ნეიტრალურ მოედანზე რომ დანიშნა. უმნიშვნელოვანესიო, ვთქვით და ასეც არის - რუსები ორმაგად მოტივირებული გამოვლენ ქართველ თანატოლებთან საპაექროდ (კიდევ ვიმეორებთ, მხოლოდ სპორტულ ინტერესებს ვგულისხმობთ); ჯერ ერთი, შემოდგომაზე განცდილი მარცხისთვის რევანში სწყურიათ; მეორე და მთავარი კი სატურნირო სიტუაციაა: საქართველოსთან და ესპანეთთან ორივე მატჩი უნდა მოიგონ, პლეი ოფში გასვლის შანსი რომ შეინარჩუნონ. უეფას რეგლამენტის თანახმად, შემდეგ ეტაპზე ათივე ქვეჯგუფის გამარჯვებული გადის; ამათ გარდა პლეი ოფის საგზურს ოთხი საუკეთესო მეორეადგილოსანიც მიიღებს. ჯგუფური ეტაპის დასრულებამდე ორი ტურით ადრე რუსეთი ერთობ არასახარბიელო სიტუაციაშია - მხოლოდ ქულათა მაქსიმუმით შეუძლია თავი დაიმშვიდოს. ამიტომაც არის, რომ რუსეთის ახალგაზრდულის მთავარი მწვრთნელი **ბორის სტუკალოვი** უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებს დღევანდელ შეხვედრას. თანაც, რუსებს სერიოზული საკადრო პრობლემაც აქვთ: სამ დისკვალიფიცირებულ ფეხბურთელს (**კირილ კომბაროვს, ივან ტარანოვს, ვლადიმირ გრანატს**) ორი ტრავმირებულიც (**ალან ძაგოევი, არტიომ ძიუბა**) დაემატა. ისე, ცოტა არ იყოს, უცნაურია ოსი ეროვნების **ძაგოევის** არყოფნა - საკუთარ კლუბში (მოსკოვის ცსკა-ში) ბოლო ტურის მატჩში ტრავმის არაფერი ეტყობოდა. თუმცა, ვინ იცის, იქნებ ვინმემ ურჩია კიდეც, რომ ქართველ თანატოლებთან შეხვედრაში მონაწილეობა არ მიელო...

ძაგოევის გარდა რუსეთის ახალგაზრდულ ნაკრებში ოსი ეროვნების კიდევ სამი ფეხბურთელია: მეკარე - **სოსლან ჯანაევი** („სპარტაკი", მოსკოვი) და ნახევარმცველები: **მიხეილ ბაკაევი** „(ალანია", ვლადიკავკაზი) და **ალან კასაევი** („ყუბანი", კრასნოდარი). თუმცა, ვიმედოვნებთ, რომ ეს ფაქტი სპორტულ დაპირისპირებას არ გასცდება. ისე, სტუკალოვზეც გვინდა რამდენიმე სიტყვა ვთქვათ: ამ სპეციალისტმა თბილისური მატჩის მერეც დადებითი შთაბეჭდილება დატოვა. კი, ერთიორჯერ „მიხეილ მესხის" სახელობის სტადიონის ყოვლად უვარგის მოედანზე წაიწუწუნა და მორჩა - წაგება ჩვენი ბრალი იყო და საქმეც გავირთულეთო. ახლაც, ასეთ პოლიტიზირებულ გარემოში და ესოდენ პრინციპული დაპირისპირების წინ არც პროვოკაციულ განცხადებები გაუკეთებია და არც მეტოქის ღირსებები შეულახავს.

ახლა ჩვენზეც ვთქვათ რამდენიმე სიტყვა, მით უმეტეს, რომ საქართველოსა და რუსეთის ნაკრებების ყველა დაპირისპირება განსაკუთრებული მნიშვნელობისაა. სამწუხაროა, რომ სპორტული თვალსაზრისით არაფერს გვიწყვიტავს დღევანდელი შეხვედრა - რუსეთთან და პოლონეთთან ორივე შეხვედრა რომც მოვიგოთ, პლეი ოფში ვერ გავალთ. ზემოთაც ვახსენეთ ევროპის ჩემპიონატის რეგლამენტი და საქართველოს ნაკრები ოთხ საუკეთესო მეორეადგილოსნებში ვერაფრით მოხვდება. დარჩენილი ცხრა ქვეჯგუფიდან ერთადერთი მხოლოდ სლოვაკეთს შეიძლება გავუსწროთ, მეორე ადგილზე მყოფ სხვა გუნდებს კი 13 და მეტი ქულა აქვთ.

...ქვემოთ ქართულ-რუსული საფეხბურთო დაპირისპირების სტატისტიკას გაეცნობით. მათგან, რაღა თქმა უნდა, ორი შეხვედრა, მართლაც რომ დაუვიწყარია: თბილისის „დინამომ" უეფას თასზე მოსკოვში „ტორპედოს" რომ მოუგო და მერე, 2003 წლის 30 აპრილს თბილისში საქართველოს ნაკრების გამარჯვება რუსეთის ნაკრებთან. იმედი დავიტოვოთ, დღევანდელი მატჩიც ისე დასრულდება, სასიამოვნო მოსაგონრად რომ დაგვრჩება...

**გია ტუხაშვილი**

| სატურნირო მდგომარეობა | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ესპანეთი | 6 | 6 | 0 | 0 | 17-1 | 18 |
| 2. რუსეთი | 6 | 4 | 0 | 2 | 10-4 | 12 |
| 3. საქართველო | 6 | 2 | 0 | 4 | 6-13 | 6 |
| 4. პოლონეთი | 7 | 2 | 0 | 5 | 4-11 | 6 |
| 5. ყაზახეთი | 7 | 2 | 0 | 5 | 8-16 | 6 |



20 ნოემბერი 2007 წელი. თბილისი. საქართველო-რუსეთი 2:0. ანგარიში რევაზ ბარაბაძემ გახსნა

## ქართულ-რუსული დაპირისპირების ისტორიიდან

**უეფას თასი. 1/32 ფინალი**

**ტორპედო-დინამო 0:1**

10.09.96. მოსკოვი. ტორპედო

0:1 ჯამარაული (37)

დინამო: ზოიძე - კალაძე, ლობჟანიძე, მაჭავარიანი, ჩხაიძე - კიკნაძე, კუდინოვი, ჯამარაული (85. ინალიშვილი), კობიაშვილი - ხომერიკი (70. ზ. ჯელაძე), იაშვილი (82. დემეტრაძე).

გაფრთხილება: კალაძე, ჩხაიძე, ჯამარაული, ხომერიკი, ჯელაძე, კამოლცევი.

არბიტრი: ლ. სუნდელი (შვედეთი)

**დინამო-ტორპედო 1:1**

24.09.96. თბილისი. ეროვნული

1:0 ჯამარაული (49), 1:1 ვოსტროსაბლინი (83)

დინამო: ზოიძე - კალაძე, ლობჟანიძე, მაჭავარიანი, ჩხაიძე - გოგიჩაიშვილი, კუდინოვი (40. კერძევაძე), კიკნაძე, კობიაშვილი - ჯამარაული (55. ინალიშვილი) - იაშვილი (65. დემეტრაძე).

გაფრთხილება: კუდინოვი, ბოროდკინი, ლეონჩენკო, მახმუტოვი, კამნევი.

არბიტრი: ჰ. კრუგი (გერმანია)

**ამხანაგური მატჩი**

**საქართველო (ახ)-რუსეთი (ახ) 1:0**

20.08.97. თბილისი. ეროვნული.
3000 მაყურებელი

1:0 იაშვილი (18)

საქართველო: გვარამაძე - შ. ხუჯაძე, ცქიტიშვილი, წერეთელი, გემეზაშვილი - ჩომახიძე (46. გოგობერიშვილი), ზ. ლაცაბიძე (46. ალექსიძე), მონასელიძე, დ. მუჯირი (65. ნიტაიშვილი) - ლ. ქებაძე, იაშვილი.

მწვრთნელი: ვლადიმერ გუცაევი

არბიტრი: მ. მალალურაძე (თბილისი)

**ინტერტოტოს თასი**

**მერანი-ტორპედო 0:2**

22.06.97. თბილისი. ეროვნული.
10 000 მაყურებელი

0:1 გაშკინი (5), 0:2 მაშკარინი (54)

მერანი: დოლიძე - შ. ხუჯაძე, გოგიტაძე, სიდამონიძე, კაკუბავა - ქორიძე (23. გელაძე), გოგობერიშვილი (70. მაზიაშვილი), კ. მელქაძე, ბ. ამბიძე (30. რევაზიშვილი) - ბ. კვარაცხელია, გოდერძიშვილი.

მწვრთნელი: თემურ მახარაძე

გაფრთხილება: გოგობერიშვილი, კაკუბავა, რევაზიშვილი.

არბიტრი: ლ. ლუიზოსი (კვიპროსი)

**ამხანაგური მატჩი**

**საქართველო-რუსეთი 1:1**

30.05.98. თბილისი. ეროვნული.
70 000 მაყურებელი

0:1 სიმუტენკოვი (11), 1:1 ჯანაშია (19)

საქართველო: ტოგონიძე - სილაგაძე, ცხადაძე, შეყილაძე, კობიაშვილი - ჯამარაული, ნემსაძე (16. დიდავა), ქინქლაძე (82. ცქიტიშვილი), გახოკიძე (75. არველაძე) - ზ. ჯანაშია (70. ჩალაძე), შ. არველაძე.

მწვრთნელი: ვლადიმერ გუცაევი

რუსეთი: ოვჩინიკოვი - ხლესტოვი, კოვტუნი (62. ბორზენკოვი), ჩუგაინოვი, ვარლამოვი (57. ციმბალარი) - სემაკი (88. გორშკოვი), ონოპკო, ალენიჩევი, ტიხონოვი (80. პაგაევი) - ბესჩასტნიხი (46. რადიმოვი), სიმუტენკოვი (66. ზუბკო).

მწვრთნელი: ბორის იგნატიევი

გაფრთხილება: დიდავა, ტოგონიძე, სიმუტენკოვი, ონოპკო, სემაკი, რადიმოვი.

არბიტრი: ტ. სულეიმანოვი (აზერბაიჯანი)

**ამხანაგური მატჩი**

**საქართველო (ახ)-რუსეთი (ახ) 1:1**

29.03.2000. თბილისი. ეროვნული. 8 000 მაყურებელი

0:1 ბაზაევი (14), 1:1 წერეთელი (45-პენ)

საქართველო: ლომაია (46. ბათიაშვილი) - შაშიაშვილი, ხიზანეიშვილი (46. აბრამიძე), წერეთელი, დევიძე (46. ასათიანი) - საჯაია, რუხაძე (46. ხუროძე), გ. კვარაცხელია (46. დილმელაშვილი), გ. შენგელია (46. ლ. გვაზავა) - ნიტაიშვილი, ლ. მელქაძე (46. იმედაძე).

მწვრთნელი: მურთაზ ხურცილავა

გაფრთხილება: შაშიაშვილი, კუზმინი, იგნაშევიჩი, ბაზაევი.

არბიტრი: ს. კვარაცხელია (ზუგდიდი)

**ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი**

**საქართველო (ახ)-რუსეთი (ახ) 0:3**

11.10.02. თბილისი. ეროვნული. 2 000 მაყურებელი

0:1 პავლიუჩენკო (18), 0:2 ბობიორი (32), 0:3 გოგნიევი (65)

საქართველო: მამალაძე - საჯაია, ხიზანეიშვილი, სალუქვაძე, ინწკირველი (51. ი. შენგელია) - სვანაძე (46. ახალკაცი), ხიზანიშვილი, კანდელაკი, ახალაია - ადამია (69. რ. გოცირიძე), მოდებაძე.

მწვრთნელი: ვახტანგ კოპალეიშვილი

გაფრთხილება: ხიზანიშვილი

არბიტრი: დ. კოში (სლოვენია)

**ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი**

**საქართველო-რუსეთი 1:0**

30.04.03. თბილისი. ლოკომოტივი.
10 000 მაყურებელი

1:0 ასათიანი (12)

საქართველო: ლომაია - ხიზანიშვილი, ხიზანეიშვილი, კალაძე, კვირკველია - ბურდული (80. შაშიაშვილი), ნემსაძე, ასათიანი (75. დიდავა), ცქიტიშვილი - დემეტრაძე, აშვეთია (85. ალექსიძე).

მწვრთნელი: ივო შუშაკი

რუსეთი: მანდრიკინი - ნიჟეგოროდოვი, იგნაშევიჩი (16. ევსეევი), ონოპკო - სემაკი, ა. სმერტინი, ალდონინი (80. სიჩოვი), ტიტოვი, ალენიჩევი, კარიაკა -იზმაილოვი (46. კერჟაკოვი).

მწვრთნელი: ვალერი გაზაევი

არბიტრი: ფ. ვაკი (გერმანია)

**ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი**

**რუსეთი (ახ)-საქართველო (ახ) 3:2**

10.10.03. მოსკოვი. ტორპედო.
10 000 მაყურებელი

1:0 გოგნიევი (19), 1:1 გოცირიძე (61), 2:1 არშავინი (70), 2:2 ახალაია (86), 3:2 ვინოგრადოვი (90)

საქართველო: მამალაძე - ციმაკურიძე (62. ახალკაცი), სალუქვაძე, ინწკირველი, ორბელაძე, ამისულაშვილი - ახალაია, გამეზარდაშვილი, სირაძე, დეკანოსიძე (46. გ. ნუგ. ჭელიძე) - ბობოხიძე (46. რ. გოცირიძე).

მწვრთნელი: რევაზ არველაძე

გაფრთხილება: ორბელაძე

არბიტრი: ფ. ბედე (გერმანია)

**ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი**

**რუსეთი-საქართველო 3:1**

11.10.03. მოსკოვი. ლოკომოტივი.
28 000 მაყურებელი

0:1 იაშვილი (3), 1:1 ბულიკინი (29), 2:1 ტიტოვი (45), 3:1 სიჩოვი (71)

რუსეთი: ოვჩინიკოვი - ევსეევი, იგნაშევიჩი, ონოპკო, სენიკოვი - გუსევი (62. ალდონინი), ტიტოვი, მოსტოვოი, კარიაკა (46. იზმაილოვი) - ბულიკინი, კერჟაკოვი (56. სიჩოვი).

საქართველო: ლომაია - ხიზანიშვილი, ქემოკლიძე, ნემსაძე, კვირკველია -ცქიტიშვილი (54. ასათიანი), ჯამარაული (46. ბურდული), იაშვილი, კობიაშვილი -აშვეთია (58. ვ. დარასელია), დემეტრაძე.

მწვრთნელი: მერაბ ჟორდანია

გაფრთხილება: სიჩოვი, დემეტრაძე, ქემოკლიძე, ნემსაძე.

არბიტრი: კ . პლაუტცი (ავსტრია)

**ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი**

**საქართველო (ახ)-რუსეთი (ახ) 2:0**

20.11.07. თბილისი. მიხეილ მესხი. 3 000 მაყურებელი

1:0 ბარაბაძე (37), 2:0 ბ. გოცირიძე (82)

საქართველო: თევდორაძე - თომაშვილი, უ. ლობჟანიძე, ლვინიანიძე, ნავალოვსკი - კლიმიაშვილი (90. თარგამაძე), ბჟალავა, ხიდეშელი, კობახიძე - ბარაბაძე (83. ელბაქიძე), ბ. გოცირიძე (88. დვალიშვილი).

მწვრთნელი: პეტარ შეგრტი

გაფრთხილება: ბჟალავა, ბარაბაძე, შიშკინი, ფაიზულინი, ლებედევი, ეფიმოვი.

არბიტრი: მ. გერმანაკოსი (საბერძნეთი)

დამფუძნებელი და გამომცემელი
შპს გაზეთი ლელო

გამოიცემა ყოველდღე,
გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

მთავარი რედაქტორის მოადგილე პაატა გელაშვილი; რედაქტორები: დავით თავართქილაძე, გია თვალაბეიშვილი, შალვა ბიბილაშვილი; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი მიხეილ ჯაში; ფოტო: ალექსანდრე კოტორაშვილი.

ნომრის მორიგე რედაქტორი
გია თვალაბეიშვილი

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. ლელოს მთავარი რედაქტორები: მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).

მისამართი: იოსებიძის, 49. ტელეფონები: 42 32 73, 899 55 48 97 (მთ. რედაქტორი); ფაქსი: +995. 32 42 32 73; ელფოსტა: sporti@sporti.ge; ინდექსი 66435 INDEX. რეკლამა: 37 78 07

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა გზით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

ეროვნული ბიბლიოთეკა


რუსებს გოცირიძე (ცენტრში) დღესაც ახსოვთ

U21. რუსეთი-საქართველო

# ბარაბაძე და გოცირიძეც გყავთ?

## შეგრტმა რუს ჟურნალისტებს ასიამოვნა

მინსკის სასტუმრო „ბელარუსში" დაბინავებულ საქართველოს ნაკრებს გუშინ თბილისიდან ჩასული ოთხი ფეხბურთელი - **მათე ვაწაძე, ნიკოლოზ ფირცხალავა** (ორივე თბილისის დინამო), **ირაკლი კვეკვესკირი** (მოსკოვის დინამო) და **მირზა ბუალავა** (ლუშტენაუ ავსტრია), ასევე მწვრთნელები - **ლევან ხომერიკი, სერგო კოტრიკაძე** და **ოთარ გაბელია** შეუერთდნენ. **პეტარ შეგრტმა**, ადგილობრივი დროით 16 საათზე, სტადიონ „ტრაქტორზე" მატჩისწინა ბოლო ვარჯიში გამართა. წვრთნა საათზე ოდნავ მეტხანს გაგრძელდა.

**თევდორაძე, ალავიძე, სანაია, მირცხულავა, ფოფხაძე, ნავალოვსკი, კაშია, თომაშვილი, კობახიძე, დევდარიანი, გრიგალაშვილი, ხიდეშელი, დაუშვილი, ბეგლარიშვილი, შონია, თარგამაძე, წინამძღვრიშვილი, ივანიშვილი, ლიპარტია, ვაწაძე, ბუალავა, კვეკვესკირი, ფირცხალავა** - გუშინდელ ვარჯიშში ეს 23 ფეხბურთელი მონაწილეობდა. ჩვენს გუნდში ყველა მწყობრშია. ერთადერთი, ვინც დღეს რუსეთის წინააღმდეგ ვერ ითამაშებს, **მირზა ბუალავაა**, რომელსაც მატჩი დისკვალიფიკაციის გამო გაუცდება.

შეგრტის გუნდის ვარჯიშს რუსი ჟურნალისტებიც ადევნებდნენ თვალს. წვრთნის შემდეგ მათ ხორვატ მწვრთნელთან მცირე ხნით ისაუბრეს. საქართველოს შემდეგ „ტრაქტორის" მოედანი რუსეთის 21-წლამდელთა ნაკრებმა დაიკავა. ეს ვარჯიშიც საათზე მეტხანს გაგრძელდა. აი, რა გვითხრა გუშინ ჩვენი ახალგაზრდულის თავკაცმა:

*„გუნდში სრული საბრძოლო მზადყოფნაა. ფეხბურთელები საკმარისად არიან მოტივირებულნი. მოგებისთვის ძალ-ღონეს არ დავიშურებთ, მით უმეტეს, რუსეთის დარად ჩვენ გვაქვს ევროპის ჩემპიონატზე ასპარეზობის შანსი... კარგია, რომ ყველა ფეხბურთელი მწყობრშია. თუმცა იმ შემადგენლობიდან, რომლითაც რუსეთი თბილისში დავამარცხეთ, აქ მხოლოდ ორი მოთამაშე გვყავს. დროის მოკლე პერიოდში ახალი კონტინგენტით ახალი გუნდის შეკვრაზე მოგვიწია მუშაობა. ვფიქრობ, ეს საქმე ცუდად არ გამოგვივიდა. ვარჯიშის შემდეგ რუსმა ჟურნალისტებმა მკითხეს, ბექა გოცირიძე და რევაზ ბარაბაძეც აქ არიანო? ეს ის ფეხბურთელები არიან, რომელთა გოლებითაც რუსეთის 21-წლამდელები თბილისში 2:0 დავამარცხეთ. როცა მათ ვუთხარი, ბარაბაძე ტრავმირებულია, ხოლო გოცირიძე ეროვნულ ნაკრებთან ერთადაა-მეთქი, აშკარად ესიამოვნათ. მინსკში სხვა შემადგენლობა გვყავს, მაგრამ ჩვენ მაინც ცდას არ დავაკლებთ და რუსეთთან მეორე გამარჯვებისთვის ყველაფერს გავაკეთებთ".*

დაბოლოს, დღეს მინსკში რუსეთ-საქართველოს 21-წლამდელთა მატჩი თბილისის დროით 17 საათზე დაიწყება. შეხვედრას ჩრდილოირლანდიელი მსაჯები გაუძღვებიან. არბიტრი **ადრიან მაკკორტი** იქნება, ასისტენტები კი **თომას ფაირფილდი** და **დენ სტილი**.

# მინსკში არეულობას არ ელიან

## ბელარუსში რუსეთს 500 ფანი მაინც უქომაგებს

რუსეთის ახალგაზრდული ნაკრები, რომელიც გუშინდლამდე მოსკოვში ემზადებოდა, მინსკში ჩაფრინდა. **ბორის სტუკალოვმა** დღევანდელ მატჩზე კიდევ ერთი კომენტარი გააკეთა:

*„ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე გასასვლელად საქართველოსა და ესპანეთთან მატჩების მოგება გვესაჭიროება. მჯერა, მიზანს მივაღწევთ. კიდევ ერთხელ ვამბობ, ქართველებთან მატჩში პოლიტიკა არ უნდა გავრიოთ. უბრალოდ, თამაშს სპორტული პრინციპით უნდა მივუდგეთ. რა თქმა უნდა, ქართველებიც მოსაგებად იბრძოლებენ. ასე რომ, რთული მატჩი გველის",* - აღნიშნა რუსების თავკაცმა.

მინსკში რუსეთის ნაკრების ქომაგებიც აპირებენ ჩასვლას. რუსული წყაროების მტკიცებით, სტუკალოვის გუნდს მინიმუმ 500 გულშემატკივარი დაუჭერს მხარს.

ბელარუსის ფეხბურთის ფედერაცია და იქაური ძალოვანი უწყების წარმომადგენლები აცხადებენ, რომ ექსცესებს არ ელიან:

*„ჩვენ უკვე დავიწყეთ მუშაობა და თამამად შემიძლია განვაცხადო, რომ უსაფრთხოებას მაქსიმალურად დავიცავთ, იმ დონეზე, რასაც უეფა და ბელარუსის კანონმდებლობა მოითხოვს, ანუ, როგორც ეს ბელარუსი-არგენტინის ამხანაგური მატჩისას იყო. ჩვენ გვაქვს ამის გამოცდილება. სტადიონზე სპეციალური დეტექტორები უკვე დავამონტაჟეთ. კარგად ვიცით, რომ ეს ჩვეულებრივი მატჩი არაა. იმედია, არანაირი გართულება არ იქნება რომელიმე გუნდის მხრიდან. თუ ვინმე ბუნტის მოწყობას შეეცდება, მის მიმართ კანონით გათვალსწინებული ზომები იქნება მიღებული",* - აღნიშნა მინსკის მერიის უსაფრთხოების სამსახურის პრესატაშე **ალექსანდრ ლასტოვსკიმ**.

*„ქართველი ფეხბურთელები ოთხშაბათს ჩამოფრინდნენ, რუსები კი 4 სექტემბერს. ორივე დელეგაციის ხელმძღვანელს შევხვდი. არცერთ მხარეს პრობლემა არ აქვს, პირიქით, მათ მადლობა გადაგვიხადეს იმისთვის, რომ სტადიონის მომზადება მოკლე დროში მოვასწარით. ერთსაც გეტყვით: საქართველოს ნაკრები 10 სექტემბერს პოლონეთს უნდა შეხვდეს. ამ თამაშის ჩატარება მათ ნეიტრალურ მოედანზე უწევთ. ჩვენ უკვე ვისაუბრეთ და შევთავაზეთ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას, რომ პოლონეთსაც „ტრაქტორზე" უმასპინძლონ. მათ ჩვენი წინადადება მოეწონათ. ამ საკითხის გადასაწყვეტად ისინი უეფასთან აწარმოებენ კონსულტაციებს",* - ამბობს ბელარუსის ფეხბურთის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი, წარსულში მინსკის „დინამოს" მეკარე **მიხაილ ვერგიენკო**.

მუნდიალი 2010. საქართველო-ირლანდია

# იაშვილი უკვე მწყობრშია

## საქართველომ ირლანდიის ნორვეგიული თამაში ნახა

საქართველოს ნაკრებმა გუშინ მხოლოდ საღამოს ივარჯიშა. მაინცში აღარ წვიმდა. წვრთნამ საათ-ნახევარი გასტანა. **ექტორ კუპერმა** აქცენტი ტაქტიკაზე გააკეთა. არგენტინელმა ბიჭებს სტანდარტულებიც დაამუშავებინა. ივარჯიშა **ალექსანდრე იაშვილმაც**, რომელმაც გუშინწინ ფეხი იტკინა.

აღსანიშნავია ისიც, რომ კუპერი მხოლოდ ვარჯიშით არ შემოიფარგლა და გუნდთან ერთად ნორვეგია-ირლანდიის ამასწინანდელი ამხანაგური მატჩიც გაარჩია.

დღეს საღამოს ჩვენი ნაკრები ირლანდიელებთან მატჩისწინა ბოლო ვარჯიშს „მაინცის" საშინაო არენა „ბრუხვეგშტადიონზე" გამართავს. თავად მატჩი კი თბილისის დროით 20 საათზე დაიწყება. პირდაპირი რეპორტაჟის ხილვა „საზოგადოებრივი მაუწყებლის" ეთერით შეგეძლებათ.

მეტოქე

# ირლანდიაში სამი ქულით უნდა დავბრუნდეთო...

## ტრაპატონიმ სასტარტო შემადგენლობა გათქვა

ირლანდიის ნაკრები გუშინ გერმანიაში ჩაფრინდა. მეტოქე მაინცთან ახლოს, ვისბადენში დაბინავდა. **ჯოვანი ტრაპატონი** გამოჯანმრთელებულ **კევინ კილბეინს** სასტარტო შემადგენლობაში მოიაზრებს. მოკლედ, ირლანდიის ნაკრებში უკვე ყველა ფეხბურთელი მწყობრშია. სხვათა შორის, ტრაპატონიმ ირლანდიელ ჟურნალისტებს იმ 11 ფეხბურთელის ვინაობაც გაანდო, რომლებიც საქართველოსთან ხვალინდელ მატჩს დაიწყებენ. **ექტორ კუპერის** გუნდს „მაესტრო" კლასიკურ 4-4-2-ს დაუპირისპირებს. აი, ტრაპისეული სასტარტოც: **გივენი - ფინენი, დანი, ო'ში, კილბეინი - მაკგიდი, უილანი, ს. რიდი, ჰანტი - დოილი, კინი.**

ცხადია, ირლანდიელთა თავკაცი გუნდს მოსაგებად ამზადებს: *„დღესაც ვესაუბრე ჩემს ფეხბურთელებს და კიდევ ერთხელ ხაზგასმით ავუხსენი, რომ ეროვნულ ნაკრებში თამაში თითოეულისთვის საამაყო უნდა იყოს. მათ მაქსიმუმი უნდა გაიღონ გამარჯვებისთვის. კილბეინი უკვე მწყობრშია და საქართველოსთან ძირითად შემადგენლობაშიც იქნება, ისევე, როგორც ჰანტი. მართალია, ჰანტი ახალგაზრდაა, მაგრამ მასში დიდი ენთუზიაზმი და მონდომება დავინახე. ჩვენ სწორედ ასეთი ფეხბურთელები გვჭირდება. მჯერა, ჩემი გუნდი მზადაა შაბათის მატჩის მოსაგებად. დიახ, მხოლოდ მოგებაზე უნდა გავაკეთოთ აქცენტი. საქართველოს შემდეგ ჩერნოგორიაშიც რთული მატჩი გველის. ჩვენ ამ მატჩებში 6 ქულა გვინდა და ეს ჩვენს შესაძლებლობებს სულაც არ აღემატება. ერთი სიტყვით, კარგად ვიცი, რასაც ვითხოვ და ბიჭებმა ეს უნდა შეძლონ"* - განაცხადა ტრაპატონიმ გუშინდელ პრესკონფერენციაზე.

საქართველოს ნაკრებთან სასტარტო შემადგენლობაში იქნება **გლენ უილანიც**. ის შაბათს რთულ მატჩს ელის, მაგრამ წარმატების იმედი აქვს: *„მართალია, საქართველო ნეიტრალურ მოედანზე თამაშობს, მაგრამ მაინც მოგებისთვის იბრძოლებს. ტრაპატონიმ გვითხრა, რომ მეტოქე ძლიერია და რომ საქართველომ თბილისში შოტლანდია უშანსოდ დატოვა. თუმცა მაშინ მეტოქეს არა კუპერი, არამედ გერმანელი სპეციალისტი წვრთნიდა. ეს თამაში იოლი არ იქნება, მაგრამ მჯერა, მატჩი ჩვენთვის სასურველი შედეგით დასრულდება. საკვალიფიკაციო ეტაპი წარმატებით უნდა დავიწყოთ".*

ეროვნული ნაკრები. ინტერვიუ ექტორ კუპერის ასისტენტ ხოსე ფანტაგუცისთან

# საქართველო ძლიერი გუნდი იქნება

## ტექნიკა გაქვთ, ტაქტიკაში მოიკოჭლებთო...

**ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელის ექტორ კუპერის პირველი ასისტენტი ხოსე ფანტაგუცია. კუპერთან ერთად ის სხვა გუნდებშიც მუშაობდა და მას კარგად იცნობს. საინტერესოა, რას ფიქრობს ფანტაგუცი საქართველოს ნაკრებზე, მის მომავალზე... მას გერმანიაში გამგზავრებამდე გავესაუბრეთ.**


ხოსე ფანტაგუცი

ავტორის ფოტო

**- ვიდრე საქართველოს ნაკრებზე ვისაუბრებდეთ, გაეცანით ქართველ გულშემატკივარს. ადრე სად გიმუშავიათ?**

- პარაგვაის „ნასიონალსა" და „უნივერსიდად კათოლიკაში". ამ უკანასკნელში მეორე მწვრთნელი ვიყავი. კუპერთან ერთად კი ევროპაში ვმუშაობდი...

**- ფეხბურთელობისას არგენტინის ნაკრებშიც გითამაშიათ?**

- მექსიკის მსოფლიო ჩემპიონატის შემდეგ, 1986-87 წლებში, მხოლოდ რამდენიმე თვით ვიყავი ნაკრებში. ცენტრალური ნახევარმცველი გახლდით...

**- საქართველოს ნაკრებში თქვენი დებიუტი უელსში შედგა. რა წარმოდგენა შეგექმნათ გუნდზე?**

- გულწრფელად გეუბნებით: პირველი შთაბეჭდილება საკმაოდ კარგია.

**- იქნებ, უფრო კონკრეტულად გვითხრათ...**

- საქართველოს ნაკრებს ტექნიკური ფეხბურთელები ჰყავს. ამ მოთამაშეთა ნაწილი გერმანიაში, იტალიაში, რუსეთსა და უკრაინაში ასპარეზობს. როგორც კი ისინი ვარჯიშებზე ვნახე, მაშინვე ვთქვი, რომ ეს ბიჭები უკეთეს კლუბებსაც იმსახურებენ. მართალია, ქართველები ტექნიკასთან მწყრალად არ ხართ, მაგრამ საკუთარ თავზე მაინც მეტი მუშაობაა საჭირო. კუპერს უკვე შემუშავებული აქვს გეგმა, რომელიც ამ ნაკრების ძლიერ გუნდად ჩამოყალიბებას შეუწყობს ხელს.

**- ხომ არ გაგვიმხელდით ამ გეგმას?**

- არ მინდა კუპერის ნაცვლად ვილაპარაკო. სჯობს, მან თავად გითხრათ, რა გეგმა აქვს.

**- გასაგებია. დღესდღეობით რა აკლია გუნდს ყველაზე მეტად?**

- უკეთესი ტაქტიკურ-სტრატეგიული მომზადება. უელსთან მატჩში კუპერმა გუნდს გარკვეული სქემით თამაში დაავალა, მაგრამ ბიჭებმა ამ სქემით მხოლოდ 25-30 წუთი ითამაშეს. კუპერი სწორედ იმას ეცდება, რომ ნაკრებმა მისეული სქემა მთელი თამაშის განმავლობაში შეინარჩუნოს. ეს უნდა გახდეს სწორედ წარმატების გარანტი.

**- წინ ირლანდიასა და იტალიასთან მატჩებია. რისი იმედი უნდა გვქონდეს ამ ორ შეხვედრაში?**

- ქართველ გულშემატკივარს ყოველთვის უნდა ჰქონდეს ეროვნული ნაკრების იმედი. ფეხბურთელები კი ყოველთვის უნდა გრძნობდნენ იმ პასუხისმგებლობას, რაც ქვეყნის მთავარ გუნდში თამაშით ეკისრებათ. ამავე დროს, პასუხისმგებლობასთან ერთად, მათთვის ეს უდიდესი პატივიცაა. ეროვნულ ნაკრებში ბოლომდე დაიხარჯო. ბიჭები უნდა გრძნობდნენ, რომ მათ უკან მილიონობით გულშემატკივარია და რომ ისინი მოედანზე სამშობლოს პრესტიჟისთვისაც იბრძვიან. სწორედ ასე ყალიბდება ფეხბურთელის იმიჯი... რაც შეეხება უახლოეს მატჩებს, კუპერმა ბევრი რამ იცის ტრაპატონისა და ლიპის გუნდებზე. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ამ ორ გენიოს მწვრთნელთან დაპირისპირება ექტორისთვის უდიდესი გამოწვევაა. მერწმუნეთ, თუ ფეხბურთელები მთავარი მწვრთნელის დავალებას ბოლომდე შეასრულებენ, ჩვენ შევძლებთ, რომ ეს მატჩები საქართველოსთვის სასურველი შედეგებით დავასრულოთ.

**- უელსური მატჩით თუ ვიმსჯელებთ, კუპერი ახლაც შემტევ ფეხბურთს მიანიჭებს უპირატესობას?**

- საერთოდ, მას უყვარს შემტევი ფეხბურთი, მაგრამ ბუნებრივია, ტაქტიკა-სტრატეგია კონკრეტული სიტუაციიდან გამომდინარე უნდა შეირჩეს.

**- საინტერესოა თქვენი აზრი. რამდენ ხანში შეიძლება, რომ საქართველოს ნაკრები ძლიერ გუნდად იქცეს?**

- თუ ყველაფერი კუპერის გეგმის მიხედვით წარიმართა, უკვე მომავალ წელს საქართველოს ნაკრები ძლიერი გუნდი იქნება. ამ გუნდში მას პოტენციალი რომ არ დაენახა და იმედი არ ჰქონდეს, საქმეს ხელს არ მოჰკიდებდა.

**- კუპერის შტაბში კიდევ ერთი უცხოელია - ფიზმომზადების სპეციალისტი...**

- ანხელ პუებლოს გულისხმობთ? შემიძლია გითხრათ, რომ ის მაღალი დონის სპეციალისტია. საქართველოს ნაკრებს ის ნამდვილად სჭირდება.

გვერდი მოამზადა
**დავით ცაბაძემ**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ახალი ლეგიონერი

# რატომ იწუნებდნენ პროფესორები ახალგაზრდა ფეხბურთელს?



ლაშა დეკანოსიძე

**ლაშა დეკანოსიძეზე** გუშინდელ ნომერში ვწერდით. ჩემპიონთა ლიგის ჯგუფური ეტაპის მონაწილე "ბატემ" საქართველოსთვის უცნობი ფეხბურთელი, 21 წლის მარცხენა მცველი აიყვანა.

დღეს მასზე უფრო დეტალურ ინფორმაციას მოგაწვდით, რადგან გულშემატკივრებმა უნდა იცოდნენ, რომ აქ ბევრი ვაი-მწვრთნელი უგულოდ და აგდებულად ექცევა ნიჭიერ ფეხბურთელებს, რაც ქართულ საფეხბურთო პოტენციალს ამცირებს.

საქართველოში ტალანტებს ზერელედ რომ ეპყრობიან, ახალი არავისთვისაა. თუმცა, ჩვენივე სირცხვილია, საქართველოში რომ არ იცნობენ და არც უმაღლესი ლიგის გუნდები იკარებენ ახლოს ფეხბურთელს, რომელიც ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ ეტაპზე მოხვედრილ გუნდში ჩაირიცხება.

თელავის "კახეთის" ყოფილი პრეზიდენტი გია გერგიშვილი ლაშა დეკანოსიძეს ბავშვობიდან იცნობს, დიდხანს გულშემატკივრობდა მას და ახლა მოხარულია, ბელარუსში მაინც რომ გაიგეს ქართველი ფეხბურთელის ფასი.

**გია გერგიშვილი**: - ლაშა ჩემი შვილის მეგობარია, "ნორჩ დინამოელში" ერთად ვარჯიშობდნენ და "დინამო 2 შიც" ერთად აიყვანეს. ვიცოდი, ნიჭიერი ბავშვი რომ იყო და ვგულშემატკივრობდი. ყველას ვუჩიჩინებდი, - აიყვანეთ, არ ინანებთ-მეთქი. ლაშა ვეტერან ფეხბურთელ გურამ ვასაძესაც მოეწონა და მის გამო ბევრი მწვრთნელიც შეაწუხა, მაგრამ ყურადღება არც მას მიაქცია ვინმემ.

**- თუკი ასეთი ნიჭიერი იყო, გუნდში რატომ არ აჰყავდათ?**

- 15 წუთში როგორ უნდა გაიგო, ფეხბურთელი ვარგა თუ არა?! სამწუხაროდ, საქართველოში ასე ხდება... ჩემი შვილი, დიტო გერგიშვილი (რომელიც ახლა ბელარუსში, "სავიტში" თამაშობს) "დინამოს" აკადემიიდან როცა წამოვიდა, ის და ლაშა თემურ ჩხაიძესთან მივიყვანე. მას დეკანოსიძე მოეწონა და გუნდში დაიტოვა. მართლაც რომ შვილივით უვლიდა. თემურის დამსახურებაა, ლაშა ფეხბურთელად რომ ჩამოყალიბდა. ხედავდა და აფასებდა მის მონდომებას, ენდობოდა, ათამაშებდა... ლაშა ნიჭიერია, თავით საუკეთესოდ თამაშობს, შეუძლია მარცხენა მცველის და ჰავბეკის პოზიციაზე გამოსვლა, მაგრამ არ არის გამორიცხული, "ბატეში" საყრდენ ნახევარმცველად დააყენონ. როგორც მთავარი მწვრთნელი ამბობს: უდიდეს სამუშაოს ასრულებს და შეიძლება, საყრდენად უფრო სასარგებლოც აღმოჩნდესო. შესაძლებელია, ლაშა 17 სექტემბერს მადრიდში მიიწვიონ და "რეალთან" - არა მარტო განაცხადში, არამედ ძირითად შემადგენლობაშიც შეიყვანონ.

**- ბელარუსში საიდან მოხვდა, თუკი საქართველოშიც არავინ იცნობდა?**

- ამ შემთხვევაში ბედმა გაუღიმა. ლაშას ნათლია პატარა ქალაქ ბორისოვში საქმიანობს, სადაც ყველა ბიზნესმენი ერთმანეთს იცნობს. ლაშას ნათლია "ბატეს" პრეზიდენტ ანატოლი კაპსკისთან მეგობრობს და სთხოვა, ლაშა ენახა. კაპსკიმ დაუჯერა და ლაშა 20 ივლისს დუბლებში ჩავიდა. "ბატე 2-ის" მწვრთნელს ლაშა მოეწონა, - ეს დუბლების კი არა, ძირითადის ფეხბურთელიაო. მთავარი მწვრთნელი ვიქტორ განჩარენკოც აკვირდებოდა ლაშას თამაშს და ვინაიდან ვარჯიშიდან ვარჯიშამდე პროგრესს ატყობდა, მისი აყვანა გადაწყვიტა.

**- "ბატესთან" რამდენწლიანი კონტრაქტი გააფორმა?**

- ჯერჯერობით - სეზონის ბოლომდე, მაგრამ სამწლიან კონტრაქტზეც უკვე შეთანხმდნენ. იცით, რატომ მოვყევი ეს ყველაფერი? - მინდა ხალხმა გაიგოს, რომ ლაშა დეკანოსიძემ ძალიან ბევრი იწვალა, იშრომა, ბევრიც ითმინა და ბევრი ტკივილიც აიტანა, დიდ ფეხბურთში გზა რომ გაეკვლია. მის წინსვლას, სავარაუდოდ, ისიც აბრკოლებდა, რომ მის ოჯახს მატერიალურად არ ულხინს, მაგრამ ღვთისმოშიში ბიჭია და უფლის წყალობით, სანადელს მაინც მიაღწია. მართალია, ლაშას გაუმართლა და ჩემპიონთა ლიგაში თამაშის შანსი მიეცა, მაგრამ ვინ მოთვლის, კიდევ რამდენი ნიჭიერი მოზარდი გვყავს საქართველოში და მის შესახებ არაფერი ვიცით.

გუშინ ლაშა დეკანოსიძეს ბელარუსში დავუკავშირდით.

**- ლაშა, „ბატემდე" საკმაოდ რთული გზა გაგივლია...**

- მე ზორბეგ ებრალიძესთან ვვარჯიშობდი, „ნორჩ დინამოელში". მან მასწავლა ფეხბურთის თამაში, შრომა, მოთმინება. ბატონ ზორბეგთან რომ არ მოვხვედრილიყავი, თბილისის „დინამოს" აკადემიაშიც არ წამიყვანდნენ. თუმცა, მერე „დინამო 2 ში" არ გადამიყვანეს და თემურ ჩხაიძემ ოლიმპიური მომზადების ცენტრში ამიყვანა, სადაც ორი წელი ვითამაშე. ჩხაიძემ დიდ ფეხბურთში დამკვიდრების შანსი მომცა, გულიანი და წესიერი ადამიანია. რაც შეეხება რთულად განვლილ გზას, ასეთ ცხოვრებას უკვე შევეჩვიე...

**- უმაღლესი ლიგის არც ერთ კლუბში არ აგიყვანეს, ბევრმა მწვრთნელმა გადაგიწურა იმედი. გულში წყენა ხომ არ ჩაგრჩა?**

- რა დასამალია, ნაწყენი ვიყავი, მაგრამ რაც იყო - იყო, ყველაფერი წარსულს ჩაჰბარდა. სამაგიეროდ, ბევრი კეთილი ადამიანიც შემხვდა და მაინც ბედნიერი ვარ.

**- საინტერესოა, რომელმა კლუბებმა არ აგიყვანეს?**

- „სიონში" რომ მნახეს, მითხრეს, - პატარა ხარ და მალე დაგიკავშირდებითო. ვიცოდი, უბრალოდ მამშვიდებდნენ. მერე მე, ჩემი ძმა და კიდევ ერთი ჩვენი მეგობარი ვლადიკავკაზის „ალანიაში" ვემზადებოდით, მაგრამ იქაც იმავე „ტექსტით" გამოგვისტუმრეს - დაგიკავშირდებითო. მერე თემურ ჩხაიძესთან ვთამაშობდი. ამის შემდეგ - აზერბაიჯანში, განჯის გუნდში თამაშის იმედი გამიჩნდა. გუნდის მწვრთნელს მოვეწონე, მაგრამ ჩემდა საუბედუროდ, გუნდი ფინანსური კრიზისის გამო დაიშალა. სხვა რა გზა მქონდა, თემურ ჩხაიძესთან დავბრუნდი, რომელიც ამ დროისთვის რეგიონალლიგის „ორბებს" ავარჯიშებდა. ერთი წელი ვითამაშე და ეს გუნდიც დაიშალა. იმ პერიოდში ჩემი ნათლიის დახმარებით, „ბატეში" ძალების მოსინჯვის საშუალება გამიჩნდა... საბედნიეროდ, ძლიერ კლუბში ახლა მაინც ჩავირიცხე.

**- ბელარუსები ფიზიკურად საკმაოდ კარგად მომზადებული ფეხბურთელები არიან. მათ ფონზე, ჩვენი რეგიონალლიგის მომზადებულს, არ გაგიჭირდა?**

- არ გამჭირვებია. მანამდე ხომ თბილისში ინდივიდუალურადაც ვვარჯიშობდი... ბევრს დავრბოდი, რომ ბელარუსებზე ნაკლები არაფრით ვყოფილიყავი და მინდა აღვნიშნო, ფიზმომზადებით მართლაც არავის ჩამოვუვარდები.

**- მადრიდში „რეალთან" სათამაშოდ მართლა გამზადებენ?**

- აქ სათამაშოდ ამიყვანეს და იმედია, მადრიდშიც წამიყვანენ.

**- რუსეთთან ომის შემდეგ, ქართველებისადმი ბელორუსების დამოკიდებულება როგორია?**

- პირადად მე, თბილად მექცევიან. საერთოდ, ბელარუსები კარგი ხალხია, ქართველების მიმართ დადებითად არიან განწყობილი...

**- ხვალ მინსკში ჩვენი ახალგაზრდულის შეხვედრაზე რუსეთს არ უგულშემატკივრებენ?**

- არა მგონია, ასე მოხდეს... ისე, დარწმუნებული ვარ, სტადიონზე ბევრი მაყურებელი მივა, რადგან რუსებთან ჩვენი ომის შემდეგ, საქართველო-რუსეთის შეხვედრა ნებისმიერ სახეობაში საინტერესოა.

**- ჩემპიონთა ლიგაში გასული გუნდის წევრს, წესით, ეროვნულში თუ არა, ახალგაზრდულ ნაკრებში მოხვედრის იმედი მაინც გექნება...**

- თავისთავად ცხადია, იმედი გამიჩნდა. ყველაფერს გავაკეთებ, „ბატეში" რომ ვითამაშო და ნაკრებში მიწვევა დავიმსახურო.

ინტერვიუ რევაზ ბარაბაძესთან

# სქოლარი რამდენიმე წუთი მესაუბრა...

## უელსში ჩელსიმ რევაზ ბარაბაძე მოიკითხა



რევაზ ბარაბაძე

**რეზო ბარაბაძე** საქართველო-რუსეთის თბილისური შეხვედრის ერთ-ერთი გმირი იყო, ბურთიც გაუტანა მოწინააღმდეგეს და გვარიანადაც ანერვიულა მცველები. მას დღეს მინსკში მოედანზე რუსები ვერ იხილავენ. სამწუხაროდ, რეზო დაშავდა და თამაშს თბილისში, ტელევიზორით მიადევნებს თვალ-ყურს. რეზოს რუსებთან შეხვედრაზე, მის პერსპექტივებსა და ტრავმის მიზეზებზე ვესაუბრეთ...

**- რეზო, როდის დაშავდი და ასეთი რა ტრავმა მიიღე, გუნდს რომ ვერ ეხმარები?**

- ახალგაზრდულთან ერთად საგურამოში ვვარჯიშობდი და მუხლი შემიბრუნდა. თამაშს ვინ ჩივის, ისიც კი არ ვიცი, ვარჯიშს როდის შევძლებ. ჯერ ექიმები ვერც მეუბნებიან, ტრავმა რამდენად სერიოზულია. გასარკვევია, ჯვარედინი იოგებია დაზიანებული თუ მყესები. თუ ჯვარედინი იოგები არაა დაწყვეტილი, მოედანზე დაბრუნებას დაახლოებით ექვს თვეში შევძლებ. თუ მენისკია, შეიძლება თვე-ნახევარში მიმკურნალონ. ტრავმა მანამდეც მიმიღია - „ტერეკთან" თასის შეხვედრის დროს ფეხი გადამიბრუნდა. მერე 8 აგვისტოსთვის თბილისში ჩამოვედი, ბრიტანეთის ვიზა უნდა ამეღო, უელსში ხომ სანაკრებო სიაში ვიყავი. ვიზა ავიღე, თუმცა ტრავმის გამო, ველარ წავედი. ამასობაში, ომიც დაიწყო და სამკურნალოდ ბაქოში გავემგზავრე, მაგრამ იქაც ვერ მომარჩინეს. მალე ტკივილებმა გამიარა. ამით დაიმედებულმა ახალგაზრდულთან ვივარჯიშე და უფრო მძიმე ტრავმა მივიღე.

**- შენი აზრით, მინსკში რუსეთის ახალგაზრდულთან შეხვედრა ომს არ დაემსგავსება?**

- ომზე ლაპარაკი არ მსურს... თუმცა, ჩვენი ბიჭები შემართულები რომ არიან, ეს ნამდვილად ვიცი. მომზადება ხომ ერთად დავიწყეთ და კარგად დავინახე, გუნდში რა სულისკვეთებაა, როგორი მონდომებით ემზადებიან. ჩვენ ეს თამაში უნდა მოვიგოთ. დარწმუნებული ვარ, ცხარე ბრძოლა იქნება. რუსებთან შეხვედრას გაცილებით მეტი ფასი აქვს, ვიდრე ყველა სხვა დანარჩენს. შეიძლება, „ომიც" იყოს - ნერვების ომი, აი, დიდი დაძაბულობა კი აუცილებლად იქნება.

**- რუსებთან „ომი" ულიანოვსკში უკვე მომხდარა, მაგრამ დღემდე უცნობია - გიორგი ნავალოვსკიმ „ვოლგის" მოთამაშესთან რატომ იჩხუბა?**

- ზუსტად მეც არ ვიცი. იმ დროს უკვე თბილისში ვიყავი. მხოლოდ ის მითხრეს, რომ რუსმა ფეხბურთელმა წაიუზრდელა და საკადრისი პასუხიც მიიღო. ყველაფერი ომის ბრალია, ჩვენები დაძაბულები თამაშობენ.

**- რუსეთში მოთამაშე ქართველები ამბობენ, თითქოს რუსების დამოკიდებულება მათ მიმართ არ შეცვლილა. თუმცა, მოგვდის ინფორმაცია, რომ ქართველებს ეროვნების გამო დევნიან. მახაჩყალაში როგორი ვითარებაა?**

- იქ მსგავსი არაფერი ხდება... დაღესტნელები ხომ მუსლიმანები არიან და რუსებთან კარგი ურთიერთობით არ გამოირჩევიან. ჩვენთან კი ძველებური დამოკიდებულება აქვთ. ყოველ შემთხვევაში, ბიჭები ასე ამბობენ...

**- როგორც შევიტყვეთ, პორტუგალიასთან მატჩის შემდეგ შენთან ფილიპე სქოლარი მოვიდა და გესაუბრა.**

- დიახ, მოვიდა და ჩემი პიროვნებით დაინტერესდა.

**- დიდხანს გესაუბრა?**

- არა, დაახლოებით 2-3 წუთი.

**- კონკრეტულად რა გკითხა?**

- სად ვთამაშობდი, რამდენი წლის ვარ...

**- შენ გარდა, სქოლარი სხვა ქართველს თუ ესაუბრა?**

- ჩემს იქ ყოფნაში არავისთან ულაპარაკია.

**- გვითხრეს, თითქოს „ჩელსის" წარმომადგენელი უელსში საქართველოს ნაკრების შეხვედრას დაესწრო და გიკითხა. მართალია?**

- დიახ, მითხრეს, რომ „ჩელსის" წარმომადგენელი უელსში ჩემი თამაშის სანახავად ჩამოვიდა და ამის შემდეგ ჩემი საკითხი უნდა გადაწყვეტილიყო. ბედი არ გინდა? მაინცდამაინც ამ თამაშამდე დავშავდი.

**- „ჩელსიში" შენთან დაკავშირებით რა უნდა გადაეწყვიტათ?! გუნდში შენს აყვანაზე ხომ არ იყო ლაპარაკი?!**

- როგორც ვიცი, საკითხი სწორედ ჩემს აყვანას ეხებოდა, მაგრამ - „ჩელსიში" თუ მის პარტნიორ სხვა გუნდში, ზუსტად ვერ გეტყვით. ფაქტია, რომ სქოლარის წარმომადგენელი უელსში ჩემს სანახვად ჩამოვიდა და დაინტერესდა, რატომ არ ვიყავი.

გვერდი მოამზადა
**მერაბ მამულაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეტოქე. იტალია

# ლიპი საყვარელ ტაქტიკას უბრუნდება

## ექსპერტთა თვალით დანახული სკუადრა აძურა









**იტალიის** სერია A-ს პირველმა ტურმა ხმაურიანად და ემოციურად ჩაიარა. შესაბამისად, ჟურნალისტებს, ექსპერტებსა და გულშემატკივრებს ამ დღეებში სალაპარაკო მართლაც ბევრი ჰქონდათ: ჟოზე მოურინიოს „ინტერის" უნიათო თამაში გენუაში, ნაქები „მილანის" საშინაო მარცხი „ბოლონიასთან", ნეაპოლელი ტიფოზების ხულიგნობა რომის ქუჩებში და ასე შემდეგ...

მაგრამ აი, მოახლოვდა შაბათი და მთელი ყურადღება კოვერჩანოსკენაა მიპყრობილი, სადაც იტალიის ნაკრები კვიპროსთან და საქართველოსთან მატჩებისთვის ემზადება. ეს თამაშები იმითიცაა მნიშვნელოვანი, რომ ორწლიანი პაუზის შემდეგ მარჩელო ლიპი ოფიციალურ შეხვედრაში „აძურას" პირველად გაუძღვება. იტალიელ ექსპერტთა მთავარი სასაუბრო თემაც სწორედ ესაა - რომელ ტაქტიკას მიანიჭებს უპირატესობას, რომელ ფეხბურთელებს დაეყრდნობა, და საერთოდ - როგორი იქნება მარჩელოს იტალია. შეგახსენებთ, რომ ლიპის ახალი ერა ავსტრიასთან ამხანაგური მატჩით (2:2) დაიწყო. ახლა კი ექსპერტთა მოსაზრებები...

### შეტევა

მთავარი თავსატეხი შეტევის ხაზიაო, მიაჩნიათ აპენინელებს და ანალიზსაც ამ რგოლიდან იწყებენ, მაგრამ ჯერ წარსულში ბრუნდებიან. ლიპის დებიუტი 2004 წლის აგვისტოში შედგა: მაშინ „აძურამ" ამხანაგურ შეხვედრაში დამამცირებელი და გაუგონარი მარცხი იწვნია ისლანდიის ეროვნული გუნდისგან (0:2). მწვრთნელი გვარიანად გააკრიტიკეს. მარჩელოს სამფორვარდიანმა ტაქტიკამ უმტყუნა, თუმცა ამ სქემაზე გული არ აუცრუებია და საბოლოოდ რა შედეგამდეც მივიდა, კარგად მოგეხსენებათ. ლიპის უყვარს ორი განაპირა შემტევითა და ცენტრფორვარდით თამაში (ჯერ კიდევ მისი ფორმაციის „იუვე" თამაშობდა **დელ პიერო-ვიალი-რავანელის ტრიოთი**) და სავარაუდოდ, მომავლის იტალიაც ტრიოთი შეუტევს.

და რა არჩევანი აქვს მას ახალი ტრიოს დასაკომპლექტებლად? შორს მიმავალ, სამუნდიალო გეგმებზე ლაპარაკი დღეს ნაადრევია, უახლოესი მატჩებისთვის კი ორი ვარიანტი იკვეთება. ექსპერტთა აზრით, **ლუკა ტონის** ცენტრფორვარდობა უალტერნატივოა, ისევე, როგორც **ანტონიო დი ნატალეს** მარცხენა ფრთაზე გამწესება. მარჯვენა გარემარბად კი ორი ფეხბურთელი განიხილება: **ვინჩენცო იაკვინტა** ან **მაურო კამორანეზი**. პირველი უფრო შეტევაზე ორიენტირებული ფეხბურთელია, მეორეს კი ნახევარდაცვის დახმარება ჩამშლელის როლშიც შეუძლია. ლიპისთვის ორივე ვარიანტი მისაღები უნდა იყოს, არჩევანი კი, დიდი შანსია, საგარეო და საშინაო მატჩების სპეციფიკის მიხედვით გაკეთდეს - ანუ კვიპროსთან წინა ხაზზე კამორანეზის და, შესაბამისად, უფრო ფრთხილ იტალიას ვიხილავთ, საქართველოსთან კი - მეორე „იუვენტინოს", იაკვინტას და შეტევაზე ორიენტირებულ „სკუადრას". ლიპის განკარგულებაშია **ალესანდრო დელ პიერო** და შესანიშნავ ფორმაში მყოფი **ალბერტო ჯილარდინოც**. მათ, ალბათ, თავიანთი როლი ექნებათ ამ ბატალიებში.

### ნახევარდაცვა

ლიპი ყოველთვის სამ ნომინალურ ნახევარმცველს აყენებდა და, სავარაუდოდ, ამჯერადაც ასე მოიქცევა. შემტევ სამეულს ერთ ხაზზე განლაგებული შუახაზელები გაუმაგრებენ ზურგს. რომელ სამეულზე შეჩერდება მაესტრო მოახლოებულ შეხვედრებში? აპენინელები აქაც ორ ფეხბურთელს გამოარჩევენ და მათ სასტარტოში მოხვედრას ეჭქვეშ არ აყენებენ. ლაპარაკია მილანელ **ანდრეა პირლოსა** და რომაელ **დანიელე დე როსიზე**. პირველი ჩვეულ პოზიციაზე, საყრდენ ნახევარმცველად ითამაშებს, „რომანისტა" კი ოდნავ მარცხნივ დადგება.

რჩება მარჯვენა ფლანგი და აქ ყველაფერი იმაზეა დამოკიდებული, აირჩევს თუ არა ლიპი კამორანეზის ვარიანტს. თუ მისი ადგილი შეტევაში არ გამოიძებნა, მაშინ ნახევარმცველის ფუნქციის შესრულება მოუწევს. საპირისპირო შემთხვევაში კი გამოთავისუფლებულ პოზიციას, სავარაუდოდ, **ჯენარო გატუზო** შეავსებს. მარჩელოს განკარგულებაშია კიდევ ერთი ფეხბურთელი, რომელსაც სასტარტოში მოხვედრის ამბიცია აქვს - **ალბერტო აკვილანი** შესანიშნავ ფორმაშია, რაც სერია A-ს პირველ ტურში, „ნაპოლისთან" შეხვედრაშიც დაამტკიცა. საინტერესოა, რა როლი ექნება მას უახლოეს ბატალიებში.

### დაცვა

ევროპის ჩემპიონატზე დაცვის ხაზი იტალიის ნაკრების ყველაზე სუსტი წერტილი იყო და მწვრთნელისგან, პირველ რიგში, სწორედ ამ რგოლის გაუმჯობესებას ელოდებიან. „აძურას" დაცვითი პოტენციალი სამუნდიალო ჭრილში ძალიან საინტერესო საანალიზო თემაა და ის ცალკე განხილვას საჭიროებს. ამ კონკრეტული მატჩისთვის კი ვითარება შედარებით მარტივია. კარგ ფორმაშია **ფაბიო გროსო** და ის „თავის" მარცხენა ფრთას გააკონტროლებს, მარჯვნივ კი **ჯანლუკა ძამბროტა** გამწესდება. ახალი მილანელი არ ბრწყინავს, მაგრამ ლიპი მას ყოველთვის ენდობოდა და, სავარაუდოდ, არც ამჯერად დაარღვევს ტრადიციას.

რაც მთავარია, დაცვის ცენტრში **ფაბიო კანავარო** ბრუნდება. ეს უკვე მოვლენაა. კაპიტანმა ევროპის ჩემპიონატი ტრავმის გამო გამოტოვა. მისი მეწყვილე, ალბათ, **ალესანდრო გამბერინი** იქნება. ფლორენციელი კარგ ფორმაშია, რისი მოწმენიც „ფიორენტინა"-„იუვეს" მატჩში გავხდით. მის ალტერნატივად, ნაკრებში დაბრუნებული **ნიკოლა ლეგროტალიე** და ვოლფსბურგელი **ანდრეა ბარძალი** მიიჩნევიან. არ შეიძლება **ანდრეა დოსენას** (რომელიც ამ ზაფხულს „ლივერპულში" გადავიდა) დავიწყებაც. ამ ახალგაზრდამ ავსტრიასთან ამხანაგურ მატჩში საკმაოდ კარგი შთაბეჭდილება დატოვა და მედიისგან კომპლიმენტებიც დაიმსახურა.

### მეკარე

აქ ყველაფერი გარკვეულია. კარს აუცილებლად **ჯანლუიჯი ბუფონი** დაიცავს. იუვენტუსელი ჯანზეა და წვრთნის დროსაც არნახულად მონდომებულია. ეტყობა, ლიპის დაბრუნებამ მას მეტი სტიმული და მოტივაცია მისცა. სათადარიგო კიპერი კი წესით, **მარკო ამელია** უნდა ყოფილიყო, მაგრამ როგორც გუშინდელ ნომერში გაცნობეთ, ტრავმის გამო პალერმოელი შინ გაემგზავრა. მას „სიენას" კიპერი **ჯანლუკა კურჩი** შეცვლის.

**ლაშა ნიკლაური**

---

პალერმო

# მანიაკის მორიგი მსხვერპლი: ძამპარინიმ კოლანტუონო მეორედ გააგდო!

## როდის დადგება ბალარდინის ჯერი?

**მაურიციო ძამპარინი** თავის სტიქიაშია. „უდინეზესთან" სასტარტო მარცხის (1:3) გამო „პალერმოს" პრეზიდენტმა მწვრთნელი **სტეფანო კოლანტუონო** თანამდებობიდან გაათავისუფლა. ეს ის კოლანტუონოა, რომელსაც ანალოგიური „ბედნიერება" შარშანაც ჰქონდა. ძამპარინიმ ის ნოემბერში, „იუვენტუსთან" წაგების (0:5) შემდეგ დაითხოვა. მის ნაცვლად კი მოიყვანა **ფრანჩესკო გვიდოლინი**, რომელიც 2008 წლის მარტში, ბოლო სამი წლის განმავლობაში მეოთხედ მოხსნა. გვიდოლინს კვლავ კოლანტუონო ჩაენაცვლა, რომელმაც სეზონი ჩაამთავრა და გუნდი მიმდინარე კამპანიისთვის მოამზადა...

ახალი ჩემპიონატისთვის ძამპარინიმ ამბიციური გეგმები დააწყო. უფალ პრეზიდენტს მიაჩნდა და დღესაც იმ აზრზეა, რომ „პალერმოს" ჩემპიონთა ლიგის საგზურისთვის შეუძლია ბრძოლა. იტალიაში ეს სასაცილოდ არ ჰყოფნით. რა თქმა უნდა, ძამპარინი კოლანტუონოს ახალ ხაფანგს უგებდა. მაშინ, როცა გუნდს ტოვებს დაცვის ორი წამყვანი ფიგურა, მსოფლიოს ორი ჩემპიონი - **ანდრეა ბარძალი** და **კრისტიან ძაკარდო**, და რაც მთავარია, ბომბარდირი **კარვალიო ამაური**, ბუნებრივია, აქ ჩემპიონთა ლიგის საგზურზე (თუ რაიმე საგზურზე შეიძლება იყოს ლაპარაკი, სერია B უფრო რეალურია) ოცნება უტოპიაა. პირდაპირ რომ ვთქვათ, ძამპარინისა და ზოგადად, მწვრთნელებს შორის ურთიერთობა, ტიპური მანიაკისა და მაზოხისტი მსხვერპლის ისტორიაა.

...მოკლედ, კოლანტუონომ კიდევ ერთხელ გაყო თავი ყულფში, ამჯერადაც თავისი ნებით. ცხადია, მას ძამპარინისთან პრეტენზია არ უნდა ჰქონდეს. ის პოსტზე ძალით არ დაუნიშნავთ. არ უნდა ჰქონდეს პრეტენზია თუნდაც იმიტომ, რომ ამ ზამთარს, „პალერმოდან" წასვლის შემდეგ, **კლაუდიო ლოტიტო** მას „ლაციოში" ეპატიჟებოდა. გეთანხმებით, რომ ლოტიტო ნამდვილად არ



არის საჩუქარი. მისებრ ძუნწი პრეზიდენტი სერია A-ში ბევრი არ მოიძებნება, მაგრამ ძამპარინისთან შედარებით ნამდვილი ანგელოზია.

აქამდე, სერია A-ს ისტორიაში, პირველსავე ტურის შემდეგ მწვრთნელის დათხოვნის ფაქტი ერთადერთხელ მოხდა: ეს იყო 1999 წლის აგვისტოში, როცა **მარჩელო ლიპი** „რეჯინასთან" წაგების (1:2) შემდეგ „ინტერიდან" გაუშვეს. მაგრამ ამას წინ უძღოდა „ნერაძურის" მარცხი ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპზე, უსახელო შვედურ „ჰელსინგბორგთან", რასაც **მასიმო მორატი** ესოდენ მაღალი რანგის მწვრთნელს ვერ აპატიებდა. და ვიდრე „ინტერის" ბოსი შოკიდან გამოვიდოდა, ლიპის მარცხიანმა სტარტმაც მოუსწრო და მერე ნამდვილად აღარ იყო გამოსავალი. მარჩელოს ფანებიც გადაუდგნენ. ისე, მწვრთნელების ცვლა მორატისთვისაც არ არის საჩოთირო საქმე. ბოლო პერიოდში გამონაკლისი მხოლოდ **რობერტო მანჩინი** იყო, რომელმაც პოსტზე სამი სეზონი გაძლო.

დავუბრუნდეთ ძამპარინის. საინტერესოა, რით ხსნის ის კოლანტუონოს გაშვებას: *„მწვრთნელთან დაკავშირებით პასუხისმგებლობაცა და გადაწყვეტილებაც ჩემია. სპორტულმა დირექტორმა და გენერალურმა მენეჯერმა ამის თაობაზე ეს-ესაა გაიგეს. უნდა გითხრათ, რომ ისინი ამით კმაყოფილნი არ არიან... მაგრამ მე მაინც მივილე ეს გადაწყვეტილება და მიმაჩნია, რომ სწორი ნაბიჯი გადავდგი. სიმართლე გითხრათ, ეს არ ყოფილა სპონტანური არჩევანი, ორი დღე-ღამის განმავლობაში ვფიქრობდი... უდინედან დაბრუნების შემდეგ შევხვდი სამწვრთნელო შტაბს... სამწუხაროდ, მათ ვერაფერში დამარწმუნეს. მაშინვე მივხვდი, რომ ნდობის კრედიტი ამოწურული იყო".*

როგორც ხედავთ, ძამპარინის წონადი არგუმენტი არ აქვს. ანუ, დასკვნა მანიაკისა და მსხვერპლის თაობაზე აქ ყველაზე მართებულ არგუმენტად მიგვაჩნია. „უდინეზესთან" წაგებისთანავე, ჟურნალისტებმა ძამპარინის მხოლოდ ეს ჰკითხეს - რა ბედი ელის კოლანტუონოსო? მწვრთნელს არაფერი ემუქრებაო, ასეთი იყო პასუხი...

ცნობისთვის, „პალერმოს" ან უკვე ყოფილი მწვრთნელი ძამპარინის 27-ე მსხვერპლია - მოყოლებული 1989 წლიდან, როცა ის ჯერ კიდევ „ვენეციის" ბოსი იყო. პირველად, მან სწორედ „ვენეციის" დამრიგებელი **ნიკოლა ფაბრი** მოიშორა. თავის დროზე, „ძამპას" ხელში ანალოგიური ხვედრი გაიზიარეს გაცილებით სახელოვანმა მწვრთნელებმაც - **ლუჩანო სპალეტიმ** და **ალბერტო ძაკერონიმ**.

ვინ იქნება კოლანტუონოს შემცვლელი? უფრო მართებული იქნება, თუ კითხვას ასე დავსვამთ - ვინ იქნება ძამპარინის მორიგი მსხვერპლი? ვინ და, **დავიდე ბალარდინი**, 44 წლის სპეციალისტი, რომელმაც გასულ სეზონში „კალიარი" გადაარჩინა. სარდინიელებს თავიდან უიმედო მდგომარეობა ჰქონდათ, მაგრამ ბალარდინის ხელში გუნდმა ბრწყინვალედ ჩაატარა მეორე წრე და სერია A-ში დარჩა. სხვათა შორის, „პალერმოში" დანიშვნამდე ინგლისური პრესა სპეკულირებდა, თითქოს ბალარდინის „ვესტ ჰემში" **ალან კერბიშლი** უნდა შეეცვალა, თუმცა მან ძამპარინის სამსხვერპლოზე ასვლა არჩია...

**გიორგი ბელაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ვესტ ჰემი ეძებს

მოგეხსენებათ, გუშინწინ **ალან კერბიშლი** მოულოდნელად გადადგა. ბუნებრივია, "ჩაქუჩების" ახალი თავკაცის პოსტი მაშინვე აქტუალური გახდა. პრესის მიერ უკვე ბევრი გვარი დასახელდა. ჯერჯერობით, კლუბის ხელმძღვანელობა საკუთარ კანდიდატურებს არ აკონკრეტებს. *"უკვე ბევრჯერ მკითხეს, მსურს თუ არა "ვესტ ჰემის" ჩაბარება. იქნებ მინდა კიდეც, მაგრამ ახლა ამას რა მნიშვნელობა აქვს? მოგეხსენებათ, მოქმედი კონტრაქტი მაკავშირებს ხორვატიის ფეხბურთის ფედერაციასთან და მის დარღვევაზე ფიქრიც კი არ მინდა,"* - განაცხადა **სლავენ ბილიჩმა**. შეგახსენებთ, რომ ფეხბურთელობისას სლავენს "ჩაქუჩების" რიგებში 1996-97 წლების სეზონში უთამაშია.

"ვესტ ჰემის" ჩაბარებაზე ასევე უარი თქვა ინგლისის ახალგაზრდული ნაკრების თავკაცმა **სტიუარტ პირსმა**. *"მე ჩემი ქვეყნის ახალგაზრდული ნაკრების ბედი მაბარია და ამით ძალიან ვამაყობ. საკლუბო ფეხბურთში დაბრუნებას კი ჯერ არ ვგეგმავ,"* – გამოტყდა პირსი. ბილიჩისა არ იყოს, ამ კლუბის ღირსებას სტიუარტიც იცავდა. პრესის მიერ დასახელებულმა კიდევ ერთმა კანდიდატურამ, იტალიელმა **დავიდე ბალარდინიმ** გუშინ "პალერმო" ჩაიბარა. სამაგიეროდ, პრესასთან საუბარში კლუბში მუშაობის სურვილი თავად დაადასტურა სკანდალისტმა **პაოლო დი კანიომ**. ის სიხარულით დაბრუნდებოდა ლონდონში, მაგრამ მცირე პრობლემა უშლის ხელს. მას სამწვრთნელო ლიცენზია ჯერ არ აქვს და გაზაფხულამდე არც ექნება, რადგან კურსები, სადაც ვეტერანი სწავლობს, სწორედ მომავალ წლის მარტში სრულდება.

უფლება არ გვქონდა, თქვენამდე არ მოგვეტანა შემდეგი სახალისო ინფორმაცია: "უილიამ ჰილმა" 1/10 000-თან ფსონის მიღება დაიწყო ამერიკის დემოკრატი პრეზიდენტობის კანდიდატის **ბარაკ ობამას** მიერ "ჩაქუჩების" შესაძლო ჩაბარებაზე. ცნობილია, რომ ბატონი ობამა ფეხბურთის დიდი გულშემატკივარი გახლავთ. მისი საყვარელი კლუბი სწორედ "ვესტ ჰემია".

## რიბერი სექტემბრის ბოლოს



გუშინ სასიამოვნო ინფორმაცია გავრცელდა მიუნხენის "ბაიერნის" გულშემატკივართათვის. რეკორდმაისტერის ლიდერი **ფრანკ რიბერი** ძირითად გუნდთან ერთად ვარჯიშს უკვე შეუდგა. ორი კვირის განმავლობაში მინდორზე მისი დაბრუნება მოსალოდნელი არ არის. ეს უფრო თვის ბოლოსთვის იგეგმება. ფრანგმა ტრავმა ევროპის ჩემპიონატის ჯგუფური ეტაპზე იტალიასთან მატჩისას მიიღო.

## ლივერპული შეიძლება გაიყიდოს

არაბული კაპიტალის ექსპანსია ინგლისურ პრემიერლიგაში შეიძლება გაგრძელდეს. ამისთვის ყველა წინაპირობა არსებობს - "ტაიმსის" ცნობით, **ჯორჯ ჯილეტი** და **ტომ ჰიკსი** მზად არიან, დუბაის შეიხ **მოჰამედს** კლუბის აქციები სერიოზული შეთავაზების შემთხვევაში დაუფიქრებლად დაუთმონ.

აქვე მერსისაიდულ კლუბთან დაკავშირებულ სხვა საინტერესო ამბებსაც მოგითხრობთ: ესპანელმა **ალვარო არბელოამ** კლუბის ოფიციალურ ჟურნალთან თანამემამულე **ფერნანდო ტორესზე** ვრცლად ისაუბრა. მისი აზრით, ფორვარდისთვის შარშანდელი სეზონი შესაძლებლობების ზღვარი სულაც არ ყოფილა. შეგახსენებთ, რომ მხოლოდ პრემიერლიგაში ესპანელმა სუპერფორვარდმა 20 გოლის გატანა შეძლო, ხოლო ყველა ტურნირზე 30-ზე მეტი დაუგროვდა. არბელოამ თამამი პროგნოზი შემოგვთავაზა: *"დარწმუნებული ვარ, ფერნანდო 33 გოლზე მეტს გაიტანს,"* - აცხადებს ის.

"ლივერპულის" განაპირა ნახევარმცველ **ჯერმეინ პენანტს** კლუბთან კონტრაქტი 2009 წლის ივნისში უმთავრდება. ხელმძღვანელობამ მას უკვე შესთავაზა ახალი გარიგების დადება 4 წლის ვადით, გვამცნობს სააგენტო "გოლი".

**დანიელ აგერმა** უმძიმესი ტრავმის გამო შარშანდელი სეზონის მნიშვნელოვანი ნაწილი ლაზარეთში გაატარა. ის არც წელს გამოჩენილა მოედანზე, რამაც მერსისაიდელ გულშემატკივართა შეშფოთება გამოიწვია. ისინი შიშობდნენ, რომ ინფორმაცია ფეხბურთელის საბოლოოდ გამოჯანმრთელების შესახებ არ იყო მართალი. ხმებზე კომენტარი თავად ფეხბურთელმა გააკეთა. *"არავითარი პრობლემა ჯანმრთელობასთან დაკავშირებით არ მაწუხებს. თავს შესანიშნავად ვგრძნობ. ჩემი უთამაშებლობა მხოლოდ მწვრთნელის გადაწყვეტილებაა. ჩემ მაგივრად ახლა ძირითადში მარტინ შკრტელი თამაშობს. სლოვაკი შესანიშნავი ფეხბურთელია, მაგრამ მე აუცილებლად დავბრუნდები სასტარტო შემადგენლობაში. ამისთვის ყველაფერს გავაკეთებ."*



## კიგანი გადადგა

**კევინ კიგანმა** თანამდებობიდან გადადგომა საბოლოოდ გადაწყვიტა. ის რამდენიმე დღის განმავლობაში ჭოჭმანობდა. გუშინ, შუადღეზე გავრცელდა ინფორმაცია, რომ მან ვარჯიში გააცდინა. ეს კევინივით პედანტური ადამიანის სტილში არაფრით ჯდებოდა, რამაც, ეჭვი, რომ ის წასვლას აპირებდა, კიდევ უფრო გააძლიერა. ლეგენდარული ფეხბურთელი "ნიუკასლიდან" მეორედ წავიდა ამჯერად საბოლოოდ. პირველად კიგანი 1997 წელს "ტოტენჰემის" 7:0-ზე განადგურებიდან 24 საათში ყოველგვარი ახსნა-განმარტების გარეშე გადადგა. ახლა მან კონკრეტულად ჩამოაყალიბა საკუთარი პრეტენზიები. ის კლუბის სატრანსფერო პოლიტიკამ გააცოფა. კიგანი კატეგორიულად ეწინააღმდეგებოდა **ჯეიმს მილნერის** გასხვისებას, მაგრამ მისი ნება საკმარისი არ აღმოჩნდა.

## სპეკულაციები სიტის გარშემო

"მანჩესტერ სიტი" ბოლო დღეებში ინგლისური პრესის პირველი ფურცლებიდან არ ჩამოდის. ეს აბსოლუტურად გასაგებია. მსგავსი აჟიოტაჟი გამოიწვია თავის დროზე **რომან აბრამოვიჩის** მიერ "ჩელსის" ყიდვამ. ინგლისური ვებგვერდები უკვე სპეკულაციებსაც შეუდგნენ და "სიტის" უამრავი მაღალი კლასის ფეხბურთელით დაინტერესებას აწერენ. აი, მორიგი ამბავი "ქალაქელებზე". ინგლისური კლუბი თურმე **კაკათი** დაინტერესებულა. კონკრეტული თანხა არ სახელდება. ამ ინფორმაციას ტელეკომპანია "ჩენელ4" ავრცელებს. გაცხადდა კიდევ ერთი სუპერვარსკვლავით დაინტერესების ფაქტი. ეს თანამედროვეობის უდიდესი მეკარე **ჯანლუიჯი ბუფონი** გახლავთ. სახელდება კონკრეტული თანხა, რასაც "იუვენტუსი" ტრანსფერის შემთხვევაში მიიღებს – 70 მილიონი გირვანქა.

გასაკვირია, მაგრამ ჯერჯერობით ჭორაობა არ დაწყებულა კლუბის მომავალი ვარსკვლავური სტატუსის მქონე მწვრთნელზე. პირიქით, დაიწერა, რომ თავად **სულაიმან ალ ფაჰმიმ** გამოთქვა სურვილი, **მარკ ჰიუზი** დარჩეს გუნდში და მუშაობა მშვიდად განაგრძოს. არაბმა მილიარდერმა უელსელ სპეციალისტს სასურველი ფეხბურთელების სიის ჩამოწერისკენაც კი მოუწოდა.

**შალვა ბიბილაშვილი**

ვერდერი

# შააფის ტვინსაჭყლეტი

## რატომაა ვერდერის კრიზისი ლოგიკური

3 თამაში, არც ერთი მოგება, 2 ფრე და 1 მარცხი - აი, ასეთი სტარტი აიღო ბუნდესლიგაში ბრემენის „ვერდერმა", გუნდმა, რომელიც „ბაიერნის" შემდეგ, ბუნდესლიგის მოგების უმთავრესი პრეტენდენტია. რატომ ვერ შეძლეს „მუსიკოსებმა" თუნდაც ერთი თამაშის მოგება? თუკი პირველ ორ თამაშში ალიბი **დიეგოს** არყოფნა იყო, რომელიც ოლიმპიადაზე გახლდათ, მესამე მატჩში ბრაზილიელმა ითამაშა, მაგრამ ბრემენულმა კლუბმა ეს მატჩი სულაც წააგო (გლადბახთან 2:3).



ახლა სანაკრებო პაუზაა, რაც „ვერდერის" გენერალურ მენეჯერ **კლაუს ალოფსს** ძალიან არ მოსწონს, რადგან ისედაც კრიზისში მყოფი გუნდის მომზადება ვერ ხერხდება, რისი მიზეზიც ის არის, რომ წამყვანი ფეხბურთელები ნაკრებებში არიან გამოძახებული. სამაგიეროდ, მთავარ მწვრთნელ **თომას შააფს** საკმარისად აქვს იმის დრო, რომ კარგად დაფიქრდეს, რა უნდა შეცვალოს იმისათვის, რომ „ვერდერმა" გულშემატკივრების იმედები გაამართლოს. თანაც, ექსპერტებმა „მუსიკოსების" წარუმატებელი სტარტი შააფს დააბრალეს.

პრობლემები დაცვის ცენტრიდან იწყება. **პერ მერტეზაკერი** ტრავმირებულია, რის გამოც ბრემენული კლუბის უკანა ხაზი ფაქტობრივად მოშლილია. მერტე დაცვის ბურჯი გახლავთ და მის გარეშე, ბრაზილიელი **ნალდოც** ველარ არის სტაბილური, რადგან მერტეზაკერი მისთვის საუკეთესო დამზღვევია. ნალდოს კი, როგორც ყველა ბრაზილიელ მცველს, ძალიან უყვარს შეტევებში ჩართვა. პერის ნაცვლად შააფი ახლა **სებასტიან პრიოდლს** ათამაშებს, რომელიც მართალია, საკმაოდ ნიჭიერი მცველია, მაგრამ რა გასაკვირია, რომ მერტეზაკერის ღირსეული შეცვლა ვერ შეძლო.

„ვერდერს" არც დაცვის ფლანგებზე აქვს საქმე კარგად. მარჯვენა მცველი **კლემენს ფრიტცი** ცუდ ფორმაშია, მარცხენა მცველი **სებასტიან ბიონიში** კი იმედებს ვერ ამართლებს. წესითა და რიგით, შანსის მიცემას **პეტრი პასანენი** იმსახურებს, რომელმაც „შალკესთან" შეხვედრაში საკმაოდ სოლიდური შთაბეჭდილება დატოვა.

პრობლემებია საყრდენი ნახევარდაცვის პოზიციაზეც. შააფი ჯიუტად ენდობა ვეტერან **ფრანკ ბაუმანს**, რაც მიმომხილველებს შეცდომად მიაჩნიათ. ნახევრად შემტევი ნახევარმცველების პოზიციაზე **დანიელ იენსენი** და **მესუთ იოზილი** ცუდ ფორმაში არიან. იენსენმა მოსამზადებელ შეკრებაზე ძალიან კარგი შთაბეჭდილება დატოვა, მაგრამ საქმე საქმეზე რომ მიდგა, ველარაფერი გაახერხა. იოზილიც ვერ არის სრულყოფილი მოთამაშე და დამტკიცდა კიდეც, რომ ის „ვერდერის" დონის კლუბში სათამაშოდ მზად არ იყო. გაცილებით სტაბილური **აარონ ჰანტი** კი ტრავმირებულია.

თავდასხმაში **კლაუდიო პისარომ** ჯერ ვერაფერი დაამტკიცა. მართალია, პერუელმა ერთი გოლი გაიტანა, მაგრამ ეს არაფერს ნიშნავს - მისგან უფრო მეტს ელიან. კარგად დაიწყო **მარკუს როზენბერგმა**, მაგრამ მერე აურია. **უგო ალმეიდა**, **ბუბაკარ სანოგო** და **მარტინ ჰარნიკი** კი სკამს ხეხავენ.

ფაქტია, რომ შააფმა ფიქრით ტვინი უნდა იჭყლიტოს...

**გოტფრიდ ლენცი**

დაპირისპირების დასასრული

# უნოდა თუ არა ბალაკმა ბირჰოფს ქვეშაფსია?

## ანუ, ისევ იმ ინციდენტის შესახებ, რომელიც ევროპის ჩემპიონატის ფინალის შემდეგ მოხდა

გუშინწინ გერმანიის ნაკრების მენეჯერი **ოლივერ ბირჰოფი** და კაპიტანი **მიხაელ ბალაკი** ოფიციალურად შერიგდნენ. როგორც იცით, ევროპის ჩემპიონატის ფინალის დასრულების შემდეგ, რომელიც ბუნდესგუნდმა ესპანეთთან წააგო, ბირჰოფმა ფეხბურთელებს სთხოვა, ფანებთან მივიდეთ და მადლობა გადავუხადოთო, რის გამოც მას ბალაკმა შეუტია, რა დროს ხელების ქნევა და მადლობების ძახილია, ამ წუთას ევროპის ჩემპიონატის ფინალი წავაგეთ და წესით, კუდამოძუებული ძაღლებივით უნდა გავრბოდეთ სტადიონიდანო. ალბათ არ მოიძებნება გულშემატკივარი, რომელიც ბალაკს ამის გამო გაამტყუნებს. თუმცა ახლა ბირჰოფსა და ბალაკს შორის დაპირისპირება აღარ არსებობს. **ოლივერ კანის** გამოსათხოვარი მატჩის შემდეგ ორივემ თქვა, რომ წყენა დავიწყებულია.

„შპორტ ბილდი" წერს, რომ მაშინ ბალაკმა ბირჰოფს ქვეშაფსია უნოდა და საინტერესოა, რამდენად შეესაბამება ეს ინფორმაცია სიმართლეს. როდესაც ჩვენი გერმანელი კოლეგები მიხაელს და ოლივერს დაუკავშირდნენ და ჰკითხეს, არის თუ არა ეს სიმართლე, კომენტარზე ორივე მათგანმა უარი განაცხადა. ბირჰოფმა უბრალოდ აღნიშნა, რომ ამ თემაზე საუბარი არ სურს. ასეა თუ ისე, ფაქტი ის გახლავთ, რომ არც ერთს არ უარყვია.

ფაქტია ისიც, რომ არა **კევინ კურანი**, მაშინ ბალაკი და ბირჰოფი ერთმანეთს ხელითაც შეეხებოდნენ. მომხდურები სწორედ „შალკეს" თავდამსხმელმა გააშველა. მოგვიანებით დაპირისპირება გასახდელშიც გაგრძელდა. იყო საუბრები, რომ ბალაკს ჯარიმას დააკისრებდნენ, მაგრამ გერმანიის საფეხბურთო კავშირმა ასეთი გადაწყვეტილების მიღებისგან თავი შეიკავა.

**გოტფრიდ ლენცი**



ეროვნული ბიბლიოთეკა

## უცხოური ფეხბურთი





მოსაზრება

# კაპელომ მენაგვეობა უნდა ისწავლოს

## ანუ, სადამდე დაეცა ბრიტანეთი...

ბრიტანული ფეხბურთის მდგომარეობა დღეს გაორებულ გრძნობებს აღძრავს. ფაქტია, რომ საკლუბო ფეხბურთი აღმავლობის გზაზეა. ამას შედეგები თავად მოწმობს - ბოლო წლებში ჩემპიონთა ლიგა "ლივერპულმა" ერთხელ მოიგო, ერთხელ ფინალში დამარცხდა, ასევე ფინალი დათმო ლონდონის "არსენალმა", ტურნირის მოქმედი გამარჯვებული კი, მოგეხსენებათ, "მანჩესტერ იუნაიტედია", ვინც ფინალში "ჩელსი" დაამარცხა. ევროთასის გადამწყვეტ მატჩამდე მიაღწია შოტლანდიურმა "სელტიკმაც" - 2004 წლის უეფას თასის ფინალში გუნდი **ჟოზე მოურინიოს** "პორტუსთან" დამარცხდა. ეტყობა, სკოტები უფრო სერიოზულ გუნდამდე ვერ გაიზარდნენ, რადგან ვერა და ვერ ისწავლეს გასვლითი თამაშების სათანადო დონეზე ჩატარება. არადა, დიდი გუნდები სხვებისგან სწორედ იმით გამოირჩევიან, რომ ბრჭყალებს ყველგან აჩენენ. ევროპაში ერთი კარგი სეზონი ჰქონდა **სტივ მაკლარენის** "მიდლსბროსაც" - გუნდმა 2006 წლის უეფას თასის ფინალში გააღწია, მაგრამ სამარცხვინოდ დათმო გადამწყვეტი ბრძოლა "სევილიასთან". თუმცა უბედურება ისაა, რომ წარმატებების სია საკლუბო ფეხბურთით იწყება და მისითვე მთავრდება - მედლის ბნელ მხარეს სანაკრებო ფეხბურთია... აი, ამ ფრონტზე კუნძულელებს საამაყო არაფერი აქვთ.

ინგლისის ნაკრების თამაში უკანასკნელად თვალს რომ ახარებდა, მას შემდეგ ათი წელიწადია გასული. 1998 წლის გუნდი **გლენ ჰოდლის** მეთაურობით მართლა კარგ ფეხბურთს თამაშობდა. მერე რა, რომ მსოფლიოს ჩემპიონატის მერვედფინალიდან გამოვარდა? გულშემატკივრებს დღემდე კარგად ეხსომებათ მაშინდელი ფეერიული ინგლისი. გუნდმა დასუსტება **სვენ გორან ერიკსონის** ხელში დაიწყო (არადა, დასაწყისი მართლა ფანტასტიკური იყო - 5:1 მიუნხენის "ოლიმპიაშტადიონზე" გერმანიის წინააღმდეგ), ხოლო პიკს სტივ მაკლარენის ხელში მიაღწია. უელსის ნაკრების შესახებ სიტყვის დაძვრაც არ ღირს, რადგან 1958 წლის შემდეგ ამ გუნდს ევროპისა თუ მსოფლიოს ჩემპიონატებზე გასვლა არც "უცდია". მეტი არც ჩრდილოეთი ირლანდიის ნაკრებზე ითქმის. მუდამ ცდილობს, მაგრამ ბოლო წლებში ვერც შოტლანდია აღწევს მიზანს. ქართველ გულშემატკივარს კარგად ეხსომება, რომ შოტლანდიელებს ავსტრია-შვეიცარიაში წასვლის შანსი თითქმის შესარჩევი ციკლის ბოლომდე ჰქონდათ, მაგრამ თბილისში ჩვენმა ნაკრებმა მათ სულ კუდით ქვა ასროლინა.

ინგლისის ნაკრების წარუმატებლობა, ერთი შეხედვით, ალოგიკურია. მაგრამ ეს მხოლოდ ერთი შეხედვით. თუ გადავხედავთ პრემიერლიგის დიდი ოთხეულის შემადგენლობას, იქ ადგილობრივ ვარსკვლავებს ალმოვაჩენთ, მაგრამ არც იმდენს, გულშემატკივრები რომ ისურვებენ. "ჩელსიში", **შონ რაიტ ფილიპსის** წასვლის შემდეგ, ნაკრების ხუთი კანდიდატი დარჩა, "მანჩესტერში" - ექვსი, "ლივერპულში" - სამი, "არსენალში" სულ 3 ინგლისელი (და ექვსი ფრანგი) ირიცხება და აქედან სანაკრებოდ მხოლოდ ერთი, **თეო უოლკოტი** გამოდგება. სწორედ ამიტომაა, რომ ხსენებული ოთხეულის საევროთასო წარმატებები ნაკრებზე არ ისახება. ისიც გაითვალისწინეთ, რომ ხსენებული ოთხი კლუბიდან სამის მთავარი მწვრთნელი არაბრიტანელი გახლავთ. **ლუიშ ფელიპე სკოლარი, რაფაელ ბენიტესი** და **არსენ ვენგერი** ძალიან შორს დგანან ფეხბურთის ბრიტანული გაგებისგან, ისინი საკუთარ ხედვას ამკვიდრებენ და სწორედ ამიტომაა, რომ არც ერთი ეს კლუბი თამაშის მანერით აღარ ჰგავს ინგლისურს.

რა ხდება ნაკრების თავს? ეჭვგარეშეა, რომ მასში მაღალი კლასის ფეხბურთელები თამაშობენ, მაგრამ ინგლისის ნაკრების ცნობა თანდათან უკვე შეუძლებელი ხდება. ამ პროცესის ათვლის წერტილად ზემოთ ერიკსონის ნაკრებში დანიშვნა დავასახელეთ. დიახ, აშკარა რეგრესი სწორედ აქედან დაიწყო. მან ინგლისელი ფეხბურთელების კონტინენტური ფეხბურთის სტილში ათამაშება გადაწყვიტა. ასწავლა დაცვითი რედუტების გამაგრება და მოკლე პასები. რაც უნდა გასაკვირი იყოს, შვედის ტაქტიკას გარკვეული შედეგი მოჰქონდა. შედეგი ობიექტური კრიტერიუმებით, თორემ თავად ინგლისელები უმაღლესი დონის ტურნირის მეოთხედფინალებს არ მიიჩნევენ იმ ეტაპად, სადაც მათმა ნაკრებმა ბრძოლა უნდა შეწყვიტოს. დიახ, ერიკსონის ინგლისი ითვლებოდა გერმანიაში გამართული ჩემპიონატის ფავორიტად, მაგრამ მათს ფავორიტობას მხოლოდ შუახაზში მოთამაშე ბრწყინვალე სახელები განაპირობებდა - **ჯერარდი, ლემპარდი, ჯო კოული, ბექჰემი.** რა ვნახეთ რეალურად? - უსახური გუნდი, უსახური ნახევარდაცვით. ასეთი ნაკრების ჩასვლას ჯობდა, ინგლისს ნაკრები საერთოდ არ გაეგზავნა. წარმოიდგინეთ, რომ **ლინეკერისა** და **შირერის** სამშობლოს ნაკრებს შემადგენლობაში ერთი მაღალი კლასის ჯანმრთელი ფორვარდიც არ ჰყავდა. **ოუენმა** ტრავმა ტურნირის მიმდინარეობისას მიიღო, ხოლო **რუნი,** პირიქით, ჩემპიონატის განმავლობაში შედიოდა ფორმაში მძიმე ტრავმის შემდეგ. აი, კრაუჩი კი... თუმცა რა შეუძლია მარტო კრაუჩს? და რატომ იყო განაცხადში შეყვანილი 17 წლის თეო უოლკოტი? თინეიჯერი, ვისაც იმ მომენტისთვის პრემიერლიგაში ჯერ ერთი თამაშიც კი არ ჰქონდა ჩატარებული. თავდასხმის უსუსურობა არ იყო გუნდის წარუმატებლობის განმსაზღვრელი. პასუხისმგებლობის დიდი წილი საკუთარ თავზე ნახევარდაცვამ უნდა აიღოს. ბექჰემი ოთხეულში კი იყო საუკეთესო, მაგრამ მარტოკაცმა მთელი ტვირთი ვერ ზიდა. ჯერარდი და ლემპარდი "ლივერპულისა" და "ჩელსის" ლიდერები საკუთარ აჩრდილსაც კი აღარ ჰგავდნენ. ჯო კოულმა კარგად მხოლოდ ერთხელ ითამაშა - შვედეთის ნაკრებთან, მერე კი რატომღაც თამაშის სურვილი გაუქრა. საბოლოოდ კი ყველაფერი ისე დამთავრდა, რომ ძალიან ნიჭიერმა თაობამ კარიერის პიკზე ვერ მოახერხა მიზნის მიღწევა. სამწუხაროა, მაგრამ ეს არ იყო დაცემის ბოლო წერტილი. კიდევ უფრო დიდ უფსკრულში დაშვებას ხელი ინგლისის საფეხბურთო ასოციაციამაც შეუწყო. ზედ მსოფლიოს ჩემპიონატის წინ ჩინოვნიკებმა განაცხადეს, რომ ნაკრებიდან მიმავალი ერიკსონის შემცვლელს მუნდიალის დაწყებამდე დაასახელებდნენ. შეარჩიეს კანდიდატურაც - ლუიშ ფელიპე სკოლარი. ბრაზილიელი დათანხმდა, მაგრამ ერთი პირობით, კონტრაქტზე ხელს ჩემპიონატის დასრულების შემდეგ მოაწერდა, რადგან პორტუგალიის ნაკრების მოქმედი თავკაცი გახლდათ და არ სურდა, პირენეელებს საქმისადმი მის ერთგულებაში თუნდაც მისხალი ეჭვი შეჰპარვოდათ. საფეხბურთო ასოციაციაში ქვა ააგდეს და თავი შეუშვირეს. მათთვის მწვრთნელის ჩემპიონატამდე დანიშვნა რატომღაც პრინციპის საქმე აღმოჩნდა. სკოლარიმ ასეთ ულტიმატუმზე უარი თქვა და ინგლისელებს ზურგი აქცია. კანდიდატურა, რომელიც ასოციაციის მოთხოვნებს დააკმაყოფილებდა, ადვილად მოინახა - **სტივ მაკლარენი.** და დაიწყო... განა ვინმე იფიქრებდა, რომ სულ რაღაც წელიწად-ნახევრის შემდეგ ინგლისელი გულშემატკივარი ისრაელის რუსეთთან მოგებისთვის გულმხურვალედ ილოცებდა?

შესარჩევ ციკლში ინგლისმა გულისამრევი თამაშების მთელი წყება გამართა: საშინაო ფრე მაკედონიასთან, უგოლო მატჩი ისრაელში და რაც მთავარია, შეხვედრა მოსკოვში, სადაც ინგლისელებმა პირველივე გოლის შემდეგ შეწყვიტეს წინააღმდეგობა და მეტოქეს მოედანი სრულად ჩააბარეს. შედეგად 2:1 რუსეთის სასარგებლოდ. დაე, ილაპარაკონ, რომ რუსებმა მეორე გოლი დაუმსახურებელი პენალტით გაიტანეს, დაე, გაიხსენონ ისიც, რომ ინგლისს ერთი პენალტი არ დაუნიშნეს... ისე რომ მომხდარიყო... ასე რომ მომხდარიყო... ეს წარსულზე აბსურდულ ჰიპოთეტურ საუბარს ჰგავს. ჰო, წელან ისრაელის წარმატებაზე მლოცველი ინგლისელი გულშემატკივრები ვახსენეთ. ამ შეხვედრაში სტუმართა წარმატება მაკლარენის გუნდს ავტომატურად უკეტავდა გზას ევროპის ჩემპიონატზე. მოხდა სასწაული და ებრაელებმა გაიმარჯვეს 2:1. წარსულის ინგლისელ მეომრებს ასეთი სიტუაცია სასაცილოდაც არ ეყოფოდათ - ფეხბურთის სამშობლო სირცხვილისგან ებრაელმა ფეხბურთელებმა იხსნეს. რას იზამ, ასეთი იყო მწარე სიმართლე. ინგლისს კი დარჩენილ საშინაო მატჩში ხორვატებთან ქულაც ჰყოფნიდა. თანაც ბალკანელები ფინალურ სტადიაზე უკვე გასულები იყვნენ. ეჭვი, რომ ხორვატებმა მინდორზე შეიძლება თავი არ მოიკლან, არსებობს. არსებობს სხვა ეჭვიც, რომ ეს გუნდი ყოველთვის ბოლომდე იბრძვის და ასე ადვილად მუშტის გასარტყმელად ყბას არავის მიუშვერს. ინგლისელები დამშვიდნენ და ბოლომდე სჯეროდათ, რომ მათი გუნდი არაფრის დიდებით არ წააგებდა.

ამ დროს ინგლისში არის გულშემატკივართა და ფეხბურთზე მწერალ ჟურნალისტთა ერთი კატეგორია, რომელსაც... არ სურს მისი ეროვნული გუნდი ევროპის ჩემპიონატზე იხილოს. გაგიკვირდათ? არა, საფეხბურთო მეხუთე კოლონასთან საქმე არ გვაქვს. უბრალოდ, მათ კარგად იციან, რომ თუ ნაკრები ევროპაზე მაინც მოხვდება, მაკლარენი, როგორც "წარმატებული მწვრთნელი", ნაკრებში დარჩება, ეს კი გარანტიაა, რომ სწრაფი სვლა რეგრესისკენ გაგრძელდება. საჭიროა გლობალური კატასტროფა, რომ საფეხბურთო ასოციაციაში ფიქრსა და ანალიზს დაუბრუნდნენ, გაარკვიონ საზოგადოება, რა ნიშნით შეიძლება ეროვნული გუნდის თავკაცის შერჩევა. ბოლოს და ბოლოს, პასუხისმგებლობის ტვირთი ხომ მათზეა და ერთ დღეს ვინმემ უნდა თქვას სიმართლე - ასე გაგრძელება უკვე აღარ შეიძლება. სად თუ არა ინგლისში კარგად ესმით, რომ დასკვნების გაკეთება აუცილებელია, ეს დასკვნა კი უნდა იყოს ობიექტური. ხორვატებთან "წარმატებული თამაში" მოიტანს სიხარულისა და კმაყოფილების წარმავალ გრძნობას, რეალურ პრობლემებს კი ისევ სადღაც იქით, კუთხეში მიჩქმალავს და თანაც კიდევ დიდი ხნით. სიმართლე კი რაოდენ მწარეც არ უნდა იყოს ასეთია: ინგლისი არ იმსახურებს ევროპის ჩემპიონატზე მოხვედრას. გუნდს არ აქვს შედეგი და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია თამაშის ხარისხი, პერსპექტივა, რომ თუკი თამაში შეუძლია, დალახვროს ეშმაკმა, შედეგი დღეს არ არის, მაგრამ ხვალ აუცილებლად იქნება.

რაკი ჩვენი სტატია ზოგადად ბრიტანულ ფეხბურთს ეხება, ორიოდე სიტყვა შოტლანდიაზეც ვთქვათ: რაღაც მომენტამდე **ალექს მაკლიშის** შეგირდები ევროპის მასშტაბით პატივისცემას იმსახურებენ მიუხედავად იმისა, რომ თამაშობენ მარტივ ფეხბურთს. თამაშის მათეული სტილის ამოსავალი წერტილი შოტლანდიური, უხეში, დაუნდობელი ხასიათია. სკოტებმა ფრანგები ორჯერ დაამარცხეს და ეს მათთვის უკვე წარმატებაა. ციკლის ბოლოს მათი ნაკრების შანსები ისეთი მაღალია როგორც არასდროს. თითქოს სენსაცია კარსაა მომდგარი... რამდენიც უნდათ ახლა შოტლანდიელებმა იწუწუნონ, რომ ბოლო ტურში იტალია ვერ დაამარცხეს, რადგან შანსი მათ სულ სხვაგან დაკარგეს. დაკარგეს იქ, სადაც, პირიქით, უნდა ეპოვათ - კიევსა და თბილისში. ორი გასვლითი მატჩი და ორჯერვე 0:2-ზე უშანსოდ წაგებული მატჩი. სკოტების გაგება შეიძლება. მათ სისხლის უკანასკნელ წვეთამდე იბრძოლეს მსოფლიოს ვიცეჩემპიონებთან, რადგან იცოდნენ, ერთ ორთაბრძოლასაც თუ წააგებდნენ, საფრანგეთი შანსს ხელიდან არ გაუშვებდა, მკაცრად მოსთხოვდა პასუხს თითოეულ ასეთ "შეცოდებაზე"... მოდით, ახლა ცოტა განსხვავებული კუთხით შევხედოთ საკითხს. ღირს კი ასეთი გმირული გამარჯვებები ყველაზე მაღალ ფასად? ჩვენც გვესმის და არ ვაპირებთ კამათს, რომ ყოველ მატჩში პროფესიონალმა ფეხბურთელმა გამარჯვებისთვის უნდა იბრძოლოს, მაგრამ თუკი ყოველი ასეთი სამი ქულა გუნდს საკუთარი თავის დაკარგვად დაუჯდება, მაშინ რას ვიზამთ? ჩვენ, ადამიანები მოკვდავნი ვართ, ფეხბურთელებიც მოკვდავნი არიან და ყოველი საქმისთვის მოტივაცია გახლავთ საჭირო, ყოველი ნაბიჯისთვის კონცენტრაცია ლოკალური პრობლემების გადაწყვეტისთვის. საიდან უნდა მოიტანოს ამხელა მოტივაცია შოტლანდიელმა ფეხბურთელმა ყოველი შეხვედრისთვის? განა შეიძლება, რომ გუნდმა ერთნაირი განწყობით ითამაშოს მსოფლიოს ჩემპიონსა თუ მეხუთე კალათაში განთესილ აუტსაიდერთან? შეუძლებელია... რატომ? პასუხი ადამიანურ სისუსტეშია. იმისთვის, რომ ათეული წლების განმავლობაში ზედაპირზე იყო, საჭიროა ბრაზილია ან გერმანია გერქვას... შოტლანდიისთვის ეს მხოლოდ ოცნებაა. ამიტომაც, როცა სკოტების ჯგუფში ჩარჩენის შემდეგ დაიწყეს ლაპარაკი, რომ გუნდი ასეთ დასასრულს არ იმსახურებდა, ყოველთვის გაორებული გრძნობა მიჩნდებოდა. შეუძლებელი იყო, გული არ დაგწყვეტოდა ამ სიმპათიური გუნდის სამწუხარო ფინალზე, მაგრამ ფეხბურთი მონდომებისა და თავდადების გარდა სხვა მნიშვნელოვან კომპონენტებსაც მოიცავს, პირველ რიგში კი სათამაშო კლასს. ამ მხრივ იტალია და საფრანგეთი აშკარად წინ იდგნენ შოტლანდიელებზე. სასწაულები ხომ ფეხბურთში იშვიათად ხდება.

თუ დააკვირდით, ამდენი მხოლოდ წარსულზე ვიმსჯელეთ. დღევანდელობას კი არ შევხებივართ მიუხედავად იმისა, რომ ახალი შესარჩევი ეტაპი კარს მოგვადგა. ხვალ სამხრეთ აფრიკის ჩემპიონატების საგზურების გათამაშება იწყება. ჩვენც სწორედ აქა ვართ. წარსულმა ვის რა ასწავლა და რა - არა, მალე გამოჩნდება. შოტლანდიამ წინა საკვალიფიკაციო ეტაპზე ორმაგი გრძნობა დაგვიტოვა. თუკი ისინი მონდომებას ცოტა მეტ სათამაშო კლასსაც წაამატებენ, იქნებ მოახერხონ კიდევაც ლოგიკურად საქმის დაბოლოება. ინგლისზე კი კამათი არ ღირს. შეიძლება ზემოთ აზრობრივად უკვე გადმოგეცით ჩვენი განწყობა, მაგრამ ახლა პირდაპირი ტექსტით უნდა ვთქვათ: მაკლარენმა ინგლისის ნაკრები ნაგვის ბუნკერში მოისროლა. ახლა კი არის იმედი, რომ საყოფაცხოვრებო ნარჩენებისგან გუნდის გაწმენდას **ფაბიო კაპელო** თავს გაართმევს. იტალიელს მოუწევს დროებით ამ საქმისთვის ხელის მოკიდება. მას რომ ეს შეუძლია, ეჭვი არ გვეპარება.

**შალვა ბიბილაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მსოფლიო ჩემპიონატი. სამხრეთ აფრიკა 2010

## შესარჩევი ტურნირი. ევროპა



| I ჯგუფი | | | | | | | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ | ად |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| პორტუგალია | | | | | | | | | | | | | |
| შვედეთი | | | | | | | | | | | | | |
| დანია | | | | | | | | | | | | | |
| უნგრეთი | | | | | | | | | | | | | |
| ალბანეთი | | | | | | | | | | | | | |
| მალტა | | | | | | | | | | | | | |

6 სექტემბერი
უნგრეთი-დანია
მალტა-პორტუგალია
ალბანეთი-შვედეთი
10 სექტემბერი
შვედეთი-უნგრეთი
ალბანეთი-მალტა
პორტუგალია-დანია
11 ოქტომბერი
დანია-მალტა
უნგრეთი-ალბანეთი
შვედეთი-პორტუგალია
15 ოქტომბერი
მალტა-უნგრეთი
პორტუგალია-ალბანეთი

11 თებერვალი
მალტა-ალბანეთი
28 მარტი
მალტა-დანია
პორტუგალია-შვედეთი
ალბანეთი-უნგრეთი
1 აპრილი
დანია-ალბანეთი
უნგრეთი-მალტა
6 ივნისი
შვედეთი-დანია
ალბანეთი-პორტუგალია
10 ივნისი
შვედეთი-მალტა

5 სექტემბერი
უნგრეთი-შვედეთი
დანია-პორტუგალია
9 სექტემბერი
უნგრეთი-პორტუგალია
ალბანეთი-დანია
მალტა-შვედეთი
10 ოქტომბერი
პორტუგალია-უნგრეთი
დანია-შვედეთი
14 ოქტომბერი
პორტუგალია-მალტა
შვედეთი-ალბანეთი
დანია-უნგრეთი

| II ჯგუფი | | | | | | | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ | ად |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| საბერძნეთი | | | | | | | | | | | | | |
| ისრაელი | | | | | | | | | | | | | |
| შვეიცარია | | | | | | | | | | | | | |
| მოლდოვა | | | | | | | | | | | | | |
| ლატვია | | | | | | | | | | | | | |
| ლუქსემბურგი | | | | | | | | | | | | | |

6 სექტემბერი
მოლდოვა-ლატვია
ისრაელი-შვეიცარია
ლუქსემბურგი-საბერძნეთი
10 სექტემბერი
მოლდოვა-ისრაელი
ლატვია-საბერძნეთი
შვეიცარია-ლუქსემბურგი
11 ოქტომბერი
საბერძნეთი-მოლდოვა
ლუქსემბურგი-ისრაელი
შვეიცარია-ლატვია

15 ოქტომბერი
ლუქსემბურგი-მოლდოვა
საბერძნეთი-შვეიცარია
ლატვია-ისრაელი
28 მარტი
მოლდოვა-შვეიცარია
ლუქსემბურგი-ლატვია
ისრაელი-საბერძნეთი
1 აპრილი
საბერძნეთი-ისრაელი
ლატვია-ლუქსემბურგი
შვეიცარია-მოლდოვა
5 სექტემბერი
მოლდოვა-ლუქსემბურგი

ისრაელი-ლატვია
შვეიცარია-საბერძნეთი
9 სექტემბერი
მოლდოვა-საბერძნეთი
ლატვია-შვეიცარია
ისრაელი-ლუქსემბურგი
10 ოქტომბერი
ისრაელი-მოლდოვა
საბერძნეთი-ლატვია
ლუქსემბურგი-შვეიცარია
14 ოქტომბერი
საბერძნეთი-ლუქსემბურგი
ლატვია-მოლდოვა
შვეიცარია-ისრაელი

| III ჯგუფი | | | | | | | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ | ად |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ჩეხეთი | | | | | | | | | | | | | |
| პოლონეთი | | | | | | | | | | | | | |
| ჩრ. ირლანდია | | | | | | | | | | | | | |
| სლოვაკეთი | | | | | | | | | | | | | |
| სლოვენია | | | | | | | | | | | | | |
| სან მარინო | | | | | | | | | | | | | |

6 სექტემბერი
პოლონეთი-სლოვენია
სლოვაკეთი-ჩრ. ირლანდია
10 სექტემბერი
სან მარინო-პოლონეთი
სლოვენია-სლოვაკეთი
ჩრ. ირლანდია-ჩეხეთი
11 ოქტომბერი
პოლონეთი-ჩეხეთი
სლოვენია-ჩრ. ირლანდია
სან მარინო-სლოვაკეთი
15 ოქტომბერი
ჩრ. ირლანდია-სან მარინო
ჩეხეთი-სლოვენია
სლოვაკეთი-პოლონეთი

19 ნოემბერი
სან მარინო-ჩეხეთი
11 თებერვალი
სან მარინო-ჩრ. ირლანდია
28 მარტი
სლოვენია-ჩეხეთი
ჩრ. ირლანდია-პოლონეთი
1 აპრილი
ჩეხეთი-სლოვაკეთი
ჩრ. ირლანდია-სლოვენია
პოლონეთი-სან მარინო
6 ივნისი
სლოვაკეთი-სან მარინო
19 აგვისტო
სლოვენია-სან მარინო

5 სექტემბერი
პოლონეთი-ჩრ. ირლანდია
სლოვაკეთი-ჩეხეთი
9 სექტემბერი
სლოვენია-პოლონეთი
ჩრ. ირლანდია-სლოვაკეთი
ჩეხეთი-სან მარინო
10 ოქტომბერი
ჩეხეთი-პოლონეთი
სლოვაკეთი-სლოვენია
14 ოქტომბერი
სან მარინო-სლოვენია
ჩეხეთი-ჩრ. ირლანდია
პოლონეთი-სლოვაკეთი

| IV ჯგუფი | | | | | | | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ | ად |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| გერმანია | | | | | | | | | | | | | |
| რუსეთი | | | | | | | | | | | | | |
| ფინეთი | | | | | | | | | | | | | |
| უელსი | | | | | | | | | | | | | |
| აზერბაიჯანი | | | | | | | | | | | | | |
| ლიხტენშტაინი | | | | | | | | | | | | | |

6 სექტემბერი
უელსი-აზერბაიჯანი
ლიხტენშტაინი-გერმანია
10 სექტემბერი
რუსეთი-უელსი
აზერბაიჯანი-ლიხტენშტ.
ფინეთი-გერმანია
11 ოქტომბერი
უელსი-ლიხტენშტაინი
გერმანია-რუსეთი
ფინეთი-აზერბაიჯანი
15 ოქტომბერი
გერმანია-უელსი
რუსეთი-ფინეთი

28 მარტი
გერმანია-ლიხტენშტაინი
რუსეთი-აზერბაიჯანი
უელსი-ფინეთი
1 აპრილი
ლიხტენშტაინი-რუსეთი
უელსი-გერმანია
6 ივნისი
აზერბაიჯანი-უელსი
ფინეთი-ლიხტენშტაინი
10 ივნისი
ფინეთი-რუსეთი
19 აგვისტო
აზერბაიჯანი-გერმანია

5 სექტემბერი
აზერბაიჯანი-ფინეთი
რუსეთი-ლიხტენშტაინი
9 სექტემბერი
გერმანია-აზერბაიჯანი
ლიხტენშტაინი-ფინეთი
უელსი-რუსეთი
10 ოქტომბერი
რუსეთი-გერმანია
ფინეთი-უელსი
ლიხტენშტ.-აზერბაიჯანი
14 ოქტომბერი
ლიხტენშტაინი-უელსი
გერმანია-ფინეთი
აზერბაიჯანი-რუსეთი

| VIII ჯგუფი | | | | | | | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ | ად |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| იტალია | | | | | | | | | | | | | |
| ირლანდია | | | | | | | | | | | | | |
| ბულგარეთი | | | | | | | | | | | | | |
| კვიპროსი | | | | | | | | | | | | | |
| საქართველო | | | | | | | | | | | | | |
| ჩერნოგორია | | | | | | | | | | | | | |

6 სექტემბერი
საქართველო-ირლანდია
ჩერნოგორია-ბულგარეთი
კვიპროსი-იტალია
10 სექტემბერი
ჩერნოგორია-ირლანდია
იტალია-საქართველო
11 ოქტომბერი
საქართველო-კვიპროსი
ბულგარეთი-იტალია
15 ოქტომბერი
საქართველო-ბულგარეთი
ირლანდია-კვიპროსი
იტალია-ჩერნოგორია

თებერვალი
ირლანდია-საქართველო
28 მარტი
კვიპროსი-საქართველო
ირლანდია-ბულგარეთი
ჩერნოგორია-იტალია
1 აპრილი
საქართველო-ჩერნოგორია
იტალია-ირლანდია
ბულგარეთი-კვიპროსი
6 ივნისი
ბულგარეთი-ირლანდია
კვიპროსი-ჩერნოგორია

5 სექტემბერი
ბულგარეთი-ჩერნოგორია
საქართველო-იტალია
კვიპროსი-ირლანდია
9 სექტემბერი
იტალია-ბულგარეთი
ჩერნოგორია-კვიპროსი
10 ოქტომბერი
ჩერნოგორია-საქართველო
კვიპროსი-ბულგარეთი
ირლანდია-იტალია
14 ოქტომბერი
ირლანდია-ჩერნოგორია
ბულგარეთი-საქართველო
იტალია-კვიპროსი

| V ჯგუფი | | | | | | | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ | ად |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ესპანეთი | | | | | | | | | | | | | |
| თურქეთი | | | | | | | | | | | | | |
| ბელგია | | | | | | | | | | | | | |
| ბოსნია | | | | | | | | | | | | | |
| ესტონეთი | | | | | | | | | | | | | |
| სომხეთი | | | | | | | | | | | | | |

6 სექტემბერი
სომხეთი-თურქეთი
ბელგია-ესტონეთი
ესპანეთი-ბოსნია
10 სექტემბერი
თურქეთი-ბელგია
ბოსნია-ესტონეთი
ესპანეთი-სომხეთი
11 ოქტომბერი
თურქეთი-ბოსნია
ბელგია-სომხეთი
ესტონეთი-ესპანეთი
15 ოქტომბერი
ბელგია-ესპანეთი

ესტონეთი-თურქეთი
ბოსნია-სომხეთი
28 მარტი
სომხეთი-ესტონეთი
ბელგია-ბოსნია
ესპანეთი-თურქეთი
1 აპრილი
ესტონეთი-სომხეთი
თურქეთი-ესპანეთი
ბოსნია-ბელგია
5 სექტემბერი
სომხეთი-ბოსნია
ესპანეთი-ბელგია
თურქეთი-ესტონეთი

9 სექტემბერი
ესპანეთი-ესტონეთი
სომხეთი-ბელგია
ბოსნია-თურქეთი
10 ოქტომბერი
სომხეთი-ესპანეთი
ბელგია-თურქეთი
ესტონეთი-ბოსნია
14 ოქტომბერი
ესტონეთი-ბელგია
თურქეთი-სომხეთი
ბოსნია-ესპანეთი

| VI ჯგუფი | | | | | | | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ | ად |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ხორვატია | | | | | | | | | | | | | |
| ინგლისი | | | | | | | | | | | | | |
| უკრაინა | | | | | | | | | | | | | |
| ბელარუსი | | | | | | | | | | | | | |
| ყაზახეთი | | | | | | | | | | | | | |
| ანდორა | | | | | | | | | | | | | |

ყაზახეთი-ანდორა 3:0
6 სექტემბერი
უკრაინა-ბელარუსი
ანდორა-ინგლისი
ხორვატია-ყაზახეთი
10 სექტემბერი
ანდორა-ბელარუსი
ყაზახეთი-უკრაინა
ხორვატია-ინგლისი
11 ოქტომბერი
ინგლისი-ყაზახეთი
უკრაინა-ხორვატია
15 ოქტომბერი
ბელარუსი-ინგლისი

ხორვატია-ანდორა
1 აპრილი
ინგლისი-უკრაინა
ანდორა-ხორვატია
ყაზახეთი-ბელარუსი
6 ივნისი
ყაზახეთი-ინგლისი
ბელარუსი-ანდორა
ხორვატია-უკრაინა
10 ივნისი
ინგლისი-ანდორა
უკრაინა-ყაზახეთი
19 აგვისტო
ბელარუსი-ხორვატია

5 სექტემბერი
უკრაინა-ანდორა
ხორვატია-ბელარუსი
9 სექტემბერი
ანდორა-ყაზახეთი
ბელარუსი-უკრაინა
ინგლისი-ხორვატია
10 ოქტომბერი
უკრაინა-ინგლისი
ბელარუსი-ყაზახეთი
14 ოქტომბერი
ანდორა-უკრაინა
ინგლისი-ბელარუსი
ყაზახეთი-ხორვატია

| VII ჯგუფი | | | | | | | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ | ად |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| საფრანგეთი | | | | | | | | | | | | | |
| რუმინეთი | | | | | | | | | | | | | |
| სერბეთი | | | | | | | | | | | | | |
| ავსტრია | | | | | | | | | | | | | |
| ლიტვა | | | | | | | | | | | | | |
| ფარერები | | | | | | | | | | | | | |

6 სექტემბერი
რუმინეთი-ლიტვა
სერბეთი-ფარერები
ავსტრია-საფრანგეთი
10 სექტემბერი
ფარერები-რუმინეთი
ლიტვა-ავსტრია
საფრანგეთი-სერბეთი
11 ოქტომბერი
სერბეთი-ლიტვა
ფარერები-ავსტრია
რუმინეთი-საფრანგეთი
15 ოქტომბერი
ავსტრია-სერბეთი
ლიტვა-ფარერები

28 მარტი
რუმინეთი-სერბეთი
ლიტვა-საფრანგეთი
1 აპრილი
ავსტრია-რუმინეთი
საფრანგეთი-ლიტვა
6 ივნისი
სერბეთი-ავსტრია
ლიტვა-რუმინეთი
10 ივნისი
ფარერები-სერბეთი
19 აგვისტო
ფარერები-საფრანგეთი
5 სექტემბერი
ავსტრია-ფარერები

საფრანგეთი-რუმინეთი
9 სექტემბერი
რუმინეთი-ავსტრია
ფარერები-ლიტვა
სერბეთი-საფრანგეთი
10 ოქტომბერი
ავსტრია-ლიტვა
სერბეთი-რუმინეთი
საფრანგეთი-ფარერები
14 ოქტომბერი
საფრანგეთი-ავსტრია
რუმინეთი-ფარერები
ლიტვა-სერბეთი

| IX ჯგუფი | | | | | | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ | ად |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ჰოლანდია | | | | | | | | | | | | |
| ნორვეგია | | | | | | | | | | | | |
| შოტლანდია | | | | | | | | | | | | |
| მაკედონია | | | | | | | | | | | | |
| ისლანდია | | | | | | | | | | | | |

6 სექტემბერი
მაკედონია-შოტლანდია
ნორვეგია-ისლანდია
10 სექტემბერი
მაკედონია-ჰოლანდია
ისლანდია-შოტლანდია
11 ოქტომბერი
ჰოლანდია-ისლანდია
შოტლანდია-ნორვეგია

15 ოქტომბერი
ისლანდია-მაკედონია
ნორვეგია-ჰოლანდია
28 მარტი
ჰოლანდია-შოტლანდია
1 აპრილი
შოტლანდია-ისლანდია
ჰოლანდია-მაკედონია
6 ივნისი
ისლანდია-ჰოლანდია
მაკედონია-ნორვეგია

10 ივნისი
მაკედონია-ისლანდია
ჰოლანდია-ნორვეგია
19 აგვისტო
ნორვეგია-შოტლანდია
5 სექტემბერი
ისლანდია-ნორვეგია
შოტლანდია-მაკედონია
9 სექტემბერი
ნორვეგია-მაკედონია
შოტლანდია-ჰოლანდია

ეროვნული ბიბლიოთეკა

პორტრეტი

# იტალიელი დალაქი

## მასიმო ოდოს ლაციოზე აზოდებს, მილანისკენ გახედვა ალარ უნდა და ბაიერნში დარჩენისთვის ბრძოლას აპირებს

როდესაც „ბაიერნის" გულშემატკივრებმა შეიტყვეს, რომ იტალიელი მარჯვენა მცველი **მასიმო ოდო** მათ საყვარელ გუნდში ითამაშებდა, პირველი, რაც გაახსენდათ, იყო ის, რაც 32 წლის ოდომ მსოფლიოს 2006 წლის ჩემპიონატის ფინალის შემდეგ, ბერლინში, „ოლიმპიაშტადიონზე" გააკეთა. მასიმომ თერთმეტმეტრიანის ნიშნულთან სკამი მიიტანა, დაჯდა, **მაურო კამორანეზის** თავისთან უხმო და მაკრატლით თმა შეაკრიჭა.



2006 წლის მუნდიალის ფინალის შემდეგ: მასიმომ თერთმეტმეტრიანის ნიშნულთან სკამი მიიტანა, დაჯდა, მაურო კამორანეზის თავისთან უხმო და მაკრატლით თმა შეაკრიჭა

„მოგვიანებით თმა მეც შემჭრა და კიდევ ჯენარო გატუზოს, ანდრეა ბარძალისა და მარკო მატერაცის," - ეს „რომას" ნახევარმცველ **სიმონე პეროტას** სიტყვებია. მასიმომ, რომელმაც მუნდიალის მეოთხედფინალში, უკრაინასთან 23 წუთი ითამაშა, მიუნხენში ჩასვლისთანავე თქვა: „სხვებისთვის თმის შეკრეჭა ძალიან მიყვარს!"

მაგრამ ის მხოლოდ კარგი „პარიკმახერი" როდია. სერია ა-ში ჩატარებული 234 მატჩი (ვერონა, ლაციო, მილანი) მხოლოდ და მხოლოდ იმაზე მეტყველებს, რომ მასიმო ოდო შესანიშნავი ფეხბურთელი, უფრო კონკრეტულად კი მარჯვენა მცველია. თამამად შეიძლება ითქვას, რომ მისი კარიერის ზენიტი „ლაციოში" თამაშის პერიოდი იყო, სადაც მან 5 წელი გაატარა და ბოლოს კაპიტანიც გახლდათ. სწორედ „ბიანკოჩელესტედან" მოხვდა იტალიის ნაკრებშიც, მერე კი „მილანში". ის დღესაც დაუფარავად აცხადებს, რომ „ლაციოს" მის გულში მაინც განსაკუთრებული ადგილი უკავია.

2007 წლის იანვარში ვალებში ჩაფლული „ლაციალე" იძულებული გახდა, თავისი კაპიტანი და ლიდერი „მილანისთვის" მიეყიდა, რის გამოც რომაული კლუბის ფანებმა საპროტესტო აქციები გამართეს. ოდოს გაყიდვა მათთვის მეორე სერიოზული დარტყმა გახლდათ. პირველი კი, გეხსომებათ, **ალესანდრო ნესტას** გასხვისება იყო, რომელიც „ლაციოს" ასევე „როსონერიმ" წაართვა.

„გუნდის დატოვება არ მინდოდა და მაქსიმალურად ვეცადე, „ლაციოში" დავრჩენილიყავი. ამისათვის ყველაფერი გავაკეთე, მაგრამ უშედეგოდ. ზოგადად, კარიერის დასრულებაც „ლაციოში" მინდოდა. მაგრამ კლუბს ფინანსურად უჭირდა და მიხარია, რომ ჩემი ტრანსფერით მდგომარეობა გაიუმჯობესა," - იხსენებს იტალიელი.

მიუხედავად იმისა, რომ „მილანისტა" გახდა, ყოფილი ფეხბურთელისა და დღესდღეობით მწვრთნელის, **ფრანჩესკო ოდოს** ვაჟი, არასდროს მალავდა, რომ მისი გული მაინც „ლაციოს" ეკუთვნოდა. ოდო: „მილანის ყოველი მატჩის შემდეგ, პირველს, რასაც ვაკეთებ, არის ის, რომ ვიგებ, როგორ ითამაშა „ლაციომ". და არც იმას ვმალავ, რომ „მილანის" ვარჯიშების დროს ჩემთვის „ლაციოს" ჰიმნს ვღიღინებ ხოლმე."

შეგვიძლია ვთქვათ, რომ ოდო სრულფასოვანი მილანელი ვერ გახდა. თუმცა ამას თავისი ობიექტური მიზეზებიც აქვს: მასიმო ხშირად იყო ტრავმირებული. **კარლო ანჩელოტი** უმეტეს შემთხვევაში ბრაზილიელ **კაფუს** ან **დანიელე ბონერას** ანიჭებდა უპირატესობას. შესაბამისად, დაეცა ოდოს შედეგიანი კვოტაც. თუკი „ლაციოში" გოლიც ბლომად გაჰქონდა (თანაც პენალტისტიც იყო), „მილანში" 35 მატჩში მხოლოდ 2-ჯერ იხეირა. შედარებისთვის, 2005/2006 წლების სეზონში, როცა „ლაციოში" თამაშობდა, ოდომ 7 გოლის გატანა მოახერხა.

შესაბამისად, მასიმოს გასული სეზონი ფაქტობრივად ჩაუვარდა, რაც გახდა კიდეც იმის მიზეზი, რომ იტალიის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა **რობერტო დონადონიმ** ის ევროპის ჩემპიონატზე არ წაიყვანა, არადა, მანამდე მუდმივად იძახებდა. მოგვიანებით მასიმომ დონადონის ასეთი პასუხი გასცა: „იმას, რომ რობერტო ევროპის ჩემპიონატზე არ წამიყვანდა, ყველაზე საზარელ, კოშმარულ სიზმარშიც ვერ წარმოვიდგენდი. ორწლიან შრომასა და დამსახურებებს ერთ წამში გადაუსვა ხაზი. ამას არ ველოდი."

გასული სეზონის დასრულების შემდეგ „მილანმა" **ჯანლუკა ძამბროტა** შეიძინა - მსოფლიოში ერთ-ერთი საუკეთესო ფლანგის მცველი და ცხადი გახდა, რომ ოდო ისევ სათადარიგო არჩევანი იქნებოდა. და როგორც თვითონ ამბობს, „ბაიერნის" ხელმძღვანელების წინადადებამ დროზე მოუსწრო. ცხადია, მიუნხენურ კლუბში გადასვლა მას პირველ რიგში **ლუკა ტონიმ** ურჩია. ურჩია კი არა, ფაქტობრივად, სთხოვა და მოუწოდა, რეკორდმაისტერში გადმოდიო. ოდო ხომ ტონისთვის არა მარტო თანამემამულე და კარგი მეგობარი, არამედ იდეალური ასისტენტიც იქნება - მასიმოს მთავარი კოზირი მაღალი და ზუსტი ჩაწოდებებია, სწორედ ისეთი, ტონის რომ სჭირდება გოლების გასატანად.

„ბაიერნის" მთავარ მწვრთნელ **იურგენ კლინსმანს** კი გარდა მისი ჩაწოდებებისა, ოდოს მრავალმხრივობის იმედიც აქვს. „მასიმო ძალიან მაგარი ფეხბურთელია, რომელსაც არაერთ პოზიციაზე შეუძლია თამაში. მე მინდა, რომ მან მთელი მარჯვენა ფლანგი გამიკონტროლოს და დარწმუნებული ვარ, ამ ამოცანას თავს იდეალურად გაართმევს. დაუზარელია, მონდომებული და სწრაფი - ოდო სწორედ ის კაცია, ვინც ძალიან მჭირდებოდა," - ამბობს კლინსი.




ოდოს პირველი ბავარიული ფოტოსესია ლუკა ტონისთან ერთად

„ბაიერნში" ახალი გადასულია და უკვე ტელეკამერებისა და ფოტოაპარატების წინ პოზიორობაც მოსთხოვეს - როგორც იტალიელს, რა თქმა უნდა, ტონისთან ერთად. შესაბამისად, „ბაიერნში" მოდის ფაქტორიც იზრდება. თავისი დალაქური ნიჭი კი შეუძლია **მარტინ დემიკელისა** და **დანიელ ვან ბუიტენს** მოახმაროს. ყოველ შემთხვევაში, ფაქტია, რომ არგენტინელსა და ბელგიელს მასიმოს მაკრატლის გემოს გაგების „საფრთხე" სერიოზულად ემუქრებათ.

ოდო: „პირველად ტონიმ დამირეკა და მითხრა, დამიჯერე და „ბაიერნში" გადმოდიო. დავფიქრდები-მეთქი, ვუპასუხე. მერე იყო კარლ-ჰაინც რუმენიგეს ზარი, რომელმაც უკვე კონკრეტული წინადადებით მომმართა. მესაუბრა კლინსმანიც და ამიხსნა, რომ ძალიან ვჭირდებოდი. ამ დროს „ლიონთანაც" ვაწარმოებდი მოლაპარაკებებს და მეტსაც გეტყვით, ფრანგულ კლუბში ჩემი გადასვლა თითქმის გადაწყვეტილი იყო. ლიონიდან ფაბიო გროსო მირეკავდა და მეუბნებოდა, გინდა თუ არა, აქ უნდა წამოხვიდეო. მაგრამ საბოლოო ჯამში უპირატესობა „ბაიერნს" მივანიჭე. მიზეზი მარტივია: სად - „ლიონი" და სად - „ბაიერნი"."

რეკორდმაისტერში მისი უმთავრესი კონკურენტები **ვილი სანიოლი** და **კრისტიან ლელი** იქნებიან. ცხადია, მასიმოს ორივე მათგანის დამარცხების იმედი აქვს. „გუნდში კონკურენცია აუცილებელია, როგორც გუნდისთვის, ასევე თითოეული ფეხბურთელისთვისაც," - ამბობს იტალიელი „შპორტ-ბილდისთვის" მიცემულ ინტერვიუში. მსოფლიოს ჩემპიონმა ამ ინტერვიუში ისიც გათქვა, რომ „ბაიერნს" მისი შეძენა ჯერ კიდევ შარშან უნდოდა, მაგრამ მაშინ მასიმომ „მილანში" დარჩენა ამჯობინა. წელს კი, რაკი როსონერიმ ძამბროტა იყიდა, მიხვდა, რომ ქარის წისქვილებთან ბრძოლას აზრი არ ჰქონდა.

ოდო: „მე ნამდვილად არ ვარ ძამბროტაზე სუსტი ფლანგის მცველი. მაგრამ, როცა მწვრთნელისგან ნდობას ვერ გრძნობ, არავითარ თავდაჯერებას აზრი აღარ აქვს. აქ კი მაგრძნობინეს, რომ საჭირო კაცი ვარ. ახლა ყველაფერი უკვე მხოლოდ ჩემზეა დამოკიდებული, ეს ნდობა უნდა გავამართლო. მეტსაც გეტყვით: მინდა, „ბაიერნთან" კონტრაქტი გავაფორმო და აქ დავრჩე."

მისი მიზანი ის არის, რომ კლინსმანი და კომპანია, რაც შეიძლება, მალე დაარწმუნოს თავის შესაძლებლობებში, მოიპოვოს ადგილი რეკორდმაისტერის ძირითად შემადგენლობაში და იბრძოლოს ტიტულებისთვის. „ბაიერნში" ოდო არენდის წესით გადავიდა, მაგრამ მიუნხენურ გრანდს მისი შესყიდვის უპირატესი უფლება აქვს. გამოიყენებს თუ არა „ბაიერნი" ამ ოფციას, ეს მხოლოდ და მხოლოდ მასიმოზეა დამოკიდებული.

---

ბაიერნი

# პოდოლსკი: ბაიერნში გადასვლა ჩემი დიდი შეცდომა იყო!

## პოლდის დროის უკან დაბრუნება რომ შეეძლოს, რეკორდმაისტერთან კონტრაქტს არ გააფორმებდა!

**ლუკას პოდოლსკი** და მიუნხენის „ბაიერნი" - ამ საქმიდან არაფერი გამოვიდა და ალბათ აღარც არაფერი გამოვა. გუშინ, 23 წლის თავდამსხმელმა გამოცემა „ბილდს" განუცხადა, - დროის უკან დაბრუნება რომ შემეძლოს, მიუნხენურ კლუბთან კონტრაქტს არაფრის დიდებით არ გავაფორმებდიო. ამ სიტყვებით მან ბავარიული გიგანტის გენერალური მენეჯერის, **ული ჰიონესის** კრიტიკასაც უპასუხა, რომელმაც პოდოლსკის „კიოლნთან" ფლირტის გამო შეუტია.



ლუკას პოდოლსკი ბაიერნში ვერა და ვერ გაბედნიერდა

„რომ მცოდნოდა, „ბაიერნში" საქმეები ასე ცუდად წამივიდოდა, ამას ნამდვილად არ გავაკეთებდი, თორემ გუნდის გენიალურობაში ეჭვი ერთხელაც არ შემპარვია," - ასე უპასუხა პოლდიმ კითხვას, მოაწერდა თუ არა „ბაიერნთან" კონტრაქტს ხელს, დროის უკან დაბრუნება რომ შეეძლოს და იქვე დასძინა: „რაო? განა თქვენ სხვა პასუხს ელოდით? რატომ უნდა ვიცრუო?! მე ყოველთვის სიმართლეს ვამბობ. ახლა რომ ვთქვა, - რას ამბობთ, ოღონდ „ბაიერნში" ვირიცხებოდე და ყველაფერი ფეხებზე მკიდია-მეთქი, არ გაგეცინებათ? დაიჯერებთ?"

ჰიონესმა სამიოდ დღის წინ თქვა, პოდოლსკი ნერვებზე თამაშს უნდა შეეშვას, მას „ბაიერნის" ერთგულება მართებსო. „მე ნერვებს არავის ვუშლი. უბრალოდ, გაბრაზებული ვარ იმის გამო, რომ სასტარტო შემადგენლობაში არ მათამაშებენ - მიუხედავად იმისა, რომ ამას ზოგზოგიერთზე მეტად ვიმსახურებ," - ამბობს პოდოლსკი და სიტყვაში „ზოგ-ზოგიერთი" აშკარად **მიროსლავ კლოზეს** გულისხმობს, რომელიც ბოლო დროს ძალიან ცუდ ფორმაშია.

თუმცა პოდოლსკი იმასაც აღნიშნავს, რომ პირადად ჰიონესზე ნაწყენი არ არის და არც არასდროს ყოფილა: კარგად ვიცი, რომ მას ყოველთვის ჩემი დახმარების სურვილი ჰქონდა და უნდა, „ბაიერნში" ადგილი დავიმკვიდროო. მაგრამ ლუკასი თავს ცუდად გრძნობს, თამაში უნდა. შესაბამისად, აღარც იმას მალავს, რომ გუნდის გამოცვლაზე კიდევ ერთხელ ძალიან სერიოზულად დაფიქრდა.

„თუ ასე გაგრძელდება (და სიმართლე გითხრათ, აღარც მაქვს იმედი, რომ სხვანაირად იქნება), მაშინ ზამთარში „ბაიერნს" აუცილებლად დავტოვებ. რომ ვთქვა, სათადარიგოთა სკამზე ჯდომით კმაყოფილი ვარ-მეთქი, ძალიან ცუდი ფეხბურთელი და ცუდი ადამიანი ვიქნები," - ამბობს პოლდი ზემოთ ხსენებულ ინტერვიუში.

ზაფხულში, სანამ **იურგენ კლინსმანი** ეტყოდა, ძალიან მჭირდები და უნდა დარჩეო, პოდოლსკის კონკრეტული წინადადებები არ ჰქონია, მაგრამ ყველამ იცის, რომ „კიოლნში" დაბრუნებაზე სერიოზულად ფიქრობდა. „ეს ყველამ იცის და ამაში დასამალი არაფერია. „კიოლნი" ყოველთვის იყო და იქნება ჩემი გულის განუყოფელი ნაწილი. „ბაიერნი" დიდი გუნდია, მაგრამ ჩემს გულში „კიოლნს" ვერასდროს შეცვლის," - ამბობს პოდოლსკი.

თუმცა ლუკასი არც უცხოეთში წასვლას გამორიცხავს, თუკი კონკრეტული და კარგი წინადადება ექნება. პოდოლსკი: „მე სულაც არ მეშინია იმის, რომ რომელიმე ძლიერ ევროპულ კლუბში გადავიდე. თუკი ვინმე რამეს შემომთავაზებს, დიდი სიამოვნებით მოვუსმენ და დავფიქრდები."

მისი ბოლო სიტყვა კი ასეთია: „დიდხანს ვითმინე. როცა ასეთი რამ 2-3 კვირის განმავლობაში ხდება, მაშინ მოთმენა შესაძლებელია, მე კი 20-ჯერ მეტი ვითმინე. მაგრამ ოდესღაც მიდიხარ გარკვეულ ზღვრამდე, როცა მეტის მოთმენა უკვე შეუძლებელია."

გვერდი მოამზადა
გოტფრიდ ლენცმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

კალათბურთი

ინტერვიუ იგორ კოკოშკოვთან

# გუნდში არსებული სიტუაცია მოგების იმედს იძლევა

ორ დღეში საქართველოს ეროვნული ნაკრები ევროპის საკვალიფიკაციო ტურნირში ჩაებმება. ლუქსემბურგთან მატჩით B დივიზიონიდან ელიტაში ასანაცვლებელ გზას შეუყვება. იგორ კოკოშკოვის გუნდს წლეულს 6–დან 17 სექტემბრამდე 4 მატჩი ელის, ხოლო მეორე წრის შეხვედრები მომავალი წლის შემოდგომაზე გაიმართება და ჯგუფური ეტაპიც ამით დასრულდება. მანამდე დიდი დროა და საქართველოს ნაკრები ახლა კარს მომდგარ ოთხ მატჩზეა კონცენტრირებული. 14 აგვისტოდან კოკოშკოვის გუნდი უცხოეთშია და სხვადასხვა ქვეყანაში უკვე 7 ამხანაგური მატჩი გამართა. ქართველები მოსამზადებელი ეტაპის დასკვნით ეტაპს ავსტრიის ქალაქ შტაინბრუნში გადიან და ჩვენი ნაკრების სერბ დამრიგებელ იგორ კოკოშკოვსაც იქ დავუკავშირდით გუნდში არსებული სიტუაციის გასაგებად...



იგორ კოკოშკოვი

- გუნდში საკმაოდ კარგი ატმოსფეროა. ნაკრების ყველა წევრი მაქსიმალურადაა მობილიზებული და საბრძოლველად მომართული. რაც მთავარია, ყველა დისციპლინის დაცვით ეკიდება საქმეს და ეს ძალიან კარგია. საქართველოს ნაკრებში საქმისადმი მიდგომის კულტურა იცვლება და წარმატების მიღწევისათვის ეს მომენტი ძალიან მნიშვნელოვანია.

**- გუნდის სათამაშო ფორმით თუ ხართ კმაყოფილი?**

- მწვრთნელი არასდროს უნდა იყოს კმაყოფილი, რადგან დასახვეწი და გასაუმჯობესებელი ყოველთვისაა რაღაც. მიუხედავად ამისა, იმ ვითარების გათვალისწინებით, რაშიც საქართველოს ნაკრები აღმოჩნდა, უკმაყოფილების საბაბი არ მაქვს. ამაში უპირველესად საქართველოში მომხდარ ამბებს ვგულისხმობ, რის გამოც საშინაო მატჩები მეტოქე ქვეყნებში გადაიტანეს და ჩვენც თვეზე მეტი გვიწევს უცხოეთში ყოფნა. ეს საკმაოდ დიდი ფსიქოლოგიური და მენტალური წნეხია ყველა მოთამაშისთვის. არ არსებობს მსოფლიოში გუნდი, ამდენ ხანს რომ იყოს სამშობლოს მოწყვეტილი და ამ დონის ტურნირის 4 მატჩი სტუმრად ეთამაშოს.

**- ერთი მხრივ, შეიძლება დადებითიც იყოს, ამდენი ხანი რომ გუნდი ერთადაა...**

- რა თქმა უნდა, არის დადებითი მომენტიც, მაგრამ ეს კარგად უნდა გამოვიყენოთ. გუნდი შეკრულია, შეთამაშებული და ყველამ კარგად იცის თავისი საქმე. თითოეული მოთამაშის ფუნქცია გუნდში ზუსტადაა განსაზღვრული და ახლა ჯერი მათზეა, როგორ შეასრულებენ დაკისრებულ ამოცანას. მიუხედავად იმ ფორს–მაჟორული მდგომარეობისა, რაშიც საქართველოს კალათბურთის ფედერაცია აღმოჩნდა, ჩვენი ნაკრების ხელმძღვანელებმა ყველა პირობა შეგვიქმნეს, რომ კარგად მოვმზადებულიყავით. ასეთი რაღაცა ათასში ერთხელ ხდება, თუმცა ფედერაციამ უმალ იპოვა გამოსავალი და გუნდს მომზადების იდეალური პირობები შეუქმნა.

**- თავად მოთამაშეები როგორ ფორმაში არიან და ტრავმა ხომ არავის აწუხებს?**

- არავინაა ტრავმირებული, მხოლოდ ტაირონ ელისს აწუხებდა მუხლი, რომელიც ავსტრიასთან მატჩებში დავასვენეთ, რათა რისკი დიდი იყო. ახლა ელისი ჯანმრთლადაა და უკვე მესამე დღეა, სრული დატვირთვით ვარჯიშობს. ყველა ოპტიმალურ ფორმაშია და არც მობილიზება აკლია არავის.

**- რას იტყვით მოსამზადებელ მატჩებზე, კმაყოფილი ხართ შედეგებით?**

- შედეგი ამ ეტაპზე არაა მნიშვნელოვანი, თუმცა იყო თამაშები, რომელთა წაგებამ გული დამწყვიტა. ავსტრია არაა ისეთი გუნდი, რომ 2 თამაში მოგვიგოს, მაგრამ მასპინძლებმა ჩვენზე უკეთ ითამაშეს და ამას ჰქონდა თავისი მიზეზები. უპირველესად, ჩვენი გადაღლილობა. 6 დღეში 5 მატჩი გავმართეთ, რაც მოსამზადებელ პერიოდში არცერთ ევროპულ გუნდს არ გაუკეთებია. ავსტრიამდე ძალაინ ძლიერ მეტოქეებს შევხვდით და გადავიღალეთ როგორც ფიზიკურად, ისე მენტალურად. ტაირონ ელისის არყოფნა გამართლება არაა, მაგრამ ამანაც ითამაშა თავისი როლი. მანამდელ მატჩებში ნაკრების ერთ–ერთი ლიდერი სწორედ ელისი გახლდათ და ავსტრიელებთან ის ძალიან დაგვაკლდა.

**- დანარჩენი მატჩებით, ალბათ, კმაყოფილი ხართ...**

- უკრაინაში ძალიან ძლიერად ვითამაშეთ, ასევე ლატვიაში, როცა მასპინძლებს მოვუგეთ. გუნდმა აჩვენა ხასიათი და იმაში დარწმუნდა, რომ თუ გამართულად ითამაშებ, გაცილებით ძლიერი მეტოქის დამარცხებაც შეიძლება, არათუ იმ გუნდებისა, რომლებსაც მომავალ საკვალიფიკაციოში ვხვდებით.

**- რამდენად რეალურად მიგაჩნიათ ოთხივე გასვლითი მატჩის მოგება?**

- კარგი შანსი გვაქვს, ყველა მატჩი მოვიგოთ, მაგრამ წინასწარ გადაჭრით რამის თქმა რომ უაზრობაა, ესეც ყველას კარგად მოეხსენება. ის, რომ პოტენციალი გაგვაჩნია და გუნდში არსებული სიტუაცია მოგების იმედს იძლევა, ეს თვალნათელია. არის მომენტები, რომლის გავლენასაც ჩვენს გუნდზე მალე დავინახავთ. კალათბურთი არაა მათემატიკა, აქ არ არსებობს კანონები, რომ ძლიერმა აუცილებლად უნდა მოუგოს სუსტს. ამის მაგალითს იძლევა თუნდაც ფინეთი, რომელიც შარშან გადავიდა A დივიზიონში და უნგრეთს სტუმრად ხომ მოუგო და შინ სერბეთიც დაამარცხა. არადა, საქართველოს ნაკრები შარშან ტოლ-სწორად ეთამაშა ფინეთს და რომ არა ისლანდიასთან დასანანი მარცხი, შესაძლებელია, ახლა ჩვენ ვყოფილიყავით A დივიზიონში.

www.gbf.ge

ტრანსფერები

# უგრეხელიძე ხორვატიაში ითამაშებს

საქართველოს ნაკრების ცენტრმა **დავით უგრეხელიძემ** ახალი გუნდი მოძებნა. იგი 2008-09 წლების სეზონს ხორვატიის ქალაქ რიეკას "კვარნერ რესორთში" გაატარებს. დათომ ერთწლიანი კონტრაქტი გააფორმა და ჯერჯერობით კლუბის მეორე ლეგიონერი იქნება. ქართველის გარდა "კვარნერში" ბოსნიელი **მურუს ანდელია** ირიცხება. თუმცა ისიც უნდა ვიწინასწარმეტყველოთ, რომ გუნდის უფროსობა ერთ-ორ უცხოელს კიდევ დაიმატებს. წინააღმდეგ შემთხვევაში უმაღლეს ლიგაში "ციბონას" დარ კლუბებთან გამკლავება გაუჭირდება.

რადგან სიტყვამ მოიტანა, გეტყვით იმასაც, რომ "კვარნერს" 2006 წლამდე "ტრიგლავი" ერქვა და ხორვატიის ერთ-ერთი წამყვანი გუნდი იყო. მან 2006-07 სეზონი მერვე ადგილზე დაასრულა, ხოლო შარშან ბოლოსწინა, მეცამეტე პოზიციაზე გავიდა. ჯერჯერობით, არ გვაქვს ინფორმაცია კლუბის სამომავლო გეგმების შესახებ, მაგრამ ამას სულ მალე დავით უგრეხელიძისგან შევიტყობთ. დავძენთ იმასაც, რომ დათოს ახალი გუნდი სახელის შეცვლამდე ადრიატიკის ლიგაზეც თამაშობდა და შიდა ჩემპიონატშიც აღწევდა წარმატებებს – 2002 წელს ხორვატიის ჩემპიონატის ნახევარფინალი ითამაშა.

ახლა უგრეხელიძის შესახებ: იგი **იგორ კოკოშკოვმა** ნაკრებში გამოიძახა და 15-16 აგვისტოს უკრაინის ნაკრებტანაც ათამაშა. თუმცა შემდეგ კალათბურთელმა დროებით დათხოვნა ისურვა – ბალკანური კლუბი მეპატიჟებაო. ვიდრე დათო უკან დაბრუნდებოდა, ნაკრებს **ზაზა ფაჩულია** შეუერთდა, თან მეორე ცენტრმა **გიორგი შერმადინმა** გამოიდო თავი და ნაკრების 12 კაცს შორის უგრეხელიძის ადგილი აღარ დარჩა.

ბალკანური ინტერნეტ-გამოცემების თქმით, ხორვატებს კარგად ახსოვთ დავით უგრეხელიძის თამაში სლოვენიის "სლოვანში". ამ გუნდის მაისურით ქართველმა ცენტრმა ადრიატიკის თასზე 2002 წელს "ზადარს" 20 ქულა ჩაუგდო, ხოლო "ციბონას" – 16. დათო სლოვენიაში 1999 წელს გადავიდა. თავიდან იგი სწორედ ამჟამინდელ კლუბში თამაშობდა, რომელსაც მაშინ "ტრიგლავი" ერქვა. 2000-2004 წლებში უგრეხელიძე სლოვენიის "სლოვანში" ასპარეზობდა, ხოლო 2004-06 წლებში "პივოვარნას" ღირსებას იცავდა, სადაც სლოვენიის ნაკრების თავკაცი **ალექს პიპანი** ავარჯიშებდა. 2006-07 წლები უგრეხელიძემ რუსთავის "ენერჯიში" გაატარა და ქვეყნის ჩემპიონობა მოიპოვა, მომდევნო სეზონში ბოსნიის "ბორაჩ ნექტარში" ჩაირიცხა. მაქსიმუმი, რაც ქართველმა ცენტრმა ამ კლუბთან მიაღწია – ბოსნიის თასის ფინალში გასვლა იყო. თუმცა, შიგადაშიგ ფავორიტებსაც ამწარებდა.

პაატა შალამბერიძე



დავით უგრეხელიძე



საქართველოს ნაკრები ახალი შესარჩევი ციკლისთვის ემზადება



ოლიმპიური საქართველო

# ოლიმპიური ციკლის სტენოგრამა

## 2004-2008 წლები

## ახლა ვიგრძენი, რომ მინისტრი ვარ

ATHENS 2004

Beijing 2008

*დასასრული*
*დასაწყისი ლელო №204*

ეს სიტყვები საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრმა **ნიკოლოზ ვაჩეიშვილმა** ჩვენთვის, პეკინის ოლიმპიადის დამთავრების შემდეგ, „ქართულ სახლში" გამართულ სალამოზე წარმოთქვა. კარგია, როცა ასეთი განცდა გეუფლება, თანაც სამშობლოდან ძალიან შორს და თანაც იქ, სადაც მთელი მსოფლიოს რჩეული ახალგაზრდობაა შეკრებილი. როგორ არ იქნები ამაყი ადამიანი, თუკი შენმა პატარა ქვეყანამ ტოლი თითქმის არავის დაუდო, უფრო ხალხმრავალ, ბედნიერი ცხოვრებით განებივრებული და უდარდელი ქვეყნების წარმომადგენლებს ამოუდგა მხარში. ოლიმპიადის მონაწილე 204 ქვეყნიდან 117 საერთოდ უმედლოდ დარჩა. თუნდაც ბრინჯაოს ერთი მედლის მოპოვება იქცა მათთვის აუხდენელ ოცნებად. ჰოდა, როგორ არ უნდა იამაყო, როცა პატარა საქართველოს ერთი პატარა ქალაქიდან, ერთი პატარა კაცის აღზრდილთაგან, ორი ფალავანი გახდა პეკინის ოლიმპიადის მესამე პრიზიორი - გორსა და გორელებს ვგულისხმობთ.

სტატისტიკა მსოფლიოს ყველა ქვეყანასა და ყველა ხალხში ერთ ენაზე მეტყველებს. დღეს მთელმა პლანეტამ იცის, რომ კავკასიის ჯორჯია იმ რჩეული სახელმწიფოების სათვალავშია, რომლებსაც წილად ხვდათ ბედნიერება თუნდაც ერთ მათ წარმომადგენელს, თუნდაც მესამე საფეხურზე შეედგა



ნიკოლოზ ვაჩეიშვილი — ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

ფეხი საპატიო კვარცხლბეკზე. ვისაც ბედმა გაუღიმა 87 ქვეყანაა, როგორც ვთქვით, 117 კი უმედლოდ დარჩა. ასეთია სტატისტიკა. ოლიმპიადის საბოლოო ცხრილში საქართველო 27-ე ადგილზეა ოქროს სამი და ბრინჯაოს ამდენივე მედლით. არიან ქვეყნები, რომლებსაც ვერცხლი და ბრინჯაო აქვთ ჩვენზე მეტი, მაგრამ მთავარი ოქროა, რომელსაც თან სდევს ესოდენ საპატიო ცერემონიალი - გამარჯვებული სპორტსმენის ქვეყნის სახელმწიფო დროშის აღმართვა ეროვნული ჰიმნის თანხლებით, რასაც ფეხზე მდგომი ისმენს და მეწინავედ მაღლა-მაღლა ნარნარად მოფრიალე დროშას მზერას აყოლებს დარბაზში, სტადიონსა თუ სხვა სპორტულ ობიექტებზე შეკრებილი მრავალრიცხოვანი მაყურებელი. მაგრამ ეს კიდევ არ არის მთავარი. ყველაფერ ამას მთელი მსოფლიო ადევნებს თვალყურს ტელევიზიის მეშვეობით. დიახ, მთელი სამყარო, ჩვენ ხომ უკვე 21-ე საუკუნეში ვცხოვრობთ.

პეკინის ოლიმპიადის შედეგების და დასაფასებელთა დაფასების დრო ჯერ კიდევ წინაა. მართალია, ოლიმპიადიდან მობრუნებულებს დედასაქართველოში სულ სხვა ატმოსფერო და უმძიმესი ვითარება დახვდათ, სულიერად არავინ დაცემულა, ეს ისტორიულადაც არასდროს მომხდარა და არც მოხდება.

დელეგაციის თითოეულმა წევრმა პეკინში თავდაუზოგავად ყველაფერი გააკეთა, რომ დედასამშობლო ესახელებინა. პეკინიდან გადმოცემულ რეპორტაჟებში ვწერდით იმ საყოველთაო ყურადღების შესახებ, რომლითაც გარემოსილი იყო ჩვენი დელეგაცია საერთოდ და, კერძოდ, მისი თითოეული წევრი. რომ არა საქართველოში დატრიალებული ტრაგედია, რაც ჩრდილოელმა მეზობელმა დაატეხეს თავს ჩვენს ხალხს და ქვეყანას, ბუნებრივია, პეკინის ოლიმპიადაზე ასეთი გადამეტებული ყურადღება არ იქნებოდა ჩვენ მიმართ.

თუმცა ყურადღება მაინც ნამდვილად არ დაგვაკლდებოდა. დელეგაციაში როცა ოლიმპიური ჩემპიონები გყავს, რომელსაც მთელი მსოფლიო იცნობს, გინდა-არ გინდა, თაყვანისმცემლებს ანგარიში უნდა გაუწიო: მისცე ავტოგრაფი, გამოელაპარაკო, გადაიღო მასთან ფოტოსურათი. ბევრ ოლიმპიადაზე ვყოფილვარ, მაგრამ ჩინეთმა ამ მხრივ ყველა რეკორდი მოხსნა მასპინძლობის თვალსაზრისით. ოღონდ მოგემსახურონ, გასიამოვნონ, ოღონდ თავი დაგამახსოვრონ და ქუჩაში უქოლგოდ რომ მიდიოდე, თუნდაც ცრიდეს, ნებისმიერი ჩინელი წამოგეწეოდა, თავის ქოლგის ქვეშ შეგიფარებდა. ეს ერთი მაგალითი მოვიტანეთ თორემ...

ზემოთ ითქვა, როგორ ხარობდნენ ცნობილი სახეების ხილვით გულშემატკივრები და ეს მხოლოდ ჩინელებზე არ ითქმის. საკუთარი თვალით ვნახე, როგორ მოექციათ წრეში მონღოლებს **დავით გობეჯიშვილი** და რა ბედნიერები იყვნენ ეს ადამიანები მასთან შეხვედრით.

მინდა იმით დავასრულო, რითაც წერილების სერიის ეს ბოლო მონაკვეთი დავიწყე - დაე, ყველას ყოველთვის ისე ეგრძნოს თავი იმ საქმეში, რასაც ემსახურება, როგორც ეს ნიკა ვაჩეიშვილმა იგრძნო პეკინში.

პეკინი მხოლოდ წარმატება არაა, პეკინი გაკვეთილიცაა. არამც და არამც არ უნდა დაგვეუფლოს კმაყოფილების გრძნობა. დაფიქრება გვმართებს. ქართული სპორტი მხოლოდ ჭიდაობა არაა.

არადა, ლონდონის ოლიმპიადისთვის მზადება დაიწყო.

**თენგიზ გაჩეჩილაძე**
პეკინი-თბილისი



დავით გობეჯიშვილი მონღოლთა გარემოცვაში — ავტორის ფოტო



ჩინური გულისხმიერება

სუმო

# კოკაის ირგვლივ სკანდალია

## ოსი სუმოისტები კი მარიხუანას მოხმარებაში ამხილეს

ეს დღეებია, იაპონიაში მოასპარეზე ქართველი სუმოისტი **ლევან ცაგურია (კოკაი)** ყურადღების ცენტრშია მოქცეული. ჯერ საკმაოდ სერიოზულ დისკვალიფიკაციას გადაურჩა, შემდეგ კი მისი მეგობრები მარიხუანას მოხმარებაში გამოიჭირეს. ჩვენ უკვე გაუწყეთ, რომ კოკაიმ ტოკიოში რუსეთის საელჩოსთან საპროტესტო აქციაში მიიღო მონაწილეობა, რის გამოც მას საყვედური გამოუცხადეს. ქართველი რუსთა ოკუპაციას აპროტესტებდა, თუმცა ტრადიციების მოყვარულმა იაპონელებმა მას გაუხსენეს, რომ გულის პრობლემების გამო არ ჰქონდა რაიმე ღონისძიებაში მონაწილეობის უფლება, საჩვენებელი ტურნირებიდან ის გაათავისუფლეს და წესით, უნდა დაესვენა. როგორც შევიტყვეთ, თავიდან კოკაის ძალზე მკაცრად დასჯაც კი იყო გადაწყვეტილი, სუმოს ასოციაცია მას ორი ბაშოთი (სექტემბრისა და დეკემბრის) მოკვეთას უპირებდა, რაც მას აუცილებლად დააქვეითებდა არათუ პირველი, არამედ მეორე დივიზიონ ძურიოდანაც. საბოლოოდ, სუმოს თავკაცებმა, ალბათ, პოლიტიკური მოტივით ქართველს მოწყალე თვალით გადმოხედეს და მკაცრი გაფრთხილება აკმარეს. თავად სუმოისტმა განაცხადა, რომ იცოდა შესაძლო მძიმე სანქციის შესახებ, მაგრამ არ შეეძლო დემონსტრაციაზე არ წასულიყო და თავისი დამოკიდებულება არ გამოეხატა რუსეთის აგრესიის გამო.

კოკაი კი გადარჩა იოლად, მაგრამ მისი ოსი მეგობრები – ვერა. საელჩოს ინციდენტამდე ორიოდე დღით ადრე, ტოკიოს პოლიციაში ერთ-ერთმა ქალბატონმა მიიტანა ნაპოვნი საფულე, სადაც სიგარეტის კოლოფთან ერთად ოს **ვაკანოჰოს (სოსლან გაგლოევი)** პირადობის მოწმობაც იყო. პოლიციამ სიგარეტის კოლოფში მარიხუანა აღმოაჩინა. 20 წლის ვაკანოჰოს უკვე მისცეს სამუდამო დისკვალიფიკაცია. ამის შემდეგ კი სუმოს ასოციაციამ ელიტის ორივე ლიგაში, 69 რიკიში შეამოწმა დოპინგზე, რაც უპრეცენდენტო შემთხვევაა. ყველა სუმოისტის სისხლი „სუფთა" იყო გარდა ორისა, ისევ ოსები ჩავარდნენ **როჰო** და მისი ძმა **ჰაკუროძანი (სოსლან** და **ბათრაზ ბორაძოვები)**, მათ სისხლშიც მარიხუანას კვალი აღმოაჩინეს. შეგახსენებთ, რომ ისინი კოკაის მეგობრები არიან, თუმცა, საბედნიეროდ, კოკაის ანალიზმა უარყოფითი პასუხი აჩვენა. როჰო და მისი ძმა ტოკიოს გიმნაზიუმში დააპატიმრეს, თუმცა შემდეგ ისევ გაათავისუფლეს. სუმოს ასოციაცია გამეორებითი ტესტების შედეგს ელოდება, რომლიც 8 სექტემბერს გახდება ცნობილი. სავარაუდოდ, მათაც სამუდამო დისკვალიფიკაცია ელით. სექტემბრის ბაშო 14-ში იწყება, კოკაი ტურნირს ელიტაში უდაბლესი რანგით, მე-16 მაეგაშირობით შეხვდება. ამავე ტურნირზე **ლევან გორგაძე (ტოჩინოშინი)** მე-10 მაეგაშირა იქნება.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

შეკითხვა „ლელოს"

**გთხოვთ მიპასუხოთ, საქართველოს რამდენი ოლიმპიური ჩემპიონი ჰყავს და რამდენი ოქროს მედალი აქვს მოპოვებული ზაფხულის თამაშებში.**

**ვახტანგ დარბაისელი**
თბილისი, სტუდენტი

პასუხი: საქართველოს სპორტსმენები ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობენ 1952 წლიდან. ჰელსინკის ოლიმპიადიდან მოყოლებული, საქართველოდან ზაფხულის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი გახდა 33 სპორტსმენი. მოპოვებულია 36 ოლიმპიური ოქრო. მძლეოსანი **ვიქტორ სანეევი** სამჯერ გახდა ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი სამხტომში, თავისუფალ ჭიდაობაში კი **ლევან თედიაშვილმა** ორჯერ მოიპოვა თამაშების ოქროს მედალი.

ოლიმპიური ოქროს მედლები წლების მიხედვით ასე ნაწილდება: 1952 წელი - 3; 1956 წელი - 2; 1960 წელი - 2; 1964 წელი - 2; 1968 წელი - 2; 1972 წელი - 6; 1976 წელი - 3; 1980 წელი - 3; 1988 წელი - 5; 1992 წელი - 3; 2004 წელი - 2; 2008 - 3.

ჩოგბურთი

# ქართველთა პირველებმა აიწყვიტეს

## ჩახნაშვილი და ლაბაძე მეოთხედფინალში

საქართველოს პირველმა ჩოგანმა **მაკა ჩახნაშვილმა** (210) წარმატებით დაძლია ფრანგული ქალაქის, დენაინის ტურნირის პირველი წრე, თუმცა ამისათვის 25 წლის ჩოგბურთელს ორი დღე დასჭირდა. დენაინის თიხნარზე გამართული ტურნირის საპრიზო ფონდი 75 ათასი დოლარია. მაკა პირველ წრეში ერთ-ერთ ფავორიტს, ფრანგ **ოლივია სანჩესს** (104) ეთამაშებოდა. ოთხშაბათს, სალამოს შეხვედრა დაბინდების გამო გუშინდელი დღისთვის გადმოიტანეს. მსოფლიოს საუკეთესო ასეულის ზღვარზე მდგომ ჩოგბურთელთან მატჩში კარგად გამოჩნდა, რომ ჩახნაშვილს ასეულში მოხვედრის პოტენციალი ნამდვილად აქვს - ჩვენებურმა ორ სეტში მოიგო – 6:3, 7:6.

დენაინის ტურნირის მერვედფინალში მაკას მეტოქე საკვალიფიკაციო ბადიდან გასული ფრანგი **კარლა მრაზი** (420) იყო. ასე რომ, ჩვენს თანამემამულეს დღეში მეორე მატჩის გამართვა მოუწია. ამის მიუხედავად, მას დაღლილობა არ ეტყობოდა – 6:1, 6:2. მეოთხედფინალში ქართველის მეტოქე გერმანელი **კრისტინა ბაროისია** (136), რომელსაც აქამდე მხოლოდ ერთხელ შეხვედრია – ორი წლის წინათ ჩახნაშვილმა ბაროისთან ბრატისლავას ტურნირის მეორე რაუნდში წააგო სამ სეტში.

» 13

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ქართველთა პირველებმა აიწყვიტეს




12 «

ჩახნაშვილი წყვილთა თანრიგში უკვე მეოთხედფინალშია, რუმინელ **ალექსანდრა დულგერუსთან** დუეტში თამაშობს. ჩახნაშვილმა და დულგერუმ იოლად დაამარცხეს **დებრიხ ფეიესი** (ბელგია) და **ალექსანდრა გრელა** (პოლონეთი) 6:2, 6:3. ეს შეხვედრა საათზე ოდნავ მეტ ხანს გაგრძელდა. მეოთხედფინალში მაკას და ალექსანდრას მე-3 ნომრად განთესილი წყვილი ელის (**სტეფანი კოენ-ალორო, მარი-ივ პელეტიე**).

უკრაინის ქალაქ ჩერკასიში „ჩელენჯერის სერიის" მორიგი ტურნირი მიმდინარეობს, რომლის საპრიზო ფონდი 50 ათასი ამერიკული დოლარია. საქართველოს პირველი ჩოგანი ვაჟი **ირაკლი ლაბაძე** (696) საკვალიფიკაციო ბადიდან მეოთხედფინალში მოხვდა და ბრძოლას აგრძელებს. ძირითადი ბადის პირველ წრეში ბელარუსი **ვლადიმირ იგნატიკის** დამარცხების შემდეგ ჩვენმა თანამემამულემ გზიდან სლოვენიელი **ბლაჟ კავჩიჩიც** (240) ჩამოიცილა. მათი მერვედფინალური მატჩი სამ სეტს გაგრძელდა, ირაკლიმ დაძაბულ ბრძოლაში იმარჯვა – 6:4, 5:7, 6:3. მეოთხედფინალში ლაბაძეს უკვე სერიოზული მეტოქე ჰყავს – მე-4 ნომრად განთესილი უზბეკი **დენის ისტომინი** (134). ლაბაძე ტურნირის წყვილთა თანრიგშიც იასპარეზებს.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

პლაჟბურთი. მსოფლიო ტური

# თითო მოგება და წაგება



საქა-რთველო

პოლონეთის ქალაქ მიშლოვიცეში, მსოფლიო ტურის მორიგ ეტაპში ჩაერთო ქალთა შორის პლაჟბურთის ქართული წყვილი **საქა-რთველო.** ჩვენმა ფრენბურთელებმა, რომლებიც შეჯიბრებაში მეთორმეტე ნომრად არიან განთესილი, პირველ შეხვედრაში ოცდამეერთე ნომრად განთესილ შვეიცარიელებთან **ცუმკერთან** და **გრაიზლისთან** არასტაბილური თამაში აჩვენეს. პირველი სეტი საქა-რთველომ 21:16 მოიგო. წესით, არც მეორის მოგება უნდა გასჭირვებოდათ, მაგრამ, როგორც ჩანს, ოდნავ მოეშვნენ და 14:21 დამარცხდნენ. დასკვნით, გადამწყვეტ სეტში კი ყველაფერი თავის ადგილზე დადგა. საქა-რთველომ მობილიზება შეძლო და 15:9 გაიმარჯვა.

სამაგიეროდ, ჩვენი ფრენბურთელები ვერაფერს გახდნენ მეხუთე ნომრად განთესილი ნორვეგიული დუეტის **ნილასა** და **ინგრიდის** წინააღმდეგ და ორ სეტში დამარცდნენ 13:21, 17:21. მომდევნო შეხვედრას საქა-რთველო დღეს გამართავს ოცდამეორე ნომრად განთესილ ბერძნებთან **კუტრუმანიდუსთან** და **ციარციანისთან.** ჩვენს ფრენბურთელებს წაგების უფლება ალარ აქვთ.

ესპანურ მალიორკაში ასპარეზობს მსოფლიო ტურის მორიგ ეტაპზე **გეორ-გია.** ტურნირი ამ ქალაქში 2004 წლის შემდეგ პირველად ტარდება. ორგანიზატორების გადაწყვეტილებით პლაჟბურთელები ერთმანეთს ხარების ბრძოლის არენაზე, „პლაზა დე ტოროზე" შეერკინებიან.

ტურნირის პირველ შეხვედრაში გეორ-გია, რომელიც მეთერთმეტე ნომრადაა განთესილი, არგენტინულ, ოცდამეორე ნომრად განთესილ დუეტთან **ბარაკეტისთან** და **სალემასთან** დამარცხდა სამ სეტში 19:21, 21:19, 5:15. შემდეგი მეტოქე ჩვენ ფრენბურთელებს ბევრად უფრო სუსტი, 27-ე ნომრად განთესილი უცნობი ავსტრიელები **ჰოფერი** და **შორფენგერი** ჰყავდა. გეორ-გიამ ორ სეტში გაიმარჯვა 21:19, 21:10 და ასპარეზობას აგრძელებს.

მომდევნო მეტოქე ბევრად უფრო ძლიერი, კიდევ ერთი ავსტრიული წყვილი **დოპლერი-გარტმაიერი** გვეყოლება, რომელიც ტურნირზე მე-5 ნომრადაა განთესილი. გეორ-გიას წაგების უფლება ალარ აქვს.

**ბესიკ ჯანგავაძე**

ჭადრაკი

# დავით არუთინიანი საქართველოს ნაკრებში


დავით არუთინიანი

გუშინ, თბილისის ჭადრაკის სასახლეში დასრულდა მინი მატჩ-ტურნირი, რომელშიც საქართველოს ოლიმპიური ნაკრების ორი კანდიდატი - **მერაბ გაგუნაშვილი** და **დავით არუთინიანი** შეხვდნენ ერთმანეთს. მატჩის მთავარი მიზანი, საქართველოს ნაკრების სათადარიგო, სხვაგვარად - მეხუთე დაფაზე მოთამაშის შერჩევა იყო. შეგახსენებთ, ნოემბრის შუა რიცხვებში გერმანიის ქალაქ დრეზდენში საჭადრაკო ოლიმპიადა გაიმართება. ოლიმპიადა გუნდური შეჯიბრებაა და პაექრობა ოთხ დაფაზე მიმდინარეობს. ნაკრების შემადგენლობის დადგენა ორი თვით ადრე უპრიანია, რადგანაც შეჯიბრებისთვის სათანადოდ მომზადებაა საჭირო. საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის გამგეობამ რამდენიმე დღის წინ იმსჯელა და გარკვეულ კრიტერიუმთა გათვალისწინებით, ნაკრების ოთხი წევრი დაასახელა. ესენია: **ბაადურ ჯობავა, ზვიად იზორია, მიხეილ მჭედლიშვილი** და **ლევან ფანცულაია.**

დებულებით მინი-მატჩი ორი კლასიკური პარტიისგან შედგებოდა. მთელ პარტიაზე მოჭადრაკეებს 90 წუთი ეძლეოდათ, ყოველ სვლაზე 30 წამის დამატებით. თუკი ორი პარტიის ჯამში გამარჯვებული ვერ გამოვლინდებოდა, დებულებით განსაზღვრული იყო ორი 15-წუთიანი პარტია, ყოველ სვლაზე 10 წამის დამატებით. თუკი ამ შემთხვევაშიც თანაბრობა აღინიშნებოდა, უძლიერესის ვინაობას ორი ხუთწუთიანი (ბლიცი) პარტია გამოავლენდა, სადაც სვლაზე დრო ალარ დაემატებოდა. ბლიცის შედეგიც თუ ვერ გამოარჩევდა უპირატესს, მაშინ „არმაგედონის" მეშვეობით შევიტყობდით ნაკრების წევრის ვინაობას, - „არმაგედონის" დროს თეთრებს 6 წუთი ეძლევათ, შავებს - 5; ყაიმის შემთხვევაში გამარჯვება შავებით მოთამაშეს ენიჭება.

გაგუნაშვილმა ნკრები ჯერ კიდევ 6 წლის წინათ, 2002 წლის შემოდგომით დააჭაშნიკა და მეხუთე დაფაზე მცირე ოქროს მედალიც აიღო. მას შემდეგ მერაბი ნაკრების შეუცვლელი წევრი იყო, - პირად წარმატებებსაც უმატა და რეიტინგული მაჩვენებელიც 2600 გაუხდა. სამწუხაროდ, ბოლო წლებია, არასტაბილურად თამაშობს და რეიტინგშიც გვარიანად დაქვეითდა - 2566 აქვს დღეისთვის.

დავით არუთინიანი კი მზარდი მოჭადრაკეა. დღეისთვის მისი რეიტინგქულა 2586-ს უდრის და მერვეა საქართველოში. ნაკრებში პირველად ორიოდ წლის წინათ მოხვდა - ტურინის ოლიმპიადაზე მეხუთე დაფაზე ითამაშა, ანუ სათადარიგო გახლდათ და სხვათა შორის, ერთ-ერთი საუკეთესო იყო გუნდში. მისი სტილი მშვიდი, პოზიციური თამაშია, რაც ნაკლებ რისკს მოიცავს და მეტოქის შეცდომის გამოყენებას ლამობს.

მატჩი აშკარად დიდ ინტერესს აღძრავდა და ჩვენც გულისყურით ვადევნეთ ორდღიან დაპირისპირებას თვალი. სამწუხაროდ, შემოქმედებითი თვალსაზრისით ვერაფრით გაგვახარეს მოჭადრაკეებმა, - ორივე კლასიკური პარტია ყაიმით დასრულდა. პირველ პარტიაში, სამ სექტემბერს, თეთრებით არუთინიანი იყო და ჩვეულ სტილში, აუღელვებლად ითამაშა. დიდი შეხლაშემოხლა ვერც მეორე პარტიაში, 4 სექტემბერს, ვიხილეთ.

გუშინვე დაინიშნა ტაიბრეიკები. პირველ პარტიაში თეთრები გაგუნაშვილს ერგო, თუმცა გამარჯვება ვერც ახლა მოახერხა - ყაიმი. ყაიმითვე დასრულდა მეორე თხუთმეტწუთიანი პარტიაც. საქმეში მესამე ეტაპი - ბლიცი ჩაერთო. კენჭისყრით თეთრები არუთინიანის არჩივი გახდა და დავითმა ამჯერად გამარჯვება შეძლო. ობიექტურობისთვის უნდა აღინიშნოს, რომ პოზიცია აბსოლუტურად საყაიმო იყო და გაგუნაშვილმა ცაიტნოტში დრო ვერ გააკონტროლა- ალამი ჩამოუვარდა. მერაბს მატჩის გადარჩენის შანსი რჩებოდა, მაგრამ არუთინიანმა მეორე ხუთწუთეულში კარგად დაიცვა თავი და ყაიმს მიაღწია. არუთინიანმა საბოლოო ანგარიშით - 3.5:2.5 გაიმარჯვა.

ცხადია, დავითი ნაკრების წევრი გახდა, თუმცა იგივე შანსი მაინც არ დაუკარგავს გაგუნაშვილს. არ არის გამორიცხული, რომ ნოემბრამდე რაღაც ცვლილებები მოხდეს და მერაბს ნაკრებში დაუძახონ... ასეთ შესაძლებლობას ვარაუდობენ ფედერაციაშიც და ამიტომ გაგუნაშვილს ნაკრების პირველი რეზერვისტის სტატუსი მიენიჭა.

აღსანიშნავია, რომ მატჩამდე ერთი დღით ადრე მერაბ გაგუნაშვილი, რამდენიმე ქართველ მოჭადრაკესთან ერთად, ირანის საერთაშორისო ტურნირიდან დაბრუნდა, სადაც ძლიერ მეტოქეებს აჯობა და 11-დან 9 ქულით პირველი ადგილი დაიკავა. შესაძლოა, ახლო აღმოსავლეთის მოვლის შემდეგ მერაბი თავს დაქანცულად გრძნობდა და მარცხიც ამან გამოიწვია. ყოველ შემთხვევაში, თავად ეს მიზეზი დაასახელა. გაგუნაშვილი აქტიური საჭადრაკო ცხოვრებით ყოველთვის გამოირჩეოდა და უკვე ხვალ დუბაის ტრადიციულ საერთაშორისო ტურნირზე მიემგზავრება. დავით არუთინიანი აღმოსავლეთში მგზავრობისგან ამჯერად თავს იკავებს. აშკარაა, ის ნაკრებისთვის მზადებას თავისებური გეგმით აპირებს. როგორია ეს გეგმა, მალე გავიგებთ.

**ზვიად შათირიშვილი**

# სანიკიძეს ვერ აჩერებენ!

**თორნიკე სანიკიძის** ვაჟკაცობაზე გუშინაც ვწერდით - ხუთიდან ხუთი ქულა მხოლოდ მას მოეგროვებინა და ერთპიროვნულად ლიდერობდა საკმაოდ ძლიერ იზმირის საერთაშორისო ტურნირს. მეექვსე ტურში ქართველ მოჭადრაკეს სერიოზული გამოცდის ჩაბარება უწევდა - მეორე ნომრად განთესილი თურქი **სუათ ათალიკი** ჰყავდა მეტოქედ. სუათმა სამიოდ კვირით ადრე სტამბოლის ძლიერი ტურნირი მოიგო და საერთოდაც, საკმაოდ ანგარიშგასაწევ ძალად მიიჩნევა საერთაშორისო ასპარეზზე. სტამბოლში თორნიკე არ თამაშობდა - იმ დროს 20-წლამდელთა მსოფლიოდ ჩემპიონატი მიმდინარეობდა თურქეთისვე ქალაქ გაზიანთეფში და სანიკიძემ ნორმალური შედეგი აჩვენა, თუმცა მეტის მოლოდინი გვქონდა... როგორც ჩანს, ის მოლოდინი ახლა აგვიხდება - უფრო მაღალი რანგის მეტოქეებს თორნიკე პირწმინდად ჩაგრავს: აღიარებულ ფავორიტს ისეთი დღე აყარა, თურქის გულშემატკივარს საცოდაობით გული დაეწვებოდა; ჩვენ კი ძალიანაც გავიხარეთ. ქართველი თეთრებით იყო და აქტიურად ითამაშა; შუაწელში კი შეტევის კონკრეტული გეგმა შეიმუშავა და როცა საჭირო იყო, მომაკვდავი დარტყმა მიაყენა შავების პოზიციას - ფიგურა შეწირა, რის ხარჯზეც შეტევა განავითარა და მალე დაამარცხა კიდეც ათალიკი.

ჩვენდა ბედად, ვერ მოიგო **მიხეილ გურევიჩმა** - ზედიზედ მეორედ ყაიმით ითამაშა და სანიკიძეს ერთი ქულით ჩამორჩა. ამ შეფერხებით კარგად ისარგებლეს სხვა ქართველებმაც: **დავით მალალაშვილმა** შავებით დაამარცხა თურქი **მუსტაფა ილმაზი; დავით ჯოჯუამ** კი **მაკა ფურცელაძეს** დააყრევინა ფარ-ხმალი. სამწუხაროდ, თეთრი ფერის უპირატესობა ვერ გამოიყენა **მალხაზ სულაშვილმა** და თურქმენ **მელის ანაბერდიევს** დაუზავდა. ანაბერდიევი საკმაოდ კერკეტი კაკალი ჩანს - თავად ვერ ჩაგრავს რეიტინგით მასზე „უფროსებს", მაგრამ არც ეჩაგვრინება და ამ ჯახირ-ჯახირში, ანუ ყაიმებით 5 ქულას კი მოუყარა თავი. დღეს, დიდი შანსია, გაიმარჯვოს კიდეც - თეთრებით ებრაელ ქალბატონს, **მაშა კლინოვას** ხვდება.

ცხრილს თუ გადავხედავთ, ექვსი ტურის შემდეგ პირველ ოთხეულში ქართველები არიან: სანიკიძე ექვსი ქულით ლიდერობს; მეორე-მეოთხე ადგილებს 5,5 -5,5 ქულით თურქი ესენ ბარისი, დავით ჯოჯუა და დავით მალალაშვილი იყოფენ. უკეთესი კოეფიციენტის გამო მეორეზე ბარისია, მესამეზე - ჯოჯუა.

მალხაზ სულაშვილს 5 ქულა აქვს და კიდევ შერჩენია შანსი, სამეულისთვის იბრძოლოს; თუმცა ამისთვის თამაშის ხარისხის გაუმჯობესება იქნება საჭირო... თავიანთ შანსს 4.5-ქულიანებიც ჩაეჭიდებიან, მაგრამ მათ ბევრად მეტი ოფლის ღვრა მოუწევთ. 4.5 ქულა სამ ჩვენებურს აქვს: მაკა ფურცელაძეს, **არმენ გრიგორევსა** და **ნინო ბაციაშვილს.**

მეშვიდე ტურში პირველ დაფაზე ქართული დერბია: დავით ჯოჯუა თორნიკე სანიკიძის წინააღმდეგ. დერბი ყოველთვის სიმძაფრით აღინიშნება, მაგრამ შესაძლოა, ამ შემთხვევაში არცთუ დიდი ბრძოლა ვიხილოთ და ზავი იოლად დაიდოს... მორე დაფაზე მალალაშვილი თეთრებით ესენ ბარისს ხვდება და თუ მოუგო, ერთ ძლიერ კონკურენტს ჩამოაშორებს ქართველობას. მიხაილ გურევიჩი შავებით სირიელ **მაჰმუდ ჰამადს** შეხვდება და სავარაუდოდ, მოუგებს. ეს ბრძოლა მესამე დაფაზე შედგება. მეოთხეზე მალხაზ სულაშვილი შავებით ეცდება **ფარუკ კელერის** დამარცხებას. თურქს რეიტინგი მხოლოდ 2256 აქვს, რაც მის არცთუ მაღალ კლასზე მეტყველებს.

სანიკიძისგან გვემული ათალიკი მეათე დაფაზე თეთრებით შეხვდება თანამემამულე **ბურაკ ფირატს.**

**ზვიად შათირიშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩოგბურთი. აშშ-ის ღია პირველობა

# ვენუსის ოჯახური საჩუქარი

ქალთა ბადის ნახევარფინალში ის ოთხი ჩოგბურთელი გავიდა, რომელთაგანაც ერთ-ერთი ორშაბათიდან WTA-ის რეიტინგს ჩაუდგება სათავეში. ამიტომაც ამ ოთხეულის ორთაბრძოლა არნახულად დაძაბული და საინტერესო უნდა გამოვიდეს.

გუშინ, ამერიკის ღია პირველობაზე ნაადრევ ფინალად მონათლული შეხვედრა გაიმართა. ქალთა მეოთხედფინალში დებმა **უილიამსებმა** გაარკვიეს ურთიერთობა.

ეს იყო პროფესიულ ტურში **სერენასა** და **ვენუსის** რიგით მე-17 ოჯახური დაპირისპირება. აქამდე მათ შორის ურთიერთშეხვედრათა ანგარიში საყაიმო იყო - 8:8.

დები კარგად მომზადებული შეხვდნენ ამერიკის ღია პირველობას. მათ ძალიან იოლად გააღწიეს მეოთხედფინალში და ამიტომაც, გუშინდელ შეხვედრაში რომელიმესთვის უპირატესობის მინიჭება შეუძლებელი იყო. ეს მატჩის მსვლელობამაც დაამტკიცა.

ორივე სეტში ტაი-ბრეიკის ჩატარება გახდა საჭირო. თუმცა ვენუსს შეეძლო, აქამდე არც მიეყვანა საქმე. პირველ პარტიას ის 5:4-ს იგებდა და სეტზე აწვდიდა, მაგრამ სერენამ მდგომარეობის გამოსწორება მოახერხა. ტაი-ბრეიკებზე ისევ ვენუსმა იაქტიურა და ორი სეტ-პოინტი მოიპოვა (6:4), მაგრამ იმდენი მოახერხა, რომ დას ზედიზედ ოთხი ბურთი ჩააგდებინა და სეტიც წააგო.

ვენუსმა განსაკუთრებით მეორე სეტში "მოინდომა". ჯერ 5:3 იყო წინ, ისევ სეტზე აწვდიდა და სამმაგი სეტ-პოინტი ვერ გამოიყენა. შემდეგ ორი სეტ-პოინტი სერენას მოწოდებაზე ჰქონდა. ისევ გაუშვა შანსი ხელიდან. ბოლოს იყო კიდევ ერთი ტაი-ბრეიკი, ვენუსის მორიგი სამი სეტ-პოინტი და სერენასთვის გაკეთებული კიდევ ერთი საჩუქარი. უმცროსმა უილიამსმა და აღარ აწვალა და ვენუსს წლევანდელ უიმბლდონზე დამარცხებისთვის რევანში აუღო.

სერენას მეტოქე ნახევარფინალში რუსი **დინარა საფინასა** და იტალიელი **ფლავია პენეტას** მატჩში ირკვეოდა. ეს თამაში სრულიად განსხვავებული სცენარით წარიმართა და საფინამ ძალიან იოლად - 6:2, 6:3 დაამარცხა ტურნირის მე-16 ნომერი.

ქალთა ტურნირის ნახევარფინალური წყვილები ასე გამოიყურება: **ელენა დემენტიევა-ელენა იანკოვიჩი, სერენა უილიამსი-დინარა საფინა.**

■ ■ ■

ქალებისგან განსხვავებით, კაცების ტურნირში ჯერ ერთი ნახევარფინალური წყვილია ცნობილი.

ამერიკის წლევანდელი ღია პირველობის ერთ-ერთი მთავარი ინტრიგა არგენტინელ **ხუან მარტინ დელ პოტროს** უკავშირდებოდა. 19 წლის ჩოგბურთელს ზედიზედ 23 შეხვედრა ჰქონდა მოგებული. გარდა ამისა, არგენტინელმა ზედიზედ ოთხ ტურნირში მოიპოვა მთავარი პრიზი. ამიტომაც ყველას აინტერესებდა, რამდენი ხანი გაგრძელდებოდა ჩოგბურთის ახალი ვარსკვლავის ეს ფენომენური სერია.

დელ პოტროს შეჩერება ბრიტანელმა **ენდი მიურემ** შეძლო, რომელიც ბოლო პერიოდში შესანიშნავ სპორტულ ფორმაში შევიდა. აღნიშნულ დაპირისპირებას დამატებით ინტრიგას ისიც მატებდა, რომ რომის ტურნირზე დელ პოტრომ უხამსი სიტყვებით მოიხსენია მიურეის დედა. ამიტომაც, მატჩის წინ ბუკმეიკერული კანტორა "უილიამ ჰილი" იმაზეც კი იღებდა ფსონებს, რომ ენდისა და ხუან მარტინის მატჩის დროს ჩხუბიატყდებოდა. საბედნიეროდ, შეხვედრამ ყოველგვარი ექსცესის გარეშე ჩაიარა და შეხვედრის შემდეგ, ჩოგბურთელებმა მეგობრულადაც კი ისაუბრეს.

*"უბრალოდ, გამარჯვება მივულოცე და შემდეგ შეხვედრაში წარმატება ვუსურვე. ის ბრწყინვალე ჩოგბურთელია. დღეს მე მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო მოთამაშესთან დავმარცხდი",* - განაცადა ელ პოტრომ.

არგენტინელმა ერთადერთი სეტის მოგება შეძლო, დანარჩენ შემთხვევაში შოტლანდიელი დამაჯერებლად აკონტროლებდა მატჩის მსვლელობას. პირველი ორი სეტის ტაი-ბრეიკი მიურეიმ ძალიან იოლად მოიგო, მეოთხე სეტის მე-12 გეიმში კი, მეტოქის მოწოდებაზე ბრეიკი გააკეთა და კარიერაში პირველად გავიდა "დიდი სლემის" ნახევარფინალში, სადაც მას ესპანელი **რაფაელ ნადალი** დაუპირისპირდება.

ეს მოგება მიურეისთვის კიდევ იმით იყო მნიშვნელოვანი, რომ მან უკვე გაინაღდა მსოფლიოს რეიტინგში მეოთხე ადგილი.

ნადალს რაც შეეხება, მან წერტილი დაუსვა ზღაპარს, სახელად "მარდი ფიში". ამერიკელისთვის აშშ-ის ღია ჩემპიონატის მეოთხედფინალში პირველად გასვლა და ამ ეტაპზე ესპანელისთვის ერთი სეტის მოგება, მართლაც ზღაპარი იყო. თავის მხრივ, რაფამ საკუთარ კარიერაში ახალი ფურცელი გადაშალა - ის ხომ პირველად ითამაშებს ამ ტურნირის ნახევარფინალში.

ნადალისა და მიურეის მომავალ დაპირისპირებაში უპირატესობას მაინც ესპანელ ჩოგბურთელს ანიჭებენ. ის, რაც ბრიტანელს დელ პოტროს დასამარცხებლად ეყო, ნადალთან ნამდვილად არასაკმარისი იქნება. რაფასთვის პრობლემა არ იქნება მიურეის მოწოდების სიჩქარე - 170 კილომეტრი საათში. დელ პოტრომ ენდის წინააღმდეგ 18-დან 7 ბრეიკ-პოინტი გამოიყენა, ნადალი კი ამ რიცხვზე არ შეჩერდება. მაგრამ ვინ იცის, იქნებ ამ ტურნირზე აპირებს მსოფლიო ჩოგბურთის "ცუდი ბიჭი" - ენდი მარეი სპორტული სამყაროს გაკვირვებას?!



**კაცები**

**1/4 ფინალი**

**რაფაელ ნადალი** (ესპ, 1)-მარდი ფიში (აშშ) 3:6, 6:1, 6:4, 6:2; **ენდი მიურეი** (ბრიტ, 6)-ხუან მარტინ დელ პოტრო (არგ, 17) 7:6 (2), 7:6 (1), 4:6, 7:5.

**ქალები**

**1/4 ფინალი**

**სერენა უილიამსი** (აშშ, 4)-ვენუს უილიამსი (აშშ, 7) 7:6 (6), 7:6 (7); **დინარა საფინა** (რუს, 6)-ფლავია პენეტა (იტა, 16) 6:2, 6:3.

ფედერაციის თასი

# შემადგენლობები ცნობილია

ამერიკის ღია პირველობის შემდეგ, ქალთა არაოფიციალური მსოფლიოს ჩემპიონატის - ფედერაციის თასის ფინალი გაიმართება. 13-14 სექტემბერს, მადრიდში ესპანეთის ნაკრები მოქმედ ჩემპიონს, რუსეთის ნაკრებს უმასპინძლებს.

მონაწილე გუნდების მწვრთნელებმა უკვე გაამხილეს იმ ჩოგბურთელების ვინაობა, რომლებიც გადამწყვეტ მატჩში მიიღებენ მონაწილეობას.

ესპანეთის ნაკრების შემადგენლობა ასე გამოიყურება: **ანაბელ მედინა-გარიგესი, ვირხინია რუანო-პასკუალი, ნურია ლაგოსტერა-ვივესი და კარლა სუარესი.**

ცნობისთვის, ამ კვარტეტიდან მხოლოდ მედინა გარიგესი შედის WTA-ის რეიტინგის საუკეთესო 50 ჩოგბურთელს შორის.

რუსებს რაც შეეხებათ, ისინი შესუსტებული შემადგენლობით ჩავლენ ესპანეთში. ამ გუნდს სხვადასხვა მიზეზის გამო **მარია შარაპოვა, ელენა დემენტიევა, დინარა საფინა და ანა ჩაკვეტაძე** არ ეყოლება. მათ არყოფნაში, პირველ როლებზე **სვეტლანა კუზნეცოვა** და **ვერა ზვონარევა** იქნებიან.

■ ■ ■

თუ ქალთა გუნდურ ჩემპიონატში მალე გამარჯვებული გამოვლინდება, კაცების ანალოგიურ ტურნირზე - დევისის თასზე ჯერ ნახევარფინალური მატჩებია გასამართავი. საუკეთესო ოთხეულში შესული გუნდებიდან, ამ ეტაპზე მხოლოდ არგენტინამ დაასახელა შემადგენლობა. ბუენოს აირესში რუსეთს დაუპირისპირდებიან: **დავიდ ნალბანდიანი, ხუან მარტინ დელ პოტრო, აგუსტინ კალერი** და **გილერმო კანიასი.**

# ამერიკელებს აღარ ვუყვარვარ



**სერბმა ნოვაკ ჯოკოვიჩმა ესპანელ ტომი რობრედოსთან ურთულესი ხუთსეტიანი მატჩის შემდეგ მოიპოვა მეოთხედფინალში თამაშის უფლება. მატჩის მსვლელობისას ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა, თითქოს ჯოკოვიჩს ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემა ჰქონდა. რა მოხდა სინამდვილეში და რატომ გაუჭირდა სერბს შემდეგ ეტაპზე გასვლა, ამაზე თავად "ჯოკერი" მოგვიყვება.**

**- ნოვაკ, თავს როგორ გრძნობთ?**

- ძალიან დავიღალე და მეოთხედფინალში გასვლა მხოლოდ მონდომების ხარჯზე შევძელი. რობრედოსთან მატჩის შემდეგ, აღდგენითი პროცედურები ჩავიტარე და ახლა თავს უკეთესად ვგრძნობ. შემდეგი მატჩისთვის მზად ვიქნები.

**- ტრავმირებული მარჯვენა ფეხი ძალიან გაწუხებთ?**

- თამაშის დროს ფეხი მტკიოდა, მაგრამ მთავარი პრობლემა დაღლილობა იყო. მატჩის დროს ექიმი დამეხმარა, თუმცა შეხვედრა მაინც რთული გამოვიდა. ორი დღის წინ უფრო წარმატებულად რომ მეთამაშა, დღეს ასეთი პრობლემები არ შემექმნებოდა. ურთულესი გრაფიკი მაქვს, ძნელია ზედიზედ ორი ოთხსეტიანი მატჩის შემდეგ ძალების აღდგენა. საბედნიეროდ, ყველაფერი კარგად დასრულდა.

**- ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ ამ ტურნირისთვის ფიზიკურად ძალიან ცუდად ხართ მომზადებული...**

- დიახ. მთელი ამ ჩემპიონატის განმავლობაში დაღლილობა მოსვენებას არ მაძლევს. ვერც კი ვხვდები, რის ხარჯზე მივაღწიე მეოთხედფინალამდე. რობრედოს წინააღმდეგ სათამაშოდ რომ გავდიოდი, ვიგრძენი, ჩვეულებრივზე ნაკლები ენერგია მქონდა შემორჩენილი, მაგრამ შევეცადე, ამისთვის ყურადღება არ მიმექცია და ბოლომდე ვიბრძოლე. რამდენჯერმე სამედიცინო პაუზა ავიღე, გამოსაფხიზლებლად სააბაზანოშიც შევედი. რაც შემეძლო, ყველაფერს ვაკეთებდი.

**- ასეთი პრობლემების მიუხედავად, გამარჯვება მაინც მოახერხეთ...**

- მიუხედავად პრობლემებისა, არ ღირს სიტუაციის ასე დრამატიზება. მეოთხე სეტის შემდეგ მართლა შემეპარა ეჭვი - შევძლებდი თუ არა შეხვედრის გაგრძელებას. არადა, მეტოქემ სწორედ ბოლოსკენ მოუმატა თამაშს. მას მეტი ენერგია ჰქონდა შერჩენილი, მეოთხე სეტის მოგების შემდეგ კი საკუთარი თავის რწმენაც დაუბრუნდა. მაგრამ რაღაცნაირად მოვახერხე ამ სიტუაციიდან გამოძრომა, კონცენტრაციის უნარი არ დავკარგე და ჩვეულ სტილში ვითამაშე.

**- იყო ისეთი მომენტი, როცა მატჩის შეწყვეტას ფიქრობდით?**

- რა თქმა უნდა, იყო, მაგრამ თამაშის გაგრძელების სურვილმა გადაძალა. საკუთარ თავს ვუთხარი - თუ ოთხ სეტს გავუძელი, კიდევ ერთი პარტიის თამაშსაც შევძლებდი.

**- რომელი მატჩი იყო უფრო რთული - რობრედოსთან დაპირისპირება თუ ის, შტეპანეკთან გასული წლის პირველ წრეში რომ ჩაატარეთ?**

- ეს უფრო რთული აღმოჩნდა, მაგრამ შარშანაც ძალიან გამოვიფიტე. დღეს გაცილებით მეტი გრძელი გათამაშება იყო და კორტზეც უფრო დიდი ხანი დავყავით. შტეპანეკთან მატჩში კი ხშირი იყო მოწოდების შემდეგ ბადესთან გასვლა და შესაბამისად, თამაში უფრო სწრაფად მიდიოდა.

**- წინ ნახევარფინალი და ფინალური შეხვედრა გელით. გადამწყვეტ მატჩში რომ იყოთ გასული, რა განწყობილებით შეხვდებოდით ფინალს?**

- ვერაფერს გეტყვით. ჩემთვის აქ ყველა მატჩი ფინალივითაა და ასეთი განწყობილება ძალზე მნიშვნელოვანია. აუცილებელია ყოველი მეტოქის სტილის მიხედვით ვიმოქმედო და ჩემი საუკეთესო ჩოგბურთი ვაჩვენო. ყველა ცდილობს, განსაკუთრებულად განეწყოს ფავორიტის წინააღმდეგ მატჩში, ფავორიტი კი მე ვარ. ასე რომ, ყოველ შეხვედრაში მაქსიმუმის გაღება მიწევს.

**- როგორ უყურებთ იმას, რომ ნახევარფინალსა და ფინალს შორის თითქმის არ არის შესვენება და ზედიზედ მოგიწევთ მატჩების ჩატარება?**

- ამაზე არ ვფიქრობ. ეს გადაწყვეტილება მე არ მიმიღია. შარშან ამაში უცნაური ვერაფერი დავიანახე, რადგან კორტზე დიდ დროს არ ვატარებდი და ძირითადად სამ სეტში ვიგებდი მატჩებს. წელს უფრო რთული სიტუაციაა, მაგრამ ჩემი მეტოქეებიც ხომ ანალოგიურ სიტუაციაში იმყოფებიან?! ასე რომ, ძნელია დასკვნის გაკეთება.

**- თქვენი მომდევნო მეტოქე ენდი როდიკია, რომელმაც ფერნანდო გონსალესთან მატჩში კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ ბრწყინვალე ფორმაში იმყოფება...**

- როდიკი ამერიკის ღია პირველობის ყოფილი გამარჯვებული და მსოფლიოს ყოფილი პირველი ჩოგანია. მე მგონი, ამით ყველაფერია ნათქვამი. ეს მისი საყვარელი ტურნირია, აქ საკუთარი გულშემატკივრების წინაშე თამაშობს და ამის გამო, ენდი კიდევ უფრო სახიფათო მეტოქე ხდება. ყოველთვის ძნელია მის წინააღმდეგ თამაში, განსაკუთრებით აქ, "ფლეშინგ მედოუს" კორტებზე. ასე რომ, მასთან შეხვედრის პერსპექტივით დიდად მოხიბლული არ გახლავართ.

**- შარშან ამერიკული პუბლიკა ძალიან ერთობოდა იმით, რომ უშუალოდ კორტზე, კოლეგა ჩოგბურთელების პაროდიებს აკეთებდით...**

- ამისთვის აღარ მცალია. ამ საქმეს თავი დავანებე (იცინის).

**- დღეს აშკარად ჩანდა, რომ ტრიბუნაზე მყოფი გულშემატკივრების უმეტესი ნაწილი რობრედოს ქომაგობდა. როგორ ფიქრობთ, რატომ მოხდა ასე?**

- არ ვიცი. ეს მეც შევამჩნიე, მაგრამ რა გაეწყობა?! იქნებ მათ ის არ მოეწონათ, რომ ერთ-ერთი გათამაშების შემდეგ, ჩოგანი კორტზე დავახეთქე; ან იქნებ ამერიკელებს აღარ ვუყვარვარ?!

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

## კალათბურთი

### ევრობასკეტი 2009. შესარჩევი ტურნირი

**A ჯგუფი**

**უნგრეთი-ფინეთი 64:79**

22:13, 15:22, 12:22, 15:22

**უნგრეთი:** სიტკუ (20), კამანი (10).

**ფინეთი:** კოპონენი (17), მუურინენი (13), მოტოლა (10+9 არლქრპრვ), კოტი (10+7 მოხსნა).

**სერბეთი-ბულგარეთი 74:64**

18:13, 20:13, 18:17, 18:21

**სერბეთი:** ველიჩკოვიჩი (20), კრსტიჩი (12), ტეოდოსიჩი (11+7 პასი).

**ბულგარეთი:** ჯაბერი (12), გეორგიევი (10+8 მოხსნა+3 პასი), ივანოვი (10).

**სატურნირო მდგომარეობა:** 1. სერბეთი - 3 მოგება/1 ნაგება; 1. ბულგარეთი - 3/1; 3. ფინეთი - 2/2; 4. იტალია - 1/3; 4. უნგრეთი - 1/3.

**B ჯგუფი**

**ლატვია-მაკედონია 83:82 (ო)**

15:12, 16:18, 23:24, 20:20, 9:8

**ლატვია:** ბიედრინსი (30+22 მოხსნა), იანიჩენოკსი (16+3 პასი), ბლუმსი (11+3 პასი).

**მაკედონია:** სტეფანოვი (25+3 პასი), გეჩევსკი (21+3 პასი), მეისი (14+11 მოხსნა), ილიევსკი (13+3 პასი).

**პორტუგალია-ესტონეთი 70:79**

17:21, 20:19, 22:13, 11:26

**პორტუგალია:** ანდრადე (14), სანტოსი (13), ევორა (10).

**ესტონეთი:** კულმაე (28), სოკი (20+4 აეპელთჩმ), არბერტი (10).

**C ჯგუფი**

**საფრანგეთი-ბელგია 82:63**

16:15, 18:18, 21:12, 27:18

**საფრანგეთი:** დე პოლო (28), პარკერი (19+3 პასი), ტურიაფი (11).

**ბელგია:** ვან როსომი (17), ბეგინი (12).

**თურქეთი-უკრაინა 86:73**

24:24, 27:13, 20:17, 15:19

**თურქეთი:** თურქოგლუ (15+7 მოხსნა+5 პასი), გიუნლუმი (15), სავაში (15), თუნჩერი (13), ილიასოვა (10).

**უკრაინა:** აგაფონოვი (15), ბუცკი (15), ლიშჩუკი (13+8 მოხსნა).

**D ჯგუფი**

**ჩეხეთი-ბოსნია 70:56**

16:14, 14:15, 20:11, 20:16

**ჩეხეთი:** ბენდა (15+10 მოხსნა), სოკოლოვსკი (13), უელში (11+5 პასი), ნეკასი (10)

**ბოსნია:** ტელეტოვიჩი (12), იაყვინი (10).

**ისრაელი-ბრიტანეთი 102:92 (ო)**

19:25, 23:22, 27:20, 16:18, 17:7

**ისრაელი:** ტაპირო (27), ელიაჰუ (24), გრინი (13), გალპერინი (10).

**ბრიტანეთი:** დენგი (30), ფრილენდი (14+9 მოხსნა), ჰარტი (12), ლევენი (11).

# მოურნინგი კონტრაქტის გარეშე?

"მაიამი ჰიტის" პრეზიდენტი **პატ რაილი** არ აპირებს მოვლენების დაჩქარებას და ვეტერან ცენტრ **ალონზო მოურნინგისთვის** კონტრაქტის შეთავაზებას.

*"ამ მომენტისთვის ჩვენ არ შეგვიძლია მისი უბრალოდ შემადგენლობაში დამატება. რა თქმა უნდა, პატივს ვცემ ზოს მონდომებას, მაგრამ არ შემიძლია, მას კონტრაქტის გაფორმების გარანტია მივცე. მიუხედავად ამისა, ამ ადამიანს ძალუძს, უმძიმესი ტრავმის შემდეგაც ფეხზე დადგომა და კარიერის გაგრძელება. უახლოეს პერიოდში მასთან ერთად მოლაპარაკების მაგიდას მივუსხდებით და ვნახავთ, რა გვაქვს საერთო"*, - მოჰყავს სააგენტო "როიტერს" რაილის სიტყვები.

შეგახსენებთ, რომ მოურნინგმა გასულ წელს მუხლის ტრავმის გამო თითქმის მთელი სეზონი გამოტოვა.

**გია თვალაბეიშვილი**

# მსახიობი ლებრონი



უახლოეს უიქ ენდზე "კლივლენდ კავალიერზის" სუპერვარსკვლავი **ლებრონ ჯეიმსი** ტორონტოში საერთაშორისო კინოფესტივალს დაესწრება. სწორედ აქ უნდა შედგეს დოკუმენტური ფილმის პრემიერა, რომელშიც კალათბურთელი იღებს მონაწილეობას.

ფილმის სახელწოდებაა - "უფრო მეტი, ვიდრე თამაში". მასში მოთხრობილია იმის შესახებ, თუ როგორ დაიწყეს რვა წლის ჯეიმსმა და მისმა ოთხმა მეგობარმა ერთ-ერთ გუნდში თამაში და 10 წლის შემდეგ სკოლებს შორის ამერიკის ჩემპიონატში გაიმარჯვეს. ფილმის ძირითადი მოტივი არა მხოლოდ კალათბურთი, არამედ მეგობრობა, ერთგულება და სიყვარული გახლავთ.

*"როცა ბავშვობაში ბევრს ვოცნებობდით ეროვნული სასკოლო ჩემპიონატის მოგებაზე, ვფიქრობდით, რომ კალათბურთი - მხოლოდ ამ მიზნის მიღწევის ინსტრუმენტია და მეტი არაფერი. იმ მომენტში ვერ წარმოვიდგენდით, რომ ეს თამაში ჩვენთვის ასეთი მნიშვნელოვანი იქნებოდა. არ ვიცოდით, რომ კალათბურთი გვასწავლიდა მეგობრობას, მონდომებას, ერთგულებას, საქმისადმი სიყვარულს,* - ამბობს ჯეიმსი, - *რვა წლის ასაკში დავისახეთ ეს მიზანი და 10 წლის შემდეგ მივაღწიეთ მას. ეს ბრწყინვალე ისტორიაა და მინდა, ის ყველა ბავშვმა ნახოს. როცა რაღაცის მიღწევა გინდა, ყოველთვის დასახულ ოცნებას უნდა მიჰყვე, გჯეროდეს მისი, იცხოვრო ამ ოცნებით".*

**გია თვალაბეიშვილი**

# ჰაკიმი დიდების დარბაზში

"ჰიუსტონ როკეტსის" ლეგენდარული კალათბურთელი **კლაიდ დრექსლერი** დიდების დარბაზში წარადგენს თავის ყოფილ თანაგუნდელს, ცნობილ ცენტრალურ თავდამსხმელს **ჰაკიმ ოლაჯუონს**.

*"მეამაყება, რომ ჰაკიმმა ამ საპატიო მისიისთვის პირადად მე ამირჩია. ჩვენ მაშინვე დავმეგობრდით, როგორც კი ოლაჯუონი ჩვენს გუნდში გადმოვიდა"*, - აცხადებს დრექსლერი.

ოლაჯუონის გარდა, წელს კალათბურთის დიდების დარბაზში "მაიამი ჰიტის" პრეზიდენტი **პატ რაილი**, "ნიუ იორკის" ყოფილი ცენტრი **პატრიკ იუინგი** და "იუტის" ფორვარდი **ადრიან დენტლი** შეიყვანეს. გარდა ამისა, კალათბურთის განვითარებაში შეტანილი წვლილისთვის მსგავსი პატივი ხვდა წილად "დეტროიტ პისტონზის" ყოფილ მფლობელს **უილიამ დევიდსონს**, ESPN-ის ანალიტიკოს **დიკ ვაიტელსა** და ამერიკაში ქალთა კალათბურთის ერთ-ერთ პირველ წარმომადგენელს, **კეტი რაშს**.

**გია თვალაბეიშვილი**

# ოკლაჰომას ელვა დაარქვეს

"ოკლაჰომა-სიტის" (ყოფილი "სიეტლ სუპერსონიქსი") ხელმძღვანელობამ ოფიციალურად გამოაცხადა კლუბის ახალი სახელწოდება.

როგორც გუნდის ოფიციალური ვებგვერდი იუწყება, სულ სავარაუდო სახელის ხუთი ვარიანტი არსებობდა, რომელთა შორის Thunder-მა ("ელვა") გაიმარჯვა. გუშინვე მოხდა "ოკლაჰომა-სიტის ტანდერის" ლოგოს პრეზენტაცია.

**გია თვალაბეიშვილი**

## ჭადრაკი. მსოფლიო ჩემპიონატი

# დღეს ნალჩიკში დაცხება

ამინდის ბიუროს ცნობით ნამდვილად არ ვსარგებლობ და სიმართლე გითხრათ, სულაც არ მაინტერესებს ყაბარდო-ბალყარეთში ჩამოთოვს თუ ჩამოცხება, მაგრამ ერთი ფრიად მნიშვნელოვანი მიზეზი კი გვაქვს, იქითკენ მზერა მივმართოთ - ჩვენ სიცხეზე რომ ვლაპარაკობთ, ეგ სატურნირო ხუთვაა. გუშინ მსოფლიოს ქალთა ჩემპიონატზე მერვედფინალის პირველი მატჩები გაიმართა. 8 წყვილში ვინ ფავორიტია და ვინ - აუტსაიდერი; ზოგან ვერც ერთს გამოარჩევ და ინტერესიც ამად უფრო იწევს მაღლა - იალბუზამდე. ევროპის უმაღლესი მწვერვალი კი დაჰყურებს ნალჩიკს, მაგრამ ვეჭვობ, საჭადრაკო ასპარეზის მხურვალება გაანელოს.

ეს აზრი პირველმა ტურმა გაგვიმტკიცა. აბა, ნახეთ: მსოფლიოს მოქმედი ჩემპიონის ჩინელი **სიუ იუჰუას** დამმარცხებელი რუსი **სვეტლანა მატვეევა** თეთრებით მარცხდება შვილის ტოლ უკრაინელ **ანა უშენინასთან**; ლამის კაცთა მსოფლიო კლასიფიკაციის ასეულის ნევრი ინდოელი **ჰამპი კონერუ**, რომლის რეიტინგი 2622-ია, ვერ უგებს 2487 რეიტინგის მქონე გაუნგრელებულ ვიეტნამელს, **თჰან თჰრინგ ჰოანგს** - ყაიმი; **დრონავალი ჰარიკა-ლილიტ მკრტიჩიანის, შენ იანგი-ნადეჟდა კოსინცევას, ალექსანდრა კოსტენიუკი-ტატიანა კოსინცევას** შეხვედრები ყაიმით დამთავრდა და დღეს რომ ესენი არაფერს დაუთმობენ ერთმანეთს, რა ფიცი-მტკიცი სჭირდება! დამარცხებულთა რევანშული გულების ფეთქვაცაა გასათვალისწინებელი - ჩინელმა **ლუფეი რუანმა** შავებით წააგო შვედ **პია კრამლინგთან**; უკრაინელმა **ინა გაპონენკომ** თეთრებით იგემა მარცხის სიმწარე ბულგარელ **ანტოანეტა სტეფანოვასთან** შეხვედრაში და გაიტალიელებულმა **ელენა სედინამ** ჩინელ ვუნდერკინდთან - **იფან ჰოუსთან** დახარა თავი. ერთი სიტყვით, კაი დაშხოშიანი დაკა-დაკა გველის და ვისაც ჭადრაკის ხოში აქვს, ინტერნეტის შესაბამის ვებგვერდს ჩაუჯდეს და ციმციმ იხილოს ბატალიები; ხოლო ვისაც მოცდა გირჩევნიათ, ან სხვა გზა არა გაქვთ, ჩვენს ხვალინდელ რეპორტაჟს უნდა დაელოდოთ.

**მერვედფინალი. I მატჩები**

**სვეტლანა მატვეევა** (რუს. 2412) - **ანა უშენინა** (უკრ. 2476) 0:1; **თრანგ თჰინ ჰოანგი** (უნგ. 2487) - **ჰამპი კონერუ** (ინდ. 2622) 0.5:0.5; **იფან ჰოუ** (ჩინ. 2557) - **ელენა სედინა** (იტ. 2344) 1:0; **ინა გაპონენკო** (უკრ. 2468) - **ანტუანეტა სტეფანოვა** (ბულ. 2550) 0:1; **ჰარიკა დრონავალი** (ინდ. 2461) - **ლილიტ მკრტჩიანი** (სომ. 2436) 0.5:0.5; **შენ იანგი** (ჩინ. 2445) - **ნადეჟდა კოსინცევა** (რუს. 2460) 0.5:0.5; **ალექსანდრა კოსტენიუკი** (რუს. 2510) - **ტატიანა კოსინცევა** (რუს. 2511) 0.5:0.5.

**ზვიად შათირიშვილი**

# ცხელი ხაზი

**ფეხბურთი**

**ევრო 2009**

**UNDER 21**

| | |
|---|---|
| შოტლანდია-სლოვენია | 3:1 |

**ინგლისი**

**კონფერენცია**

| | |
|---|---|
| კიდერმინსტერი-ტორკი | 1:0 |

**ესპანეთის თასი**

| | |
|---|---|
| ალიკანტე-სელტა | 0:1 |

**შვედეთი**

**II დივიზიონი**

| | |
|---|---|
| ჰაკენი-სირიუსი | 8:0 |

**ფინეთი**

**II დივიზიონი**

| | |
|---|---|
| ვიფკ-კპვ | 1:2 |

**პოლონეთი**

**ლიგის თასი**

| | |
|---|---|
| რუხი-გურნიკი | 0:0 |

**თურქეთის თასი**

| | |
|---|---|
| ქარსიაქა-ალთაი | 1:1, დ.დ. 1:3 |
| საქარია-ქართალი | 2:0 |

**ბრაზილია**

| | |
|---|---|
| გოიაში-ატ. პარანაენსე | 4:0 |
| ატ. მინეირო-სან პაულუ | 1:1 |
| ფიგუერენსე-ფლამენგო | 2:3 |
| სანტოსი-ვიტორია | 2:0 |

**ჰოკეი**

**გერმანია**

| | |
|---|---|
| კიოლნი-აისბარენი | 1:2 |

**კჰლ**

| | |
|---|---|
| ტრაქტორი-ლოკომოტივი | 2:5 |
| ატლანტი-ვიტიაზი | 4:1 |

# TV სპორტი

**5 სექტემბერი. პარასკევი**

**НТВ-პლუსი (ფეხბურთი)**

12:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
12:20 უიქ ენდის მატჩების ანონსი.
12:25 გასული კვირის ჰიტ-ალლუმი. ინგლისის ჩემპიონატი. ასტონ ვილა-ლივერპული.
14:15 გასული კვირის ჰიტ-ალლუმი. გერმანიის ჩემპიონატი. ბაეირნი-ჰერტა.
16:05 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
16:20 2:1 - საფეხბურთო ტოქ-შოუ.
17:10 გასული კვირის ჰიტ-ალლუმი. საფრანგეთის ჩემპიონატი. ლილი-ბორდო.
19:00 ზუსტი გათვლა.
19:20 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
19:40 გასული კვირის ჰიტ-ალლუმი. ესპანეთის ჩემპიონატი. დეპორტივო-რეალი.
21:30 FUTBOL MUNDIAL - საერთაშორისო ტელეჟურნალი.
22:05 საფეხბურთო ღამე.
22:40 ევროპის ჩემპიონატი (ახალგაზრდულები). შესარჩევი მატჩი. ინგლისი-პორტუგალია (LIVE).
00:40 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
00:55 არგენტინის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.

**EUROSPORT**

10:30 ოლიმპიზმი. ოლიმპიური დღიური.
11:00 რალი. მსოფლიოს ჩემპიონატი. ახალი ზელანდია.
12:00 ავტოსპორტი. მსოფლიოს ჩემპიონატი ტურიზმის კლასში. ტელეჟურნალი.
12:30 ჩოგბურთი. აშშ-ის ღია პირველობა. კაცები. 1/4 ფინალი.
15:30 მძლეოსნობა. IAAF-ის სუპერგნაპრი. ლოზანა. შვეიცარია.
16:30 ველოსპორტი. ვუელტა. VI ეტაპი. ესპანეთი (LIVE).
17:30 ჩოგბურთი. აშშ-ის ღია პირველობა. კაცები. 1/4 ფინალი.
20:00 ევროგოლი - საფეხბურთო მიმოხილვა.
20:15 ჩოგბურთი. აშშ-ის ღია პირველობა. კაცები. 1/4 ფინალი.
22:00 ჩოგბურთი. აშშ-ის ღია პირველობა. ქალები. 1/2 ფინალი (LIVE).
02:00 მსოფლიოს უძლიერესი მამაკაცი. ევროპის ლიგა. ჰოლანდია.
03:00 ტიმბერსპორტი. ევროპის გუნდური ჩემპიონატი. გერმანია.

**EUROSPORT-2**

09:30 ახალი ამბები.
12:00 ავსტრალიური ფეხბურთი. რეგულარული ჩემპიონატი.
13:00 ახალი ამბები.
13:30 ფეხბურთი. იაპონიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
14:00 საფეხბურთო ფრისტაილი. საფრანგეთი.
14:30 ახალი ამბები.
16:00 არენა-ფეხბურთი. არენაბოული.
17:00 ხელბურთი. ჩემპიონთა ლიგა. კაცები. ფინალი. I მატჩი. სიუდადი (ესპანეთი)-კილი (გერმანია).
18:00 ხელბურთი. ჩემპიონთა ლიგა. კაცები. ფინალი. საპასუხო მატჩი. კილი (გერმანია)-სიუდადი (ესპანეთი).
18:45 ახალი ამბები.
19:00 ხელბურთი. ჩემპიონთა ლიგა. კაცები. წინასწარი ეტაპი (LIVE).
20:30 მაუნტინბაიკი. მსოფლიოს თასი. ბრიტანეთი.
21:30 ახალი ამბები.
22:00 ფეხბურთი. იაპონიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
22:30 რაგბი. საფრანგეთის ჩემპიონატი. TOP14 . III ტური (LIVE).
00:15 ბრძოლა წესების გარეშე.
02:00 ახალი ამბები

## ველოსპორტი. ვუელტა

**VI ეტაპი**

**სიუდადი რეალი-ტოლედო (150.1 კმ)**

| | |
|---|---|
| 1. პაოლო ბეტინი (იტალია, „ქუიქ სტეპი") | 3.19,28 |
| 2. ფილიპ გილბერტი (ბელგია, „ფრანსეზ დე ჟო") | იგივე დრო |
| 3. ალეხანდრო ვალვერდე (ესპანეთი, „კეს დ'ეპარნი") | იგივე დრო |
| 4. ოსკარ ფრეირე (ესპანეთი, „რაბობანკი") | იგივე დრო |
| 5. დანიელე ბენატი (იტალია, „ლიკიგასი") | იგივე დრო |
| 6. დავიდე რებელინი (იტალია, „გეროლშტაინერი") | იგივე დრო |
| 7. სებასტიან ინო (საფრანგეთი, „კრედიტ აგრიკოლი) | იგივე დრო |
| 8. გრეგ ვან ავერმაეტი (ბელგია, „საილენს ლოტო") | იგივე დრო |
| 9. კარსტენ კროონი (ჰოლანდია, CSC) | იგივე დრო |
| 10. მატი ბრეშელი (დანია, CSC) | იგივე დრო |

**საერთო ჩათვლა**

| | |
|---|---|
| 1. სილვენ შავანელი (საფრანგეთი, „კოფიდისი") | 17.35:35 |
| 2. ლევი ლაიპჰაიმერი (აშშ, „ასტანა") | +0,10 |
| 3. ალეხანდრო ვალვერდე (ესპანეთი, „კეს დ'ეპარნი") | +0,26 |
| 4. ალბერტო კონტადორი (ესპანეთი, „ასტანა") | +0,57 |
| 5. კარლო სასტრე (ესპანეთი, CSC) | +1,37 |
| 6. დანიელე ბენატი (იტალია, „ლიკიგასი") | +1,42 |
| 7. იურგენ ვან გოოლენი (ბელგია, CSC) | +1,44 |
| 8. ხუან ანტონიო ფლეხა (ესპანეთი, „რაბობანკი") | +2,01 |
| 9. დომინიკ კორნუ (ბელგია, „საილენს-ლოტო") | +2,06 |
| 10. დანიელ მორენო ფერნანდესი (ესპანეთი, „კეს დ'ეპარნი") | +2,20 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

კრივი. ლეგენდა

# ლეგალური მკვლელი



**კუბელი მძიმეწონოსანი ტეიფილო სტივენსონი ყველა დროის საუკეთესო მოკრივეთა რიცხვს მიეკუთვნება. 56 წლის ლეგენდარული მოკრივის ბიოგრაფია არატიპურია თანამედროვე, მთლიანად კომერციაში ჩაფლული კრივისთვის, სადაც მუსიკას აფერისტი პრომოუტერები უკვეთავენ.**

*"რაში მჭირდება 10 მილიონი, თუ 11 მილიონი კუბელის სიყვარული მაქვს გარანტირებული?"* - ასე ეკითხებოდა **ტეოფილო სტივენსონი** ამერიკელ მენეჯერებს, რომლებიც მას აშშ-ში გადასვლასა და პროფესიულ რინგზე გამოსვლას სთავაზობდნენ. მართლაც, კუბაში ლეგენდარული მოკრივე დღესაც უზომოდ პოპულარულია. ორმეტრიან შავკანიან კუბელს, თეთრი კეპითა და **ჩე გევარას** გამოსახულებიანი მაისურით, დღესაც აღფრთოვანებაში მოჰყავს თავისი თანამემამულეები. მით უმეტეს, რომ ტეოფილოს მათთან უბრალო ურთიერთობა აქვს, ყოველგვარი ვარსკვლავური ქედმაღლობის გარეშე. კუბელი პატარა ბიჭების ოთახებში დღემდეა გაკრული ახალგაზრდა ტეოს უზარმაზარი პოსტერები.

ისევე, როგორც ბევრი კუბელი მოკრივე, სტივენსონიც სპორტულ კარიერას კუნძულზე ყველაზე პოპულარული სახეობით, ბეისბოლით იწყებდა, რომელსაც მან ბავშვობის წლები შესწირა. ბეისბოლში ვარჯიშმა რეაქციის გაუმჯობესებისა და ხელის კუნთების განვითარების საშუალება მისცა, რაც მოგვიანებით ძალიან გამოადგა რინგზე. მან კარგად აითვისა კუბელებისთვის დამახასიათებელი აგრესიული კრივი და ამას ტექნიკაც დაუმატა. გარდა ამისა, ტეო დიდ ყურადღებას ანიჭებდა ყოველი ბრძოლის "ფსიქოლოგიას", როცა ზუსტად განსაზღვრავდა მეტოქეთა საბრძოლო განწყობას.

## ნოკაუტი ინტელიგენტისგან

ტეოფილოს ბავშვობიდან უყვარდა **ჯეკ ლონდონის** ცნობილი ნოველა - "მექსიკელი". მისი გმირი - ღარიბი ლათინოამერიკელი ბიჭი თანხმდება ბრძოლას გამოცდილ მეტოქესთან და მოსყიდულ მსაჯებთან, რათა ფული მოიპოვოს მექსიკის რევოლუციისთვის. სტივენსონის ბრძოლებსაც, ხშირად პოლიტიკური ელფერი დაკრავდა. მაგალითად, ასეთად განიხილებოდა მისი გამარჯვებები თეთრკანიან მოკრივეებთან, რომლებსაც ერთი საერთო სახელწოდება ჰქონდათ - "თეთრი იმედი" და რომლებზეც ფსონს ჩადიოდნენ რასისტი და პოპულისტი პოლიტიკოსები.

*"ყოველთვის არა ჩემთვის, არამედ ჩემი ქვეყნისთვის ვჩხუბობდი. ეს მოწინაალმდეგეებზე უპირატესობას მაძლევდა, რომელთა უმეტესობაც მხოლოდ მოგებასა და ჰონორარებზე ფიქრობდა,* - ამბობს სამგზის ოლიმპიური ჩემპიონი, რომელიც არ მალავს თავის ნეგატიურ განწყობას პროფესიული კრივის მიმართ. - *კარგად ვიცი, პროფესიული კრივი რასაც წარმოადგენს. ისიც ვიცი, რომ იქ არაფრის მოგება არ შეიძლება. იქ აღებული ფული წამებში შეიძლება წააგო და თან, ჯანმრთელობაც გაიუარესო. იქ ღარიბი ადამიანები იბრძვიან, რომლებსაც სხვა გამოსავალი არ გააჩნიათ. მათ არასოდეს უვლიათ სკოლაში, არ აქვთ განათლება, შესაძლებლობა, დაზოგონ ის ფული, რომელიც ბრძოლაში გამოიმუშავეს. ასე რომ, რასაც იგებენ, მაშინვე კარგავენ".*

თავად სტივენსონმა, რომელიც კუბის აღმოსავლეთით, პატარა ქალაქში მტვირთავის ოჯახში იზრდებოდა, უმაღლესი განათლება მიიღო. ამასთან, სწავლას სპორტულ კარიერას კარგად უხამებდა. სწორედ აქედან მომდინარეობს მისი, როგორც "ინტელექტუალური მოკრივის" იმიჯი.

## ფიდელის საიდუმლო პირადი მცველი

კარიერის დასრულების შემდეგ, სტივენსონი საყვარელ სპორტს არ დაშორებია. ის საკრივო სამყაროში კვლავაც დიდი ავტორიტეტით სარგებლობს. სხვათა შორის, ტეო პეკინის ოლიმპიური თამაშების კრივის ტურნირის მთავარი მსაჯი გახლდათ. ამ პოსტის მიღებაში ხელი არ შეუშლია იმ სკანდალს, რომელშიც ტეოფილო ამერიკის მთავრობამ ჩაითრია. ეს მას შემდეგ მოხდა, რაც სტივენსონმა მაიამის აეროპორტში რამდენიმე ადამიანი გაგზავნა ნოკაუტში. მოკრივის სიტყვებით, მაშინ მისი პროვოცირება მოახდინეს, როცა ეს ადამიანები ბინძურ ფრაზებს ისროდნენ კუბელი ხალხის, კუბური რევოლუციისა და **ფიდელ კასტროს** მისამართით. არადა, სტივენსონი ყოველთვის გაწონასწორებულ ადამიანად და მოკრივედ მიიჩნეოდა. სამედიცინო ექსპერტიზამ დაამტკიცა, რომ ამ ინციდენტის დროს, ტეოფილო ჩვეულებისამებრ აბსოლუტურად ფხიზელი იყო. ციხიდან თავდებით გამოსვლის შემდეგ, მან სამუდამოდ დატოვა ამერიკა, სადაც მის დაპატიმრებაზე უვადო ორდერია გაცემული.

ცნობისთვის, ტეოფილო სტივენსონს ჯიუტად აბრალებენ ფიდელ კასტროს პირად მცველ ობას. თუმცა თავად ის ამ ფაქტს არ აღიარებს, მაგრამ არ უარყოფს იმას, რომ კუბელ ლიდერთან კარგი ურთიერთობები აკავშირებს.

კუბელი ჩემპიონის დიდ მიღწევებს მისი ოპონენტებიც აღიარებენ. ცოტა ხნის წინ ჩატარებული გამოკითხვის თანახმად, ის ლათინური ამერიკის ყველაზე გამორჩენილი ადამიანების სიმბოლურ ხუთეულში მოხვდა. თუმცა ამ ამბავს ბებერ მოკრივეზე დიდი შთაბეჭდილება არ მოუხდენია, რომლისთვისაც საუკეთესო ჯილდო ჰავანის ქუჩებში თაყვანისმცემელთა მეგობრული შეძახილები გახლავთ.

სტივენსონს რინგზე "ლეგალური მკვლელის" სახელით იცნობდნენ. ბრწყინვალე ტექნიკა, მისი მსგავსი მაღალი და მძიმე მოკრივისთვის არადამახასიათებელი სისწრაფე და მოქნილობა... ტეოს მარჯვენაზე ლეგენდები დადიოდა: *"დაახლოებით 200-მდე ბრძოლა მაქვს ჩატარებული, მაგრამ ჩემთვის ასე ძლიერად არავის არასოდეს დაურტყამს. მისი დარტყმისთვის თვალის მიდევნება შეუძლებელი იყო"*, - თქვა ერთხელ გერმანელმა **ჰუსტერმა**, რომელიც ძლივს გამოფხიზლდა ნოკაუტის შემდეგ. *"ყველანი ჩემს მარჯვენას უყურებდნენ, მაგრამ ძირითად სამუშაოს მარცხენა ხელი აკეთებდა, რომელიც ამსხვრევდა მოწინააღმდეგეს"*, - ფარდას ხდის საიდუმლოს სტივენსონი.

საინტერესოა, რომ ბავშვობაში ტეოს კალათბურთელობა სურდა, ვინაიდან იმ დროისთვის მისმა სიმაღლემ 193 სანტიმეტრს მიაღწია, მაგრამ კასტრომ პროფესიულ სპორტზე აკრძალვა შემოიღო და სტივენსონიც კრივზე გადაერთო. *"კარიერის პირველი 20 ბრძოლიდან 14 წავაგე!* - აღიარებს კუბელი. - *ვერ ვიტანდი, როცა მირტყამდნენ. საკუთარ თავს პირობა მივეცი, რომ აღარ წავაგებდი".*

სტივენსონმა პირველად 1972 წელს მიუნხენის ოლიმპიადაზე გაიბრწყინა, სადაც საუკეთესო ტექნიკის მქონე მოკრივისთვის განკუთვნილი პრიზი მიიღო. ამის შემდეგ, მის შესახებ მთელი მსოფლიო ალაპარაკდა. მეორე ოლიმპიური ოქროს მედლის მიღების შემდეგ, ცნობილმა პრომოუტერებმა - **ბობ არუმმა** და **დონ კინგმა** კუბელს 5 მილიონ დოლარად **მუჰამედ ალისთან** ბრძოლა შესთავაზეს, რაზეც გაბრაზებულმა სტივენსონმა უარი განაცხადა. სხვათა შორის, ის და ალი მეგობრები იყვნენ. ისინი არა მარტო გარეგნულად, არამედ ბრძოლის სტილითაც ჰგავდნენ ერთმანეთს - მსუბუქ ფეხებზე იდგნენ, ტექნიკით გამოირჩეოდნენ და პირდაპირ დარტყმებს ანიჭებდნენ უპირატესობას.

1976 წელს, მონრეალის ოლიმპიადაზე სტივენსონმა სამი მეტოქე გაგზავნა ნოკაუტში და ამისთვის ჯამში 8 წუთზე ნაკლები დასჭირდა. ბოლო მოწინააღმდეგე, რუმინელი ფინალისტი **სიმიონი** მხოლოდ მესამე რაუნდში ჩააგდო ნოკაუტში. რუმინელი სიხარულისგან რინგზე დახტოდა. უხაროდა - ამდენი ხანი გაუძლო ლეგენდარულ კუბელსო.

1984 წლის ოლიმპიადის ბოიკოტის გამო, სტივენსონი ლოს ანჯელესში არ გაემგზავრა, თუმცა ბევრი იყო დარწმუნებული, რომ ის იქ მეოთხე ოქროს მოიპოვებდა. 1986 წელს, კიდევ ერთხელ გახდა მსოფლიოს ჩემპიონი და კრივიდან წავიდა.

მის გარდა, სამჯერ ოლიმპიური ჩემპიონები გახდნენ კუბელი **ფელიქს სავონი** და უნგრელი **ლასლო პაპი**. თვით მუჰამედ ალიმ, რომელიც გონებაში არასოდეს გაივლებდა საკუთარ მარცხს, ერთხელ განაცხადა, რომ ის და სტივენსონი ერთმანეთს რინგზე რომ შეხვედროდნენ, ფრე დაფიქსირდებოდა.

**გია თვალაბეიშვილი**



